ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

Beijing 2008
დარჩა
66
დღე



№ 129 (12 504) 3 ივნისი სამშაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



**კი, მაგრამ, რა ნაკრებია ეს?**

რაგბი. 20 კაცი გვაკლდება, 9 დებიუტანტია »»» 13

**ფაჩულია დალასში გადადის?**

ლეგიონერი »»» 13

# შოთაობა






## თბილისი ვარსკვლავებით გაივსო

შევხვდეთ ეროვნულ სტადიონზე. 18:00 »»» 2, 8-9



## იტალია შოკშია: კანავარო ევროპის ჩემპიონატს გამოტოვებს

»»» 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უბრალოდ, შოთა

ოთხი წლის წინათ შოთას დილმის ბაზაზე ინტერვიუსთვის რომ შევხვდი, ავტობიოგრაფიული წიგნის დაწერა ვურჩიე. ასეთი წიგნი დათო ყიფიანს არ დაუწერია და მე რატომ უნდა დავწეროო, გაუკვირდა. ვუთხარი, ევროპაში თითქმის ყველა გამორჩეული ფეხბურთელი წერს ავტობიოგრაფიას და ნუთუ საკუთარ თავს გამორჩეულ ფეხბურთელად არ მიიჩნევმეთქი.

შოთა ბევრი რამით იყო გამორჩეული ფეხბურთელი, თუნდაც მისი ბიოგრაფიით. პირველი სერიოზული პრობლემა ბავშვობაში შეექმნა - გულის შუილების გამო ექიმებმა ფეხბურთის თამაში აუკრძალეს. მაშინ შოთამ დაამარცხა ავადობა.

მას პირადი მწვრთნელიც ჰყავდა, ჯემალ ჩიმაკაძე, ვინც დიდად დაეხმარა ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში. გახსოვდეთ, თქვენ საუკეთესოები ხართ - უჩიჩინებდა ის ტყუპებს.

შოთა განსაკუთრებული ფენომენი გამოდგა ქართული ფეხბურთისთვის. სპორტი ხომ ცხოვრებასავითაა, სწორი გადაწყვეტილებების გარეშე ხელმოცარული დარჩები. შოთამ ყოველთვის სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მისი ყველა ტრანსფერი სწორი აღმოჩნდა და მალე ალბათ კიდევ ერთ სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს - ვან გაალის თანაშემწეობას სთავაზობენ და უკვე უდევს კონტრაქტი ხელმოსაწერად.

შოთამ მუხლის ქრონიკული ტრავმა ვერ დაამარცხა და ფეხბურთელობას ამიტომ შეეშვა. ხუთი ოპერაცია, ვოლტარენი, ყავარჯნები და ტკივილისგან შეჭმული ნერვები - თუ ფეხბურთის თამაში არ გიხარია, ამდენს ვერ გაუძლებ, მაგრამ ეს უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა.

როცა "ტრაბზონსფორიდან" ამსტერდამის "აიაქსში" გადავიდა, ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა ჰკითხა, "აიაქსის" მეორე გუნდში მიდიხარო? თურქეთი მაშინ ბევრს ბორჩალოს მაზრა ეგონა, სადაც შოთა საუკეთესო იყო.

ჰოლანდიაში შოთას "მისტერ ბინი" შეარქვეს, მერე showtime, შემდეგ simple shota. თურქეთში შეითანი გახლდათ, შოტლანდიაში ალი მაკოისტს ადარებდნენ, საქართველოში კი ის უბრალოდ შოთა იყო და ჰოლანდიაში შერქმეული simple shota ალბათ მისი ყველაზე ზუსტი თიკუნია.

ეროვნულ ნაკრებში ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, თუმც მისგან მეტს ელოდნენ. ხალხს ჰგონია, რომ ნაკრებში ფეხბურთელები სათანადოდ არ ვიბრძვით, არადა, როცა სწორად არ თამაშობ, ყველაფერი მართლაც ასე ჩანს - არერთხელ უთქვამს მას. ვინძლო, მართლა ეს იყო ჩვენი ნაკრების უმთავრესი პრობლემა, თუმც ვინ იცის, ეს ისეთი საკითხია,ზუსტი პასუხი ალბათ არავის აქვს.

შოთა ყოველთვის ახალისებდა სიტუაციას, ზოგს აღიზიანებდა მისი ქალაქური იუმორი, ზოგიც ათას ჭორ-მართალს ჰყვებოდა მასზე - ეს გამორჩეული ფეხბურთელის ხვედრია. სანაკრებო კარიერის მიწურულს ვარჯიშებზე ძალიან ბევრ შენიშვნას აძლევდა ნაკლებად გამოცდილ თანაგუნდელებს და საკუთარ თავზეც მოსდიოდა გული - შევაწუხე ბიჭები ამდენი შეძახილითო. მას ლიდერის თვისებები ჰქონდა, თუმც კაპიტნის სამკლაური ნაკრებში არასდროს კეთებია.

დღეს ბოლოჯერ დაუკრავენ ტაშს დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის საუკეთესო თავდამსხმელს. შოთაზე მოსაყოლი და საკამათო ძალიან ბევრია და ამას შეძლება უნდა.

დავით თავართქილაძე

შოთა არველაძის გასაცილებელი მატჩი

# შოთოლოგები თბილისში




გმადლობთ შოთი - აეროპორტში დიდი ბანერი იყო გამოფენილი, წარწერის ქვემოთ კი რეინჯერსელი **შოთა არველაძის** ვეება ფოტო გოლაობის შემდეგ. შოთას თვრამეტწლიანი კარიერა დასრულდა და დღეს მისი გამოსამშვიდობებელი მატჩია: უცხოელი მეგობრები და საქართველოს ეროვნული ნაკრები.

უცხოელი მეგობრები გუშინ ჩამოფრინდნენ . ჯერ **თოლუნაი კაფკასი**, "ქაისერისფორის" მთავარი მწვრთნელი ჩამოვიდა მეუღლითურთ, მერე კი **ანდრეი კანჩელსკისი**, რუსეთის ნაკრების, "მანჩესტერის", "ფიორენტინის", "რეინჯერსისა" და საერთოდ 90-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მარჯვენაფლანგელი. მოსუქებილი კანჩელსკის ინტერვიუებს მარჯვედ აუვიდა, თოლუნაის კი თარჯიმნობას ცოლი უწევდა.

სტუმრებს ტყუპუსცალი, **არჩილ არველაძე** დახვდა. მისგან შევიტყვეთ, რომ **ედგარ დავიდსმა** პირი უტეხა შოთას და არ ჩამოვიდა. თბილისში ჩამოფრენა ვერ მოახერხა **კლაუდიო კანიჯამ** - ფეხმა შემაწუხა და ოპერაციას ვიკეთებო. საპატიო მიზეზის გამო ვერ ჩამოვიდა **მორტენ ოლსენი**, ვინც შოთას უცხოელი მეგობრების გუნდის ერთ-ერთი მწვრთნელი უნდა ყოფილიყო **ლუის ვან გაალთან** ერთად - დანიის ეროვნული ნაკრების თავკაცი ცოლს ეყრება და დღევანდელი მატჩისთვის ვერ მოიცალა.

ელექტრონული და ბეჭდვითი მედიის ათეულები მთავარ ჯგუფს ელოდა - ამსტერდამიდან შოთა და მისი მეგობრების უმეტესი ნაწილი მოფრინავდა. გამოსასვლელში ჯერ **ლევან კობიაშვილი** გამოჩნდა, ჰოლანდიელთაგან კი პირველი ვან გაალი გამოჩნდა და პირველი გამარჯობაც შოთას მეუღლე თამუნას უთხრა.

ძმები **დე ბურები, არტურ ნუმანი, მიხაელ მოლსი, ტიჯანი ბაბანგიდა, კენეტ პერესი, დენი კუვერმანსი, დამიანო ტომაზი**...ბლიცინტერვიუები ავტობუსში ჩასხდომა და გეზი "შერატონისკენ".

**მიქაელ და ბრაიან ლაუდრუპები** კი თბილისში გვიან სალამოს ჩამოვიდნენ კერძო თვითმფრინავით.

## დამიანო ტომაზი:

- თბილისში პირველად არ ვარ, 2001 წელს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევში საქართველოს ნაკრებს 2:1 რომ მოვუგეთ, მეც ვითამაშე. შოთაც იყო მაშინ მოედანზე. მან მითხრა, რომ ახლაც იმავე სტადიონზე მომიწევს თამაში.

**- როგორ დაახასიათებდით შოთას, როგორც ფეხბურთელსა და როგორც პიროვნებას?**

- სადაც კი მას უთამაშია, ყველგან მნიშვნელოვანი ფეხბურთელი იყო გუნდისთვის. რაც შეეხება მის ხასიათს, ასეთი ტიპის მოთამაშე გუნდში უაღრესად საჭიროა. "ლევანტეში" მან ფაქტობრივად ვერ მოახერხა თამაში ტრავმის გამო, მაგრამ მისი თვისებების დანახვა არ იყო ძნელი.

**- ქართულ ფეხბურთზე რა წარმოდგენა, რა ინფორმაცია გაქვთ?**

- გავიგე, რომ რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გყავთ, ერთ-ერთი მათგანი იტალიაშია. თქვენ ნაკრებთან იტალიას ყოველთვის უჭირდა თამაში.

**- როგორ შეაფასებდით იტალიის ნაკრების შანსებს ევროპის ჩემპიონატზე?**

- ზოგადი პასუხი რომ არ გამომივიდეს, ასე გეტყვით: ძალიან დიდი იმედი მაქვს ანტონიო დი ნატალესი.

**- 34 წლის ხართ - კარიერის დასრულებას როდის აპირებთ?**

- ყოველ შემთხვევაში იტალიაში დაბრუნებას ჯერ არ ვაპირებ, ჩემს ოჯახს ძალიან მოსწონს ესპანეთი, ვნახოთ, რა ბედი ეწევა პრიმერა დივიზიონიდან გავარდნილ "ლევანტეს"- ალბათ იცით, რომ კლუბს ფინანსური პრობლემები აქვს.

დავით თავართქილაძე

● ● ●

არჩილ არველაძემ კაფკასსთან დაკავშირებით საინტერესო ნიუანსი გვითხრა.

- კაფკასი ქართული წარმოშობისაა, ლაზია... ერთ-ერთ მატჩში ის ლევან კობიაშვილის გუნდის პირისპირ აღმოჩნდა. თამაშის დაწყებამდე თოლუნაი მივიდა ლევანთან და ქართულად უთხრა - გამარჯობა კობი... კობიაშვილი ამას აშკარად არ ელოდა და გაოცდა... რაღა თქმა უნდა, გულთბილად მიესალმა და თოლუნაიმაც თავისი წარმოშობის შესახებ მოუთხრო.



თოლუნაი კაფკასს კომენტარისთვის რომ მივმართეთ, მოგვიბოდიშა, ინგლისური არ ვიცი, თბილისში მეუღლე ოიოსთან ერთად ჩამოვედი და ჩემს კომენტარს თურქულიდან ის გითარგმნითო.

- ტყუპ არველაძეებს "ტრაბზონიდან" ვიცნობ. ჩვენ მაშინ "ტრაბზონსფორს" ბევრი სიხარული და წარმატება ვაჩუქეთ. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყოდი, რომ ამ კლუბის ისტორიის შექმნაში არველაძეებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს. შოთასა და არჩილს თურქმა ფანებმა მეტსახელებიც კი შეარქვეს, მათ "იმპერატორებს" უწოდებდნენ.

შოთას თავიდანვე ეტყობოდა, რომ დიდი ტალანტი იყო. მის გვერდით თამაში ერთი სიამოვნება იყო. შოთა და არჩილი მოედნის მიღმაც გამორჩეულად თბილი, კეთილი, მხიარული და კონტაქტური ადამიანები არიან. ჩვენ დღესაც ახლო ურთიერთობა გვაქვს ერთმანეთთან და ოჯახებითაც ვმეგობრობთ. მოხარული ვარ, რომ დიდ ფეხბურთში შოთას ბოლო მატჩის ერთ-ერთი მონაწილე ვარ. ვფიქრობ, ხვალინდელი მატჩი კარგი სანახავი იქნება და შოთასა და მეც დიდხანს გვემახსოვრება.

კაფკასს ანდრეი კანჩელსკისი მოჰყვა. ის უფრო ენაწყლიანი აღმოჩნდა.

- მართალი გითხრათ, გული მწყდება, რომ შოთა არველაძის დონის ფეხბურთელი ასე მოულოდნელად და ნაადრევად ეთხოვება დიდ ფეხბურთს. მას კიდევ შეეძლო მაღალ დონეზე ეთამაშა... სამწუხაროდ, მუხლი არ აძლევს ამის საშუალებას. შოთამ კარიერა კარგ ნოტაზე დაასრულა, ის ლამაზად მიდის ფეხბურთიდან. მას ტიტულები არ აკლია, მაგრამ კიდევ არაერთი ტიტულის მოპოვება შეეძლო. თუმცა რას ვიზამთ...

» 8-9

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); გია თვალაბეიშვილი (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ზაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

მისამართი: 0159 თბილისი, ახმეტელის 10ა (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: 46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: +995. 32 46 32 62; ელფოსტა: sporti@sporti.ge; ინდექსი 66435 INDEX.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მადლობა ყველაფრისთვის



19 ივლისი, 1994 წელი. საქართველო-მალტა 1:1. შოთას პირველი ოფიციალური სანაკრებო გოლი




24 მარტი, 2007 წელი. შოტლანდია-საქართველო 2:1. შოთას ბოლო სანაკრებო მატჩი და გოლი

დღეს, შოთა არველაძის გამოსათხოვარი მატჩია! დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის საუკეთესო თავდამსხმელი მოთამაშის რანგში მოედანზე უკანასკნელად გამოვა. ვის და შოთას ასეთი პომპეზური გაცილება ალალად ეკუთვნის; ეკუთვნის იმ თვრამეტწლიანი, მართლაც, შთამბეჭდავი კარიერის გამო! შოთა არველაძეს სადაც კი უთამაშია, ყველგან გამორჩეული იყო: თბილისის "დინამოში" თუ საქართველოს ნაკრებში, "ტრაბზონსპორში" თუ "აიაქსში", "გლაზგო რეინჯერსში" თუ "ალკმაარში"; გამორჩეული იყო მაშინაც, 17 წლის ასაკში თბილისის "მართვეში" რომ გამოჩნდა - კარგად გვახსოვს, დღევანდელი გადმოსახედიდან ასე შორეულ 1990 წელს მთელი ქალაქი სამი ძმა არველაძის ფენომენზე რომ საუბრობდა. მერე იყო თავბრუდამხვევი კარიერა და "ოქროს წლები"; ეგ კი არა, ვეტერანებად რომ ინოდებიან, იმ ასაკშიც ახალ-ახალ გამონვევებს ეძებდა!




ტყუპები ტრაბზონში

შოთა არველაძე ყოველთვის და ყველგან "ფიგურა" იყო - ჩვენთანაც და უცხოურ კლუბებშიც შეუცვლელი ფეხბურთელი, საუკეთესო თავდამსხმელი და ბომბარდირი; ერთადერთი, ალბათ, ის არის გულდასანყვეტი, რომ დიდ ფეხბურთში უკანასკნელი სეზონი უგოლოდ დაასრულა. არადა, რომ არა მუხლის ქრონიკული ტრავმა, ვინ იცის, პრიმერა-დივიზიონის რამდენ მეკარეს დაამწუხრებდა. არა უშავს, დღეს გაიტანს გოლს, მერე ჩვეული ჟესტით აღნიშნავს და ისე წავა დიდი ფეხბურთიდან.

...ბუნებაში შემთხვევითობაც ისეთივე დოზით არის, როგორც კანონზომიერება; რა უნდა დავარქვათ იმ ფაქტს, რომ შოთა არველაძემ კარიერის უკანასკნელი მატჩი "სანტიაგო ბერნაბეუზე", მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ ითამაშა? პასუხი ერთმნიშვნელოვნად ცალსახაა - ეს იყო შთამბეჭდავი კარიერის ღირსეული დასასრული!..

...ქართული ფეხბურთის "სავიზიტო ბარათი" ყოველთვის ლამაზი, მაღალტექნიკური თამაში იყო. არაერთი, მართლაც, ყველასგან გამორჩეული თავდამსხმელებიც გვყავდა, ეპოქები რომ შექმნეს: ზოგს "ფინტების მეფე" ვუწოდეთ, ზოგს - "საუკუნის ბომბარდირი", ზოგს კი ესთეტიური და ინტელიგენტური თამაშის გამო - "ფეხბურთის პროფესორი". არველაძე-თავდამსხმელში თანამედროვე ფორვარდის აუცილებელ ყველა თვისებას "იპოვიდით": დრიბლინგიც ჩინებული ჰქონდა, პასის კულტურაც არ დაენუნებოდა და საგოლე ალღოზე კი, ვფიქრობთ, ზედმეტია საუბარი. უფროსი თაობის ქართველი ქომაგი დაგვეთანხმება: რამდენი ხანი ველოდით მაღალი კლასის ბომბარდირის გამოჩენას; ფაქტობრივად, **რამაზ შენგელიას** მერე ქართულ ფეხბურთს ასეთი არავინ ჰყოლია. უფრო ზუსტად, იქამდე, სანამ დიდ ფეხბურთში შოთა არველაძე არ გამოჩნდა!..

...ფეხბურთელი რომ დიდ ფეხბურთში 18 სეზონს ჩაატარებს, ჯერ მარტო მაგიტომ არის დასაფასებელი. თანაც, იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, როგორ ჩაატარებს - ზემოთაც ვთქვით და კვლავაც სიამოვნებით გავიმეორებთ, რომ არველაძე ყველგან "პრიმა" იყო! ბევრს ისიც უკვირდა, ასაკის მატება რომ არ ეტყობოდა - კვლავაც ეფექტური ფინტები, პოზიციის შერჩევის ფანტასტიკური უნარი და ერთი-მეორეზე უკეთესი გოლები. თანაც, რახან "გაკვირვებაზეა" საუბარი, ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მეკარეთა თუ ცენტრალური მცველების საფეხბურთო ხანდაზმულობაა ჩვეულებრივი მოვლენა; აი, 35 წლის თავდამსხმელი, ისიც მაღალ დონეზე მოასპარეზე, იშვიათი კი არა, სანთლით მოსაძებნია.

ახლა კი, ალბათ, დროა, თქვენის ნებართვით, შოთა არველაძის შთამბეჭდავი კარიერა გავიხსენოთ და თბილისის "მართვეთი" დავიწყოთ - საქართველოს პირველ ჩემპიონატში (1990 წელს) ეს გუნდი მეორე ჯგუფში ასპარეზობდა. მომდევნო სეზონში ძმები უკვე თბილისის "დინამოში" იყვნენ და **დავით ყიფიანის** გუნდში ერთმანეთს... სხვადასხვა რეკორდის დამყარებაში ეჯიბრებოდნენ! 1991 წლის 1 აპრილი - შოთას სადებიუტო მატჩია "დინამოში", როცა შეცვლაზე შემოსულმა ბურთთან პირველივე შეხება გოლად აქცია! "დინამოში" ჩატარებულ სამ არასრულ სეზონში ტიტულს ტიტული ემატებოდა, შედეგიანობა ხომ, მართლაც, გასაოცარი იყო - 74 მატჩში 62 გატანილი გოლი. 1993 წლის შემოდგომაზე, როცა "დინამოს" დამოუკიდებელი საქართველოს სახელით დებიუტი ჰქონდა ევროტურნირებზე, სწორედ შოთამ გაიტანა პირველი გოლი! აღარ გვინდა იმ ავადმოსაგონარი შეხვედრის (ჩრდილოირლანდიურ "ლინფილდთან") გახსენება, მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ამის მერე შოთას სპორტულ ბიოგრაფიაში უმნიშვნელოვანესი ეტაპი დაიწყო. ხვდებით, ალბათ, რომ ტყუპების თურქულ კარიერას ვგულისხმობთ. ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ეს ტრაბზონული ისტორია კი არა, ისტერია იყო! ამ სტრიქონების ავტორს ბედნიერება ხვდა წილად, საკუთარი თვალით ენახა, თუ როგორ აღმერთებდნენ ტყუპებს ტრაბზონში. იმასაც განვმეორდებით და ვიტყვით, რომ სამი წლის განმავლობაში ქალაქ ტრაბზონში ყველაზე პოპულარული ადამიანები **შოთა** და **არჩილ არველაძეები** იყვნენ! არც მანამდე და არც მერე თურქული ფეხბურთის სამივე გრანდი ("გალათასარაი", "ბეშიქთაში", "ფენერბახჩე") არც ერთ პროვინციულ კლუბს არ შეუვიწროებია. აი, "ტრაბზონსპორმა" კი მოახერხა და ტყუპების უდიდესი დამსახურებით ამ გუნდმა ორჯერ თურქეთის თასი მოიპოვა, ორჯერაც - ვერცხლის მედლები. შოთას ბრწყინვალე შედეგიანობა (91 მატჩში 62 გოლი) კი უკვე "ჩვეულებრივ ამბად" აღიქმებოდა, ისევე როგორც ინდივიდუალური ტიტულები - თურქეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობა და საუკეთესო ლეგიონერობა.

...თურქეთს უფრო ძლიერი ლიგა და, რაც მთავარია, ბევრად ტიტულოვანი კლუბი მოჰყვა - ჰოლანდიის ჩემპიონატი და ამსტერდამის "აიაქსი". აი, მაშინ იყო, მთელი საფეხბურთო ევროპა "აიაქსის", მართლაც, ბრწყინვალე "დუეტზე" რომ საუბრობდა - დანიელ **მიქაელ ლაუდრუპზე** და ქართველ შოთა არველაძეზე (დღესაც დავტკბებით!). შოთას კოლექცია კი ახალ-ახალი ტიტულებით (ჰოლანდიის ჩემპიონობა, თასი) ივსებოდა, საშინაო თუ ევროპულ ასპარეზზე თამაშს უგოლოდ არ ტოვებდა და ასე შემდეგ. უეფას თასზე იტალიურ "უდინეზეს" რომ ზღაპრული სილამაზის გოლი გაუტანა, ლამის ერთი წელიწადი ევროპის სპორტული ტელეარხები თითქმის ყოველდღე აჩვენებდნენ...

...ახალი საუკუნის დასაწყისი და ახალი გამოწვევა: 2001 წელს ქართველი ფორვარდი "გლაზგო რეინჯერსში" ჩაირიცხა. არ დავმალავთ: ბევრმა სკეპტიკოსმა ეს ნაბიჯი არველაძის კარიერის დასასრულის... დასაწყისად შეაფასა, შოთა კი ასეთ "კრიტიკოსებს" ყოველთვის "თავისებურად", უფრო ზუსტად, ტიტულებით პასუხობდა: ორჯერ შოტლანდიის ჩემპიონი გახდა, ორჯერ ასოციაციის თასი მოიგო და ასევე ორჯერ - ლიგის თასი; პლუს - ბევრი, ძალიან ბევრი გოლი...

...ქართველებს ბევრ სიკეთესთან ერთად უჩვეულოც არაერთი ზნე გვჭირს; ძალიან ხშირად ყოფილა, უცხოტომელს რომ გავაფეტიშებთ და ამ დროს, ჩვენიანის წარმატებას წავუყრუებთ ხოლმე. ჩვეულებრივ ამბად რომ ალვიქვათ, ეგ კიდევ არაფერი - ხშირად ქილიკსაც ვიწყებთ. ასეა ცხოვრებაში და ასეა - ფეხბურთშიც. კონკრეტული შემთხვევაც: 2005 წელს ჰოლანდიურ "ალკმაარში" მთავარ მწვრთნელად **ლუის ვან გაალი** დაინიშნა და მისი დაჟინებული მოთხოვნით გუნდში შოთა არველაძე მიიწვიეს. ისევ კრიტიკანარევი ირონია - 32 წლის თავდამსხმელი კარიერის დასრულებას "სოფლის" გუნდში აპირებსო... მით უმეტეს, ქართველ ფორვარდს იმ პერიოდში არცთუ სახარბიელო ფსიქოლოგიური განწყობა ჰქონდა: თბილისში, საბერძნეთთან მატჩის დროს ქართველმა ქომაგმა ობსტრუქცია მოუწყო! მიზეზს არ იკითხავთ? დამცველებისთვის დასახმარებლად საკუთარ საჯარიმოში ბურთი კუთხურზე "აეჭრა" და ამას ბერძენთა (ევროპის მოქმედი ჩემპიონის) პირველი გოლი მოჰყვა. ერთი, ჩვეულებრივი საფეხბურთო ეპიზოდის გამო, თითქოსდა, ყველას ყველაფერი დაავიწყდა, ზოგიერთი ჩვენი კოლეგის ჩათვლით...

...შოთამ ყველა სკეპტიკოსს პასუხი ისევ თამაშით გასცა: "ალკმაარის" კაპიტანმა იმდენი მოახერხა, რომ ამ პროვინციულ კლუბს ძველი დიდება დაუბრუნა (შორეული, 1981 წლის მერე). არადა, ყველამ იცოდა, რომ ბოლო წლები მუხლმტკივანი თამაშობდა; მაგრამ არაფერს ეპუებოდა და სავსებით ლოგიკურიც იყო, შარშან საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელად რომ დაასახელეს. თანაც, 34 წლის ასაკში! ასეთი პატივი კი დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ნომერ პირველ თავდამსხმელს პირველად 21 წლის ასაკში ერგო, მეორედ - 25 წლის.

...კარიერის ბოლო გუნდზე, ესპანურ "ლევანტეზე" რა უნდა ვთქვათ. ზემოთაც აღვნიშნეთ: გული გვწყდება, ესპანეთის ჩემპიონატში გოლი რომ ვერ გაიტანა. სამწუხაროდ, ის ქრონიკული ტრავმა ვერა და ვერ მოირჩინა და ამის გამოც იყო, საქართველოს ნაკრებში ასპარეზობა რომ დაასრულა.

საქართველოს ნაკრები და შოთა არველაძე - ეს, მართლაც, ცალკე და ვრცელი თემაა. ისიც არ არის შემთხვევითი, რომ საქართველოს ნაკრებში ყველაზე მეტი გოლი მას აქვს გატანილი. თანაც, მნიშვნელობა არ ჰქონდა მეტოქეს: შვეიცარია იქნებოდა თუ უნგრეთი, სლოვენია თუ ლატვია, სომხეთი თუ მოლდოვა, პოლონეთი თუ ბულგარეთი, უელსი თუ მალტა, აზერბაიჯანი თუ უკრაინა, ფარერები თუ ახალი ზელანდია, იორდანია თუ შოტლანდია. თუმცა განსაკუთრებით ალბანეთი და მათი "მარადიული" მეკარე **ფოტო სტრაკოშა** ჰყავდა დაბრიყვებული - სხვადასხვა დროს ხუთი გოლი რომ გაუტანა.

...საქართველოს ნაკრებში დებიუტი 1992 წელს ჰქონდა (სტუმრად - ლიტვასთან) და 2007 წლამდე ამ გუნდის შეუცვლელი ფეხბურთელი იყო. ამ დროის განმავლობაში ნაკრების რამდენიმე თაობასთანაც მოუწია თამაში. ამიტომაც არის, რომ დღეს მის გვერდით ჩვენი ნაკრების სხვადასხვა წარმომადგენელს ვიხილავთ. განსაკუთრებით კი ნაკრების სულ პირველი თაობის ხილვა იქნება საინტერესო; იმ თაობის, ვინც ძმებ არველაძეებთან ერთად ქართული ფეხბურთი ევროპას გააცნეს - **თემურ ქეცბაია, გიორგი ქინქლაძე, კახა ცხადაძე, მურთაზ შელია, გიორგი ნემსაძე, გოჩა ჯამარაული, მიხეილ ყაველაშვილი...**

...დღევანდელი გადასახედიდან, ალბათ, უცნაურზე მეტად გვეჩვენება ის გარემოება, როცა საქართველოს ნაკრების ამ პირველი თაობისგან მოსალოდნელზე მეტს ვითხოვდით. მწარედ გვეცინება, 1995 წელს რომ ვიხსენებთ - სადებიუტო ციკლში საქართველოს ნაკრების მესამე ადგილი... წარუმატებლობად შეფასდა! ჰო, შოთა არველაძისა და ნაკრების პირველი თაობის მის თანაგუნდელებისგან, მართლაც, მეტს ვითხოვდით. ალბათ, იმიტომაც, რომ ყველა მათგანს ფეხბურთის თამაში შეეძლო და ეს არაერთხელ დაამტკიცეს კიდეც.



26 აპრილი, 1994 წელი. საქართველო-ალბანეთი 2:0.
გელა ინალიშვილი, შოთა არველაძე, გიორგი ლუდუშაური, გოჩა ჯამარაული, თემურ ქეცბაია

...დღეს შოთა არველაძე დიდი ფეხბურთიდან მიდის; მიდის თავაწეული, ვალმოხდილი და დაფასებული - სხვანაირად თბილისში მის გაცილებაზე ამდენი ვარსკვლავი (ქართველი თუ უცხოელი) არ შეიკრიბებოდა. და მთავარიც: შოთას ფეხბურთიდან წასვლა ორმხრივად გულსატკენია, რამეთუ მისი ღირსეულად შემცვლელი არა და არ გამოჩნდა...

**გია ტუხაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. მერანი

# დაბრუნება ჩვეულ ადგილას

**მერანი**

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| სარალიძე | 22 | 22 | 1 | 4 | - |
| გიგაური | 21 | 20 | - | 3 | - |
| თევდორაძე (მეკ.) | 20 | 20 | -35 | 5 | - |
| ჯანგიძე | 19 | 18 | 1 | 3 | 1 |
| ლოლაძე | 18 | 18 | - | 4 | - |
| ვ. გოჩაშვილი | 17 | 17 | 5 | 1 | - |
| კობერიძე | 14 | 12 | - | - | - |
| ბესარაშვილი | 13 | 9 | - | - | - |
| ძემაშვილი | 13 | 7 | - | 1 | - |
| ტყეშელაშვილი* | 12 | 10 | 1 | 1 | - |
| თ. კობიაშვილი | 11 | 11 | - | 1 | 1 |
| იაგო დეისაძე | 11 | 7 | - | 2 | - |
| ლომაშვილი* | 10 | 9 | - | 2 | - |
| ფურთუხია | 10 | 6 | - | 3 | - |
| ბაკურაძე** | 9 | 9 | - | 2 | - |
| ი. შენგელია | 9 | 8 | 2 | 1 | - |
| ბ. ნოზაძე* | 7 | 7 | - | 1 | - |
| გ. ჟღენტი* | 7 | 6 | - | 1 | - |
| იაკობ დეისაძე | 7 | 4 | - | 1 | - |
| ა. კალაძე | 7 | 4 | - | 1 | 1 |
| ლ. გრიგალაშვ.** | 6 | 6 | - | 1 | - |
| თავზერიძე** | 6 | 5 | - | 1 | - |
| ზ. ავალიანი* | 6 | 3 | - | - | - |
| ფირანიშვილი** | 6 | 2 | - | 1 | - |
| ტიელიძე** | 5 | 5 | 1 | - | - |
| აფშილავა** | 5 | 4 | - | 1 | - |
| ძოძიაშვილი** | 5 | 2 | - | - | - |
| სეფიაშვილი (მეკ.)* | 4 | 4 | -10 | 1 | - |
| მ. ჟღენტი** | 4 | 3 | - | - | - |
| სევასტოპულო* | 3 | 2 | - | - | - |
| ბურჯანაძე* | 3 | 2 | - | 1 | - |
| ქობალია | 3 | 1 | 1 | - | - |
| ხუჭუა* | 3 | - | 1 | - | - |
| არაყიშვილი** | 2 | 2 | - | - | - |
| კიკალიშვილი** | 2 | 2 | - | - | - |
| კ. ავალიანი* | 2 | 2 | - | - | - |
| არველაძე** | 2 | 2 | - | - | - |
| წიქარიშვილი* | 2 | 2 | - | - | - |
| დგებუაძე (მეკ.)** | 2 | 2 | -9 | - | - |
| ნაკაშიძე** | 2 | 2 | - | - | - |
| კილასონია* | 2 | 1 | - | - | - |
| პატარქალიშ.** | 2 | 1 | - | - | - |
| ბურჭულაძე** | 2 | - | - | - | - |
| ნ. მახვილაძე** | 1 | 1 | - | - | - |
| ქავთარაძე** | 1 | 1 | - | 1 | - |
| ქორიძე* | 1 | 1 | - | 1 | - |
| მ. კალაძე** | 1 | 1 | - | - | - |
| ცქვიტინიძე** | 1 | 1 | - | - | - |
| ჭიკაიძე** | 1 | 1 | - | - | - |
| ახალაია** | 1 | 1 | - | - | - |
| კევლიშვილი** | 1 | - | 1 | - | - |
| სალირაშვილი** | 1 | - | - | - | - |
| სირბილაძე* | 1 | - | - | - | - |
| ზ. ქობახიძე** | 1 | - | - | - | - |
| კაკულია** | 1 | - | - | - | - |
| მგალობლიშვილი* | 1 | - | - | - | - |
| ცისკარაული* | 1 | - | - | - | - |
| მახარაშვილი** | 1 | - | - | - | - |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| 2. ვიტ-ჯორჯია | 26 | 19 | 3 | 4 | 45-14 | 60 |
| ***3. ზესტაფონი*** | ***26*** | ***18*** | ***5*** | ***3*** | ***56-16*** | ***59*** |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| 9. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| 10. ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |



"მერანი" გასულ სეზონშიც უმაღლეს ლიგაში დასარჩენად იბრძოდა, მაგრამ ამჯერად მიზანს ველარ მიაღწია და ჩემპიონატი მე-12 პოზიციაზე დაასრულა.. თბილისური კლუბი მთელი სეზონის განმავლობაში არასტაბილური იყო, "მერანმა" მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელ მატჩებში ითამაშა ხარისხიანი ფეხბურთი. წარუმატებლობას ბევრი მიზეზი აქვს, პირველ რიგში კი, "მერანის" დაღმასვლა ალბათ, საკადრო პრობლემებმა გამოიწვია. გუნდის ბირთვი ვერც ამ სეზონში ჩამოყალიბდა, "მერანის" ღირსება 59-მა (!) ფეხბურთელმა დაიცვა.

ჯერჯერობით, გაურკვეველია, რა ბედი ენევა კლუბს მომავალი სეზონისთვის. სავარაუდოდ, პირველ ლიგაში სასპარეზო თანხები გამოინახება, მაგრამ მოვლენებს წინ მაინც ნუ გავუსწრებთ.

### დავით ეჯიბიშვილი
### მთავარი მწვრთნელი

"სეზონს, რალა თქმა უნდა, უარყოფითად ვაფასებ. ბევრი შეცდომა დავუშვით, ვერ ჩამოყალიბდა საკლუბო სტრუქტურა, სტრატეგია... იმის თქმაც შეიძლება, რომ უმაღლესი ლიგისთვის მზად არ აღმოვჩნდით. წინ ნაკლებად ვიყურებოდით, ისეთი სიტუაცია იყო, რომ იძულებულნი ვიყავით, მხოლოდ "დღევანდელი დღით" გვეცხოვრა. მოკლედ, ეს შედეგი სავსებით სამართლიანად მივიღეთ.

გუნდს არცთუ ბევრი პლუსი ჰქონდა, უარყოფითი მხარეები კი ძალიან ბევრი. ყველაფრის მიუხედავად, მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებთ. იმედია, დაშვებული შეცდომებიდან სწორ დასკვნებს გამოვიტანთ და "მერანი" მომავალში უფრო ძლიერი კლუბი იქნება".

### მზადება მომავალი სეზონისთვის

"მოსამზადებელი ეტაპი ჯერ არ დაგვიგეგმავს. გუნდი ვარჯიშს, სავარაუდოდ, 10 ივნისიდან შეუდგება. მანამდე კი ბევრი რამაა გასარკვევი. კლუბის ხელმძღვანელობას ამ დღეებში შევხვდები და უფრო კონკრეტულად მეცოდინება, რა მიზნები ექნება "მერანს" მომავალ სეზონში".

### საკადრო პოლიტიკა

"ფეხბურთელები შვებულებაში არიან და წამსვლელთა ვინაობა მალე გაირკვევა. წინასწარ კი იმის თქმა შემიძლია, რომ გუნდის შემადგენლობა კარდინალურად გადახალისდება. აქცენტს ძირითადად, ახალგაზრდებზე გავაკეთებთ. ჯერ მეც არ ვიცი, დავრჩები თუ არა "მერანის" მთავარ მწვრთნელად. ყველაფერი კლუბის შესაძლებლობებსა და სამომავლო გეგმებზე იქნება დამოკიდებული".

### მიზნები

"ნებისმიერ შემთხვევაში, უმაღლეს ლიგაში დასაბრუნებლად ვიბრძოლებთ, შემდეგ კი "მერანი" ეტაპობრივად შეეცდება უფრო მაღალი ამოცანების გადაჭრას. უკვე საკმაო გამოცდილება დაგვიგროვდა და ეტაპობრივად უკეთესი შედეგების ჩვენება უნდა შევძლოთ".

### ფინანსური მდგომარეობა

"გასულ სეზონში ამ მხრივ ნორმალური სიტუაცია იყო, კლუბის სამომავლო ბიუჯეტი კი უახლოეს დღეებში გახდება ცნობილი".

### რჩეულნი

"ლიდერი გუნდებიდან რამდენიმე ფეხბურთელი მომეწონა, თუმცა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშის გამოყოფა მიჭირს. "მერანიდან" კი მხოლოდ **ლევან სარალიძეს** გამოვარჩევ".

### მსაჯობა

"საქართველოში მსაჯთა კორპუსი გაახალგაზრდავდა, რამაც საგრძნობი პროგრესი მოიტანა. გარკვეული ხარვეზები მაინც არსებობს, მაგრამ საერთო ჯამში, ჩვენი მსაჯების მუშაობა მაღალ შეფასებას იმსახურებს".

### ორი ჩემპიონატის შედარება

"ბოლო ორ ჩემპიონატს შორის დიდ სხვაობას ვერ ვხედავ, ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო სეზონში ლიდერებს აუტსაიდერებთან თამაში უფრო უჭირდათ".

**ლევან ჯანეზაშვილი**




**I ტური**
ს ბორჯომი 0:1

**II ტური**
ს მგლები 0:1

**III ტური**
შ სპარტაკი 0:1

**IV ტური**
ს დინამო 0:3

**V ტური**
შ ბათუმი 2:1
გოლები: გოჩაშვილი, ხუჭუა

**VI ტური**
ს ამერი 0:7

**VII ტური**
შ ვიტ ჯორჯია 0:3

**VIII ტური**
ს მესხეთი 1:2
გოლი: ქობალია

**IX ტური**
შ ზესტაფონი 0:1

**X ტური**
ს ლოკომოტივი 2:0
გოლები: გოჩაშვილი, ტყეშელაშვილი

**XI ტური**
ს ოლიმპი 0:2

**XII ტური**
შ სიონი 1:1
ავტოგოლი: ოქროპირიძე

**XIII ტური**
შ დილა 1:0
გოლი: გოჩაშვილი

**XIV ტური**
შ ბორჯომი 1:0
გოლი: შენგელია

**XV ტური**
შ მგლები 0:1

**XVI ტური**
ს სპარტაკი 0:1

**XVII ტური**
შ დინამო 0:2

**XVIII ტური**
ს ბათუმი 2:0
გოლები: შენგელია, კევლიშვილი

**XIX ტური**
შ ამერი 1:5
გოლი: ჯანგიძე

**XX ტური**
ს ვიტ ჯორჯია 0:3

**XXI ტური**
შ მესხეთი 0:4

**XXII ტური**
ს ზესტაფონი 1:6
გოლი: ტიელიძე

**XXIII ტური**
შ ლოკომოტივი 0:1

**XXIV ტური**
ს დილა 3:2
გოლები: გოჩაშვილი (2), სარალიძე

**XXV ტური**
შ ოლიმპი 0:1

**XXVI ტური**
ს სიონი 0:5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელი

# სვენი დაითხოვეს

## მანჩესტერ სიტიმ ბლექბერნის ჰიუზს დაადგა თვალი, ბლექბერნმა კი ელერდაისი მოიკითხა

**სვენ გორან ერიქსონი** "მანჩესტერ სიტის" მთავარი მწვრთნელი აღარ არის. ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, კლუბის ხელმძღვანელობამ მას კარისაკენ მიუთითა. კონტრაქტი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეჩერდა. უცნობია, რა კომპენსაციას მიუთვლიან შვედ სპეციალისტს. ვაკანტურ პოსტზე "ბლექბერნის" თავკაცი **მარკ ჰიუზი** აცხადებს პრეტენზიას. "ბლექბერნის" ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ მწვრთნელს "სიტისთან" მოლაპარაკებების გამართვის ნება დართო. თვითონ კი **სემ ელერდაისს** შეეხმიანა. "ბოლტონისა" და "ნიუკასლის" ყოფილ დამრიგებელს პოზიცია ჯერ არ დაუფიქსირებია.

მანჩესტერელებმა გასული სეზონი მეცხრე ადგილზე დაასრულეს. გუნდს უკეთესო შედეგის მიღწევა შეეძლო, პირწმინდად ჩაგდებული მეორე წრე რომ არა. წარუმატებელი ასპარეზობის კულმინაცია იყო ბოლო ტურის მატჩი "მიდლსბროსთან". სვენმა სამწვრთნელო კარიერაში ყველაზე სამარცხვინო ნაგება იგემა - 1:8.

*"მანჩესტერში საუცხოო ერთი წელიწადი გავატარე. მადლობა ფანებს, ფეხბურთელებს, კლუბის თანამშრომლებსა და ხელმძღვანელობას მთელი სეზონის განმავლობაში აღმოჩენილი მხარდაჭერისათვის. "სიტის" დიდ წარმატებებს ვუსურვებ,"* - ასეთი განცხადება გააკეთა სვენმა კლუბთან კონტრაქტის გაწყვეტის შემდეგ.


სვენ გორან ერიქსონი მანჩესტერს გამოეთხოვა

ერიქსონი გუნდში გასული წლის ივლისში დაინიშნა. მის დანიშვნამდე ერთი თვით ადრე კლუბის აქციები ტაილანდის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა **ტაქსინ შინავატრამ** შეიძინა. "სიტიში" მისვლამდე ერიქსონი ერთწლიან შვებულებაში იმყოფებოდა. 2006 წლის ზაფხულში ის ინგლისის ნაკრებიდან გაათავისუფლეს. სვენს საკლუბო ფეხბურთში 2001 წლის ზაფხულის შემდეგ აღარ ემუშავა. მანჩესტერამდე მისი უკანასკნელი კლუბი "ლაციო" გახლდათ, რომელსაც ის შვიდი წლის წინათ გამოეთხოვა.

ერიქსონს მიზნად დაუსახეს გუნდის უმოკლეს დროში ტრანსფორმაცია. მან ახალ ფეხბურთელებში 50 მილიონ გირვანქაზე მეტი დახარჯა. "სიტიმ" ჩემპიონატის საუცხოოდ დაიწყო - მოიგო პირველი ცხრა მატჩი, სძლია თანაქალაქელ "მანჩესტერ იუნაიტედს" და ერთი ხანობა, ჩემპიონატის ლიდერად მოგვევლინა. მაგრამ 2008 წლის დადგომასთან ერთად, მისი შედეგები მკვეთრად გაუარესდა. ამის მიუხედავად, სვენმა მაინც მოახერხა "იუნაიტედის" მეორედ განზილება. პირველად 34 წლის განმავლობაში, "სიტიმ" "მენიუს" სეზონის ორივე მატჩი მოუგო.

ასე იყო თუ ისე, სვენის საკლუბო ფეხბურთში დაბრუნება არცთუ წარმატებული გამოვიდა. სპეკულაციების თანახმად, ის ისევ რომელიმე ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდება. ასახელებენ მექსიკის ნაკრებს. აგენტი, რომელიც სვენის მექსიკაში წაყვანას ცდილობს, ამბობს, რომ მექსიკელებს სარფიანი კონტრაქტი გამზადებული აქვთ. საკმარისია მწვრთნელის თანხმობა და ის უმალ "აცტეკების" დამრიგებელი გახდებაო.

ინტერი

# ოფიციალური განცხადება: მოურინიოს ბექჰედი დაესვა

ყველაფერს სწორედ ეს აკლდა - ოფიციალური დადასტურება. **მასიმო მორატისა** და **ჟოზე მოურინიოს** პარიზული შეხვედრები, შეიძლება, წყალში ჩაყრილიყო, მხარეებს შეთანხმებისთვის რომ ვერ მიეღწიათ. არადა, მსგავსი რამ საფეხბურთო პრაქტიკაში ხშირად მომხდარა. რალაც დეტალებზე შეუთანხმებლობის გამო, არაერთი ტრანსფერი ჩაშლილა, გნებავთ ფეხბურთელის, გნებავთ მწვრთნელის...

ახლა, ყველაფერი "აჟურშია". "ინტერმა" გაავრცელა ოფიციალური პრესრელიზი, რომელშიც ნათქვამია, რომ მოურინიოს დღეს, შუაევროპული დროით 11 საათსა და 30 წუთზე, აპიანო ჯენტილეს საწვრთნელ კომპლექსში წარადგენენ. პორტუგალიელი სპეციალისტის ასისტენტებად მისი შტაბის უცვლელი წევრები - **რუი ფარიაში, სილვინო** და **ანდრეი ვილაშ ბოაში** იმუშავებენ, ხოლო მწვრთნელის "მარჯვენა ხელი" იქნება **ჯუზეპე ბარეზი** (ფრანკო ბარეზის ძმა), რომელიც დღემდე ახალგაზრდულ "ნერაძურის" ავარჯიშებდა.


დღეს მოურინიოს აპიანო ჯენტილეში ელოდებიან

"განსაკუთრებული კაცი" ახალ კლუბთან 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს. ხელშეკრულების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. ისლა დაგვრჩენია, ვარაუდებს დავეყრდნოთ. როგორც ადრე დაიწერა, მოურინიო წლიურად, დაახლოებით, 9 მილიონ ევროს მიიღებს.

ინგლისის ნაკრები

# ბექჰემი: კაპიტანი ორწლიანი პაუზის შემდეგ

## ...და ერთი მატჩით ნაკრებში დაბრუნებული დუაიტ იორკი

ინგლისის ნაკრებმა ტრინიდადსა და ტობაგოს სამი უპასუხო გოლი გაუტანა. **დევიდ ბექჰემმა** 2006 წლის მუნდიალის შემდეგ პირველად მოირგო კაპიტნის სამკლაური და ნაკრებში 102-ე მატჩი ჩაატარა. **გარეთ ბერიმ** ინგლისელთა მაისურით პირველი გოლი შეაგდო (მისი სანაკრებო კარიერა რვა წელიწადს ითვლის). **ჯერმეინ დეფომ** კი დუბლი მიითვალა

*"გამიკვირდა, რომ სამკლაური მე გადმომცეს. არ ველოდი. ძალიან გახარებული ვარ. ჩემთვის დიდი პატივია ნაკრებში თამაში და ამავე დროს, გუნდის კაპიტნობა. მზად ვარ, მწვრთნელის ნებისმიერი დავალება შევასრულო. თამაშის შემდეგ ვხუმრობდით: ბიჭებს შვებულება დაეწყოთ, მე კი ამერიკაში ვბრუნდები, სადაც სეზონი სულ უფრო მეტად ხურდება. არა უშავს, საშობაოდ, მე რომ არდადეგები მექნება, მათ სულის მოსათქმელადაც არ ეცლებათ,"* - განაცხადა ბექჰემმა.


დევიდ ბექჰემი ისევ კაპიტანი გახდა.

პორტ ოფ სფეინში შეკრებილმა 23 500 მაყურებელმა **დუაიტ იორკს** დიდი ოვაცია გაუმართა. 36 წლის ვეტერანი მინდორზე 75-ე წუთზე შევიდა. იორკმა სანაკრებო კარიერა ერთი წლის წინათ დაასრულა, მაგრამ ინგლისთან შეხვედრისათვის, საგანგებოდ, ერთი თამაშით დაუბრუნდა მინდორს. ტრინიდადელები ინგლისს 2006 წლის მუნდიალზეც შეხვდნენ. ის მატჩიც ევროპელთა გამარჯვებით დასრულდა, 2:0. ინგლისს მომდევნო მატჩი აგვისტოში, ჩეხეთის ნაკრებთან ექნება. სექტემბერში კი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს დაიწყებს.

ევრო 2008

# იტალია შოკშია: კანავარო ევროპას გამოტოვებს

## ვიეირას მხოლოდ პირველი მატჩი გაუცდება

### იტალია

ავსტრიის ქალაქ ბადენში გუშინ ჩასული იტალიის ნაკრების პირველივე ვარჯიში "სკუადრა აძურას" ქომაგებისთვის განგაშის საფუძველი გახდა. **ჯორჯო კიელინისთან** შეჯახების დროს, იტალიელთა კაპიტანი **ფაბიო კანავარო** სერიოზულად დაშავდა. 34 წლის "კანამ" მარცხენა კოჭი დაიზიანა. ის მოედანზე 20 წუთის განმავლობაში იწვა, მერე საკაცით გაიყვანეს და პირდაპირ ჰოსპიტალში უკრეს თავი. ექიმებს პირველადი დიაგნოზი 24 საათის შემდეგ უნდა დაედოთ, მაგრამ კაპიტნის კოჭზე ჩატარებულმა სკანირებამ აჩვენა, რომ მოცდა საჭირო აღარ იყო - მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მცველს ევროპის ჩემპიონატის გამოტოვება მოუწევს.


კანავარო შინ ბრუნდება

კანავარო, რომელსაც ნაკრებში 116 მატჩი აქვს ჩატარებული და რომელმაც უდიდესი ღვაწლი გაიღო გერმანიის მუნდიალის მოგებაში, "აძურისთვის" აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება, რამაც ასახვა, შეიძლება, საბოლოო შედეგშიც ჰპოვოს. არ დაგვავიწყდეს, რომ იტალია "სიკვდილის ჯგუფშია", სადაც მასთან ერთად საფრანგეთი, ჰოლანდია და რუმინეთიც არიან.

ვინ შეცვლის კაპიტანს? სააგენტო "ანსას" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, **რობერტო დონადონი** ან მილანელ **დანიელე ბონერას** გამოიძახებს (13 მატჩი ეროვნულ გუნდში), ან ფიორენტინელ **ალესანდრო გამბერინის** (2 მატჩი).

### ჰოლანდია

ხვალ **რობინ ვან პერსი** ჰოლანდიის ნაკრებთან ერთად ივარჯიშებს. იტალიასთან 9 ივნისის მატჩში მისი ასპარეზობა მაინც საეჭვოა. ჰოლანდიელებმა ევროპის ჩემპიონატისათვის მზადება 20 მაისს დაიწყეს. დღემდე "არსენალის" გარემარბი ინდივიდუალურად ემზადებოდა. ვან პერსი გასული წლის ოქტომბერში დაშავდა. სლოვენიასთან შესარჩევი მატჩისას მან მუხლი იტკინა და ხანგრძლივი დროით ჩამოშორდა მინდორს. გასულ სეზონში, ვან პერსიმ "არსენალის" შემადგენლობაში მხოლოდ 15 მატჩი ჩაატარა. რობინს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები 2007 წლის იანვრიდან აწუხებს. ბოლო 18 თვის განმავლობაში მას სამი სხვადასხვა სირთულის ტრავმის მოშუშება მოუხდა. ფეხბურთელი იმედიანადაა განწყობილი და ამბობს, რომ ევროპის ჩემპიონატს ოპტიმალურ ფორმაში შეხვდება.

### საფრანგეთი

**პატრიკ ვიეირას** ტრავმის გამო **მატიო ფლამინი** საფრანგეთის ნაკრებში გამოიძახეს, მაგრამ **რაიმონ დომენეკს** განაცხადში მისი შეყვანა არ დასჭირდა. ის მოთმინებით ელოდებოდა ექიმთა ვერდიქტს, რომელთაც უნდა ეთქვათ - დარჩებოდა თუ არა ვიეირა ეროვნულ გუნდთან ერთად. გუშინ, დომენეკმა პრესკონფერენცია გამართა და პრესას აუწყა, რომ პატრიკის შეცვლა საჭირო აღარ არის. "ინტერის" შუახაზელი მხოლოდ რუმინეთთან პირველ მატჩს გამოტოვებს. ეს იქნება 9 ივნისს, ხოლო მანამდე, ვიეირა იმკურნალებს და ეცდება, ჰოლანდიასთან მეორე ტურის მატჩს (13 ივნისი) სრულ მზადყოფნაში შეხვდეს.

### შვედეთი

კვირას შვედეთმა უკრაინასთან მინიმალური ანგარიშით წააგო. ამხანაგური მატჩი სტოკჰოლმში გაიმართა. მასპინძლებმა ისე უსახურად ითამაშეს, რომ გულშემატკივარმა საყვარელი გუნდი სტვენით აიკლო. **ლარს ლაგერბაკმა** ოპტიმალური შემადგენლობა გამოიყვანა. მწვრთნელმა ძირითადში დააყენა **ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და **ჰენრიკ ლარსონი**. შვედებმა პირველი ნახევარი ალმავლობით ჩაატარეს, მაგრამ მეტოქის მცველებთან ვერაფერს გახდნენ. შესვენების შემდეგ თამაში გათანაბრდა. 82 წუთზე **სერგეი ნაზარენკომ** გამარჯვების გოლი შეაგდო. მეორე ტაიმში შვედების კარში სათადარიგო გოლკიპერი **რამი შააბანი** იდგა.

იბრაჰიმოვიჩს მუხლის ტრავმა ჯერ არ მორჩენია. სულ რაღაც ერთი თვის წინათ მისი ევროპის ჩემპიონატზე გამგზავრება საეჭვო იყო. ზლატანმა 55 წუთი ითამაშა. მას ფეხი არ ასტკივებია. იბრამ ესეც კი დიდ მიღწევად მიიჩნია. ცნობისთვის, "ინტერის" თავდამსხმელს შვედეთის ნაკრების შემადგენლობაში 2005 წლის ოქტომბრის შემდეგ არ გაუტანია. ტრავმას იშუშებს შვედების კიდევ ერთი ვარსკვლავი **ფრედრიკ ლიუნგბერგი**. უკრაინასთან მატჩისას ტერფი იტკინა თავდამსხმელმა **იოჰან ელმანდერმა**. მან თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო და 21-ე წუთზე შეცვალეს.

### პოლონეთი

პოლონეთმა ბოლო ამხანაგური მატჩი გამართა. მან დანიას ვერ მოუგო, 1:1. სტუმრებმა ანგარიში 28-ე წუთზე გახსნეს - **არტურ ბორუცმა ნიკლას ბენდტნერის** დარტყმა მოიგერია, **მარტინ ვინგაარდის** დამატებულთან კი ვერაფერი გააწყო. პოლონეთმა 42-ე წუთზე გაათანაბრა - **ები სმოლიარეკმა იაცეკ კრჟინოვეკის** პასით ისარგებლა. კაპიტან **მასიეჟ ჟურავსკის** უფრო ადრე უნდა გაეტანა, მაგრამ დანიელთა მეკარემ მისი 11-მეტრიანი მოიგერია. დანიამდე პოლონეთმა ვერც მაკედონიას მოუგო (1:1) და ალბანეთთან მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვა. **ლეო ბეენჰაკერის** შეგირდები პირველი მატჩს 8 ივნისს, ავსტრიის ქალაქ კლაგენფურტში, გერმანიის ნაკრებთან ჩაატარებენ.

### უსაფრთხოება

ავსტრიის ხელისუფლებამ ევროპის ჩემპიონატის მოახლოებასთან ერთად, ქვეყნის საზღვრები ჩაკეტა. 1 ივლისამდე უმთავრეს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებს 2000 ავსტრიელი და 143 უცხოელი პოლიციელი დაიცავს. ავსტრია შენგენის ზონის ნაწილია. ევროკავშირის მოქალაქეებს მის ტერიტორიაზე გადაადგილება საპასპორტო კონტროლის გარეშე შეუძლიათ. მაგრამ ევროპული კანონმდებლობა განსაკუთრებული შემთხვევებისათვის კონტროლის გამკაცრებას ითვალისწინებს. ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი სწორედ ასეთ შემთხვევად ჩაითვალა. ერთი თვის განმავლობაში ავსტრია 1 მილიონ ტურისტს ელოდება.

ევროს თანამასპინძელი შვეიცარიის ხელისუფლებას ანალოგიური ნაბიჯის გადადგმა არ დასჭირვებია. შვეიცარია შენგენის ზონაში არ არის. მის საზღვარზე უპასპორტოდ გადასვლა ისედაც შეუძლებელია. ავსტრია უფრო შორს წავიდა და წესრიგის უკეთ დაცვის მიზნით, დახმარებისათვის მეზობელ გერმანიასა და საფრანგეთს მიმართა. გერმანამ მზადაა, ევროპის ჩემპიონატის დღეებში, მეზობელს 850 პოლიციელი დაახმაროს. საფრანგეთი ავსტრიაში 750 სამართალდამცველს მიავლენს.

ევრო 2008. ვარაუდები

# მოახერხებს ესპანეთი ხანგრძლივი ტკივილის გაყუჩებას?

## შესაძლოა, უკვე 17 ივნისს ჩემპიონატი იტალიის ან საფრანგეთის გარეშე დარჩეს



ესპანეთს შეუძლია, კრიტიკოს-სკეპტიკოსები გააჩუმოს ისე, როგორც ეს საბერძნეთმა ოთხი წლის წინათ მოახერხა. ევრო 2008-ის მონაწილე ყველა ქვეყნის გუნდის წარმომადგენლები ერთ აზრზე არიან: მათ ძალიან აკლიათ ინგლისის ნაკრები, თავისი მოხულიგნო, მაგრამ ერთგული გულშემატკივრებით. თუმცა პრემიერლიგის თაყვანისმცემლები თავს იმით დაიმშვიდებენ, რომ მათ საყვარელ ლიგაში მოთამაშე უცხოელ ფეხბურთელებს მაინც იხილავენ მოედანზე - **კრისტიანო რონალდოს, ფერნანდო ტორესს, სესკ ფაბრეგასს** და ბევრ სხვას. იგივე შეიძლება ითქვას იმ ქომაგებზეც, რომელთაც "დიდ ოთხეულში" არა და, სხვა გუნდებში ჰყავთ თავიანთი ფავორიტები. მაგალითად, "მიდლსბროში" - ხორვატი **ვედრან კორლუკა**, "არსენალში" - ფრანგი **ლასანა დიარა**, "ასტონ ვილაში" კი შვედი **ოლოფ მელბერგი**.

მოკლედ, ყურადღების მისაქცევი ძალიან ბევრი რამ და ვინმე იქნება. ფაქტი, რომ 2004 წელს საბერძნეთმა არაფრისგან ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, რომანტიკოსებს აიმედებს და გვახსენებს კიდეც იმას, რომ ყველას შეუძლია, გააწბილოს სკეპტიკოსები. საბერძნეთმა პორტუგალიაში მებრძოლი სულისა და საოცარი ორგანიზებულობის მეშვეობით გაიმარჯვა. მსგავსი ხასიათით, შვედეთს აქვს შანსი, გააკვირვოს საფეხბურთო საზოგადოება. უფრო რეალისტები რომ ვიყოთ, ფავორიტებად გერმანია, ესპანეთი, იტალია და პორტუგალია ითვლებიან. ადვილი შესაძლებელია, რომ ნახევარფინალში სწორედ ეს ოთხი გუნდი აღმოჩნდეს.

შედეგების გაანალიზება ყველა შემთხვევაში დაიწყება ჯგუფური ტურნირიდან, საიდანაც ფინალისკენ გზას 8 ნაკრები გააგრძელებს. A ჯგუფში, როგორც ჩანს, **ლუიშ ფელიპე სკოლარის** პორტუგალია გაიბრწყინებს, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე **კრისტიანო რონალდოთი**, ერთ-ერთი საუკეთესო ცენტრალური მცველით, **რიკარდო კარვალიოთი** და ნიჭიერი ფლეიმეიქერით, **დეკუთი**.

ჩეხეთის გუნდმა, რომელსაც კარში **პეტრ ჩეხი** ჰყავს, საკვალიფიკაციო ტურნირში გერმანიას გადაასწრო და შეუძლია, პროგრესს მიაღწიოს თურქეთისა და თანამასპინძელ შვეიცარიის გვერდით. თუმცა ამ გუნდში ტრავმის გამო ვერ ითამაშებს "არსენალის" ნახევარმცველი **ტომაშ როსიცკი**.

B ჯგუფში გერმანიას, ალბათ, არც ისე დიდი ძალის გამოყენება დასჭირდება, რადგან ხორვატია, პოლონეთი და ავსტრია შედარებით სუსტები არიან. ხორვატებისგან ბევრი იქნებოდა მოსალოდნელი, "არსენალში" მოთამაშე **ედუარდო** რომ არ დამტვრეულიყო. თუმცა **სლავენ ბილიჩის** ხელმძღვანელობით, შესაძლოა, ამ გუნდმა რვა ნაკრებს შორის დაიკავოს ადგილი.

C ჯგუფში, ანუ ეგრეთ წოდებულ, "სიკვდილის ჯგუფში", მართლაც ძლიერი ოთხეული შეიკრიბა - საფრანგეთი, ჰოლანდია, იტალია და რუმინეთი. აქ ყველაფერია მოსალოდნელი. ისიცაა გასათვალისწინებელი, რომ რუმინეთმა საკვალიფიკაციო ჯგუფში გაიმარჯვა და ჩამოიტოვა ჰოლანდია, რომელიც ახლა შურისძიებას შეეცდება. **ადრიან მუტუმ**, რომელიც "ფიორენტინას" ლიდერია, შესარჩევ ციკლში 6 გოლი გაიტანა და მხურვალე მხარდაჭერა იგრძნო შტუტგარტელი **ჩიპრიან მარიკასგან**. "ინტერში" მოთამაშე რუმინეთის ნაკრების კაპიტანი **კრისტიან კივუც** ყურადღების ღირსია. გასაკვირი არ იქნება, თუ რუმინელები კვლავ ჩამოიტოვებენ ჰოლანდიას. ფავორიტებს შორის არიან იტალია და საფრანგეთიც, რომლებიც ასევე ერთად იყვნენ საკვალიფიკაციო ეტაპზე და იქ, შესაბამისად, პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. შესაძლოა, ერთ-ერთმა მათგანმა ევრო 2008 ციურიხში, 17 ივნისის დიდი ურთიერთდაპირისპირების შემდეგ დაასრულოს.

D ჯგუფს წინამორბედის სიკაშკაშე აკლია, მაგრამ პაექრობა აქაც დაძაბული იქნება, რადგან ესპანეთი უპირისპირდება საბერძნეთს, რუსეთსა და შვედეთს. **ჩაბი ალონსოს, სესკ ფაბრეგასის, ფერნანდო ტორესისა** და მათი თანაგუნდელებისთვის დიდი დარტყმა იქნება, თუ ვერც ამჯერად გააღწევენ თუნდაც ფინალში. შვედეთი, რომელმაც საკვალიფიკაციო ტურნირში ესპანეთს 2:0 მოუგო, ახლა უფრო ძლიერი ჩანს. ორგანიზებულია, აგრეთვე, **გუუს ჰიდინკის** რუსეთის ნაკრებიც, რომელმაც ინგლისს ევროს გზა ჩაუკეტა.

ამგვარი სცენარით, მეოთხედფინალისტები, შეიძლება, ასე დაწყვილდნენ: **პორტუგალია- ხორვატია, გერმანია-ჩეხეთი, იტალია-შვედეთი** და **ესპანეთი-საფრანგეთი**. გაანგარიშებებით გამოდის, რომ პორტუგალია ძალზე ძნელი დასაძლევი იქნება ხორვატიისთვის, გერმანია და იტალია კი, შესაბამისად, დაჯაბნიან ჩეხეთსა და საფრანგეთს. უმძიმესი მეოთხედფინალი შეიძლება იყოს **ესპანეთი-საფრანგეთი**. ეს უკანასკნელი ორი წლის წინათ მსოფლიო თასის ფინალისტი იყო. ესპანეთის მონაგარი (ევროპის 1964 წლის ჩემპიონატის შემდეგ არაფერი მოუგია) კი, საერთაშორისო ტურნირებში, უფრო მოკრძალებულია, ვიდრე ინგლისისა და მის ოფიციალურ სიმღერაში ასეთი სიტყვებიცაა: "გავიდეთ მეოთხედფინალში".

2006 წელს, საფრანგეთმა ესპანეთი მუნდიალის მეორე რაუნდიდან გააგდო (3:1 ჰანოვერში), თუმცა ესპანეთი ახლა სულ სხვაა ფაბრეგასის, ტორესისა და ბარსელონელი **ანდრეს ინიესტას** ხელში, საფრანგეთი კი "დაბერდა". **რაიმონ დომენეკის** გუნდში ძალიან ბევრი ასაკოვანი მოთამაშეა: **ლილიან ტურამი** 36 წლისაა, **კლოდ მაკელელე** 35-ის, **პატრიკ ვიეირა** ჩემპიონატამდე 32-ის შესრულდება, **ტიერი ანრი** კი 31-ის. სწორედ ამის გამო, მათი გასვლის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. გარდა ამისა, **უილიამ გალასს** სუსტი სეზონი ჰქონდა "არსენალში", ისევე, როგორც **ფლორან მალუდას** "ჩელსიში" და არც ისე ძნელი წარმოსადგენია, ტორესის მიერ ფრანგული დაცვის აკლება, ან ფაბრეგასის თავისუფალი გადაადგილება მოედნის შუაგულში...

ასეთი ვარაუდით მივდივართ ნახევარფინალამდე, სადაც გუნდები ასე შეიძლება დაწყვილდნენ: **პორტუგალია-გერმანია, იტალია-ესპანეთი**. ბუნებრივი ნიჭის მიხედვით, პორტუგალიას უპირატესობა აქვს, მაგრამ არავინ აკნინებს გერმანულ ძალასაც. **მიხაელ ბალაკსა** და **ტორსტენ ფრინგსს** შეუძლიათ უპირატესობის მოპოვება მოედნის ცენტრში, საიდანაც მატჩის ბედის გადაწყვეტას საკუთარ თავზე აიღებენ **კევინ კურანი** და **მიროსლავ კლოზე**. კრისტიანო რონალდო, რა თქმა უნდა, იმდენად ნიჭიერია, რომ მასთან მიმართებაში ყოველგვარი წინასწარმეტყველება უაზრობაა, თუმც აქაც ყველაფერია მოსალოდნელი. შესაძლებლობების მხრივ, მეორე ნახევარფინალი უფრო თანაბარია, მაგრამ ვის შეუძლია აუგი თქვას მსოფლიო ჩემპიონებზე? თუმცა, შეიძლება, ასეთიც გამოჩნდეს, რადგან იტალიის ცვალებად იერსახეს ვერავინ გამოიცნობს.

იმ "მილანის" მსგავსად, რომელიც "არსენალმა" მარტში, "სან სიროზე" დაამარცხა, "სკუადრა აძურამაც" ასაკში ჩვენს თვალწინ მოიმატა. **ფაბიო კანავარო** და **მარკო მატერაცი** 35-ს უახლოვდებიან, 34 წლისაა **ალესანდრო დელ პიერო**, 30-ს გადაცილებულები არიან **ჯანლუკა ძამბროტა, მასიმო ამბროზინი, მაურო კამორანეზი, ჯენარო გატუზო, ანტონიო დი ნატალე, ლუკა ტონი**... თუ ესპანეთი ირწმუნებს საკუთარ ძალას, დაუპირისპირდება უშუალოდ ოპონენტს და არა სახელოვან ლურჯ მაისურას, ტორესს, ფაბრეგასსა და მათ მეგობრებს, შეუძლიათ, დაჯაბნონ ასაკოვანი იტალიელი მცველები. თუ ასე მოხდა, ესპანეთი ფინალში გერმანიას შეხვდება. ჩემპიონატის დასკვნითი მატჩი ვენაშია დანიშნული და ასეთ დროს, გერმანიის წინააღმდეგ ფსონების დადება არასდროს ყოფილა კარგი შედეგის მომტანი. გამონაკლისი წესს ამართლებს.

ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით და პლუს, **იკერ კასილიასის** საიმედოობით, ესპანეთმა, წესით, უნდა დაასრულოს 44-წლიანი წარუმატებლობა, გულშემატკივრებისადმი მიყენებული ტკივილი და სამშობლოს ევროტიტულით დაუბრუნდნენ.

**დავით ჩუბინიძე**

ფიფას კონგრესის გამოძახილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთს სრული კოლაფსი ემუქრება

## დეინი: ახალი ფორმულა პრობლემებს შექმნის

"არსენალის" ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ **დევიდ დეინს** სჯერა, რომ ფიფას ხარჯების შემცირება მოუწევს, თუ წარმატებით განახორციელებს მეტად წინააღმდეგობრივ სქემას, რომელსაც პირობითად 6+5 უწოდეს.

ფიფას ახალი ინიციატივა, რომელსაც სათავეში უდგას ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი **ზეპ ბლატერი**, გულისხმობს კლუბების მიერ ადგილობრივი, ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელის უფრო მეტად დაწინაურებაზე, რასაც 2012 წლიდან თავისთავად უნდა მოჰყვეს უცხოელ მოთამაშეთა რაოდენობის ხუთამდე შეკვეცა.

ევროპაში ამ სქემას ბევრმა დაუჭირა მხარი, უფრო ბევრი წინააღმდეგი წავიდა, მაგრამ დეინი ფიქრობს, რომ პროფესიონალი ფეხბურთელების "მომთაბარეობის" შეზღუდვა პრობლემებს შექმნის.

*"ეს საკამათო საკითხი უპირველეს დარტყმას ინგლისურ ფეხბურთს მიაყენებს. ვფიქრობ, ზეპ ბლატერი ამ წესის გატანას ეცდება. დღეისთვის, ეს ევროსაბჭოს ხელშეკრულების 39-ე მუხლს ეწინააღმდეგება. ამის მიხედვით, ფეხბურთელებს, როგორც ჩვეულებ-*



დევიდ დეინი

*რივ მოქალაქეებს, გაერთიანებულ სამეფოში თავისუფალი გადაადგილების უფლება ეძლევათ. ბლატერსა და მის კოლეგებს დიდი შრომა ელით წინ"* - აღნიშნა დეინმა.

დეინის ყოფილი კლუბი ("არსენალი"), სავარაუდოდ, სერიოზულ წინააღმდეგობას გასწევს, როგორც კი ეს წესები დამტკიცებამდე მივა, რადგან **არსენ ვენგერი** ყოველთვის მეტ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდა უცხოელ ფეხბურთელებს, ვიდრე ინგლისელებს. მხოლოდ **თეო უოლკოტია** ის ერთადერთი ინგლისელი, რომელიც რეგულარულად თამაშობს ძირითად შემადგენლობაში. დეინი ამბობს, რომ "მეთოფეები" უსამართლოდ დატოვეს მარტო ამ ბრძოლაში, რადგან პრემიერლიგის ბევრი კლუბის არსებობა უცხოურ ბაზარზეა დამოკიდებული.

*"უსამართლობაა "არსენალის" იზოლირება. შეხედეთ "ბოლტონსა" და "ფულჰემს", რომელთა ფეხბურთელების 60 პროცენტს უცხოელები შეადგენენ. არსენ ვენგერი ამბობდა და მართალიცაა, რომ მოთამაშის ხარისხს უფრო აქცევს ყურადღებას, ვიდრე პასპორტს"*, - აღნიშნა დეინმა.

### ვენგერი: სატრანსფერო სისტემა არამდგრადია

"არსენალის" მწვრთნელ **არსენ ვენგერის** წინასწარმეტყველებით, სატრანსფერო სისტემა, შეიძლება, დაიშალოს, თუ მოთამაშეებს მეტ ძალაუფლებას მისცემენ. ვენგერი შეშფოთებულია იმის წარმოდგენით, რა მოხდება, თუ ფეხბურთელები თავად დაუკავშირებენ საკუთარ თავს კლუბებს ერთწლიანი კონტრაქტებით და მერე ხშირად გამოიცვლიან სამსახურს, უფრო ხელსაყრელი ფინანსური პირობების გამო.

"მეთოფეებმა" უკვე დაკარგეს ნახევარმცველი **მატიო ფლამინი**, რომელიც თავისუფალი აგენტის სტატუსით "მილანში" აღმოჩნდა. მომავალ წელს ასევე წავა ბელარუსი **ალექსანდრ გლ ებიც** და უსაფრთხოდ იმოძრავებს ევროპაში. ვენგერი შიშობს, რომ კანონები, რომლის ძალითაც მოთამაშე შეძლებს კონტრაქტისგან თავის დაღწევას, ფეხბურთს სრულ კოლაფსამდე მიიყვანს.

*"გუნდურ სპორტს დრო და სტაბილურობა სჭირდება, მაგრამ მთელი წესები ამას ეწინააღმდეგება"*, - განაცხადა ვენგერმა, რომელმაც მაგალითად მოიყვანა "ვიგანისა" და "ჰართსის" ყოფილი მცველის, **ენდი უებსტერის** საქმე. ამ ფეხბურთელმა, სამწლიანი სამსახურის შემდეგ, კონტრაქტისგან საკუთარი თავის გამოსყიდვა შეძლო.

დიახ, არსებული წესები უფლებას აძლევს მოთამაშეს, გამოისყიდოს პირადი კონტრაქტი სამი წლის გასვლის შემდეგ, მაშინ, როცა ხელშეკრულება ოთხ ან ხუთ წელიწადს ითვალისწინებს, ხოლო თავად ფეხბურთელი 28 წლისაც არ არის. თუ მათი ასაკი 28 წელს სცილდება, შეუძლიათ, ეს პროცესი ორ წელიწადში განახორციელონ. იმავე გლებს შეუძლია, გამოისყიდოს საკუთარი კონტრაქტი, მაგრამ მან გააფრთხილა კლუბის ხელმძღვანელობა, რომ ამის გაკეთებას არ აპირებს.

*"ამჟამად, ყველაფერი ხდება სამ ან ორ წელიწადში, მაგრამ დამიჯერეთ, მალე ვილაც წამოყოფს თავს და იტყვის, რატომ უნდა გააკეთოს ეს 28 წლის ფეხბურთელმა და არა 27 წლისამ. ამას დაემატება ქმედება არა ორი, არამედ ერთი წლის გასვლის შემდეგ. თუ ეს მოხდება, სატრანსფერო სისტემა მოკვდება. როცა გუნდს მხოლოდ ერთი წლისთვის აყალიბებ, ცხადია, რომ პრობლემები წარმოიშვება"*, - აღნიშნა ვენგერმა.

თუ ვენგერის საგანგაშო წინასწარმეტყველება ახდა, ფეხბურთელები უფრო მეტ ძალაუფლებას მიიღებენ, კლუბები კი ხელფასებზე უფრო მეტ თანხას დახარჯავენ, მოთამაშეების შესანარჩუნებლად და ძვირი სატრანსფერო თანხის გადახდის ნაცვლად, კონტრაქტებს თავისუფალ აგენტებთან გააფორმებენ.

**დავით ჩუბინიძე**



არსენ ვენგერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# ქვანძი მალე გაიხსნება

## კრისტიანო რონალდო გადაწყვეტილებას ამ დღეებში მიიღებს

დღეს, ისევ **კრისტიანო რონალდოზე** მოგვიწევს ლაპარაკი. შესაძლოა, თავი მოგაბეზრეთ, მაგრამ უბრალოდ, სხვა გზა არ გვაქვს. მისი ტრანსფერი ახლა ყველაზე აქტუალური თემაა. მთელი საფეხბურთო ევროპა პორტუგალიელი ვარსკვლავის "სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგებას ელოდება. აღსანიშნავია, რომ ესპანელმა ჟურნალისტებმა მოსალოდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ბოლო ინფორმაცია პორტუგალიისა და საქართველოს ეროვნული გუნდების შეხვედრაზე მოიპოვეს. ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ფეხბურთელსა და "დიარიო მარკას" კორესპონდენტს შორის ერთგვარი ტაქტიკური ბრძოლა გაიმართა. რონალდომ ჟურნალისტებთან შეხვედრისგან თავის ასარიდებლად **ლუიშ ფელიპე სკოლარის** სთხოვა, პირველი ტაიმის შემდეგ შეეცვალა. კრისტიანო ფიქრობდა, რომ დროს იხელთებდა და მეორე ტაიმის დაწყებისთანავე სტადიონიდან გაიპარებოდა. "მანჩესტერის" ვარსკვლავმა ერთი რამ ვერ გათვალა. ის ესპანეთიდან საგანგებოდ ჩასულ ჟურნალისტებს ასე იოლად ვერ დაემალებოდა. არ ვიცით, რამდენად დასაჯერებელია, თუმცა "დიარიო მარკას" თანამშრომელი **ხოსე ფელიქს დიასი** გვარწმუნებს, რომ რონალდოს ჩანაფიქრის შესახებ ინკოგნიტო ინფორმატორისგან წინასწარ შეიტყო. მოკლედ, მადრიდული გამოცემის სპეციალურმა კორესპონდენტმა თადარიგი თავიდანვე დაიჭირა. ის მეორე ტაიმზე არ დაბრუნებულა და რონალდოს გასასვლელთან ჩაუსაფრდა. სენიორ ხოსე ფელიქს დიასის თქმით, "მანჩესტერ იუნაიტედის" ვარსკვლავი შოკში ჩავარდა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ესპანელ სტუმარს თავს ასე იოლად ვერ დააღწევდა და დიასის რამდენიმე კითხვას უპასუხა. ესპანელს ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, პორტუგალიელი ფორვარდის სამეფო კლუბში გადასვლის ალბათობა აინტერესებდა. რონალდომ მას ასე უპასუხა: *"ყველაზე მეტად თქვენთან შეხვედრა არ მინდოდა. ინგლისელი ჟურნალისტებისგან გაქცევის მეთოდები კარგად შევისწავლე, მაგრამ ესპანელები გაცილებით შეუპოვრები ყოფილხართ. ტრანსფერის შესახებ კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კვანძი მალე გაიხსნება. ჩემი საქმე ან ასე გადაწყდება, ან ისე. ვფიქრობ, 2-3 დღეში ბევრი რამ გაირკვევა. ჩემი მომავლის გასარკვევად დაახლოებით 72 საათი მჭირდება. რა თქმა უნდა, ძალიან ბევრს ვფიქრობ. არ მინდა, შეცდომა დავუშვა."*

სენიორ დიასმა ამის შემდეგ რესპოდენტს სამეფო კლუბის შესახებაც კითხა. როგორც მოსალოდნელი იყო, კრისტიანო "რეალის" ტრადიციითა და უნიკალურობით მოხიბლულია: *"სანტიაგო ბერნაბეუ" ისეთი საოცრებაა, რომელიც ნებისმიერ მოთამაშეს მოაჯადოებს. "რეალი" თავად ისტორიაა. ამ კლუბის შესახებ მრავალი წიგნი წამიკითხავს და ყოველთვის ჟრუანტელი მივლიდა ხოლმე. გულწრფელად ვიტყვი, რომ სამეფო კლუბში დიდი სიამოვნებით ვითამაშებდი, მაგრამ საქმე ასე იოლად არ არის. ბევრი ფაქტორია გასათვალისწინებელი. "მანჩესტერთან" კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. ამ კლუბმა ფაქტობრივად, ყველაფერი მომცა, რაც გამაჩნია. ამიტომ, ვალდებული ვარ, მისი ინტერესები მაქსიმალურად გავითვალისწინო. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორ წარიმართება კლუბების ხელმძღვანელების მოლაპარაკება. ვიცი, რომ ბევრი სირთულე წარმოიქმნა, მაგრამ შეუძლებელი არაფერია."*

მორიგი კითხვა რონალდოსა და **სერ ალექს ფერგიუსონის** შესაძლო შეხვედრას შეეხებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით ოდნავ მოგვიანებით ამომწურავ ინფორმაციას მოგაწვდით. მანამდე კი ისევ პორტუგალიელის სიტყვებს გაგაცნობთ: *"ზუსტად არ ვიცი, მაგრამ მგონი, სერ ალექსი ევროპის ჩემპიონატზე ჩამოსვლას აპირებს. ამასწინათ, ტელეფონით ვისაუბრეთ და მითხრა, შენი ნახვა მინდაო. თარიღი არ დაუკონკრეტებია, თუმცა, შეხვედრა მგონი მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი. ცხადია, ძნელი მისახვედრი არ არის, ფერგიუსონს ჩემი ნახვა რატომ უნდა. ალბათ, მანჩესტერთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დამელაპარაკება."*

რონალდო არ ცდება. სერ ალექსი ევროპის ჩემპიონატზე ჩასვლას მართლაც აპირებს. "წითელი ეშმაკების" მთავარი მწვრთნელი საყვარელი შეგირდის წასვლას აზრადაც არ უშვებს. შოტლანდიელი, რა თქმა უნდა, აცნობიერებს, რომ "რეალის" სახით უკიდურესად სახიფათო კონკურენტი ჰყავს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ სწორად მუშაობის შემთხვევაში კრისტიანო კვლავ "ოლდ ტრეფორდზე" ითამაშებს. ფერგიუსონის გეგმების შესახებ "დეილი მეილმა" ძალიან საინტერესო სტატია გამოაქვეყნა. თქვენს სამსჯავროზე ამ სტატიის მცირე ფრაგმენტს გამოვიტანთ: *"ფერგიუსონი ევროპის ჩემპიონატს მშვიდად ვერ უყურებს. შეუპოვარმა რამონ კალდერონმა მას მოსვენება დაუკარგა. მანჩესტერელთა უდიდესი წინააღმდეგობის მიუხედავად, კრისტიანო რონალდოს "სანტიაგო ბერნაბეუმდე" რამდენიმე ნაბიჯი აშორებს. სერ ალექსი სასოწარკვეთილია და გადამწყვეტ ბრძოლაზე გადადის. ის არ ახმაურებს, მაგრამ დაზუსტებით ვიცით, რომ რონალდოს შესანარჩუნებლად გეგმა შეიმუშავა. როგორც ამბობენ, ამჟამინდელი ტაქტიკა იმ სტრატეგიის საფუძვლებზეა აგებული, რომლის წყალობითაც "მანჩესტერმა" 1995 წელს "ოლდ ტრეფორდიდან" წასასვლელად გამზადებული ერიკ კანტონა შეინარჩუნა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ფერგიუსონი შეგირდის ნამუსზე აგდებას შეეცდება. კრისტიანოს ის შეახსენებს, რომ სრულიად ახალგაზრდა ფეხბურთელი ლისაბონის "სპორტინგიდან" 18 მილიონ ევროდ შეიძინა და მსოფლიო დონის ვარსკვლავად აქცია. სავარაუდოდ, იმასაც ეტყვის, რომ მისი მეცადინეობით 4 წელიწადში "მანჩესტერის" ხელმძღვანელობას მისი წლიური გასამრჯელო 600 პროცენტით მოამატებინა. რა თქმა უნდა, მხოლოდ წარსულზე საუბრით მამაცი შოტლანდიელი ვერაფერს მიაღწევს. მან რონალდო უნდა დაარწმუნოს, რომ ხელფასს კიდევ უფრო გაუზრდიან. საუბარი წლიურ 10,6 მილიონ ევროზეა. გასათვალისწინებელია, რომ ეს უკვე დაქვითული თანხა იქნება, ანუ სუფთა გასამრჯელოდ 10,6 მილიონს აიღებს.*

*აქვე ჩვენი თავი რონალდოს ადგილზეც წარმოვიდგინოთ. აბა, დავფიქრდეთ, რა შეიძლება უთხრას პორტუგალიელმა სერ ალექს ფერგიუსონს. კრისტიანო აუცილებლად იტყვის, რომ ისეთი დიდი გრანდი, როგორიც მადრიდის "რეალია" ხვეწნა-მუდარით დიდხანს არ დაიმცირებს თავს. ასეთი შესაძლებლობა თვით რონალდოსაც ცხოვრებაში ერთხელ ეძლევა. ხელფასის გაზრდა კარგია, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ ესპანელები მას კიდევ უფრო დიდ გასამრჯელოს სთავაზობენ. გარდა ამისა, ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებით რონალდომ "მანჩესტერში" ერთი დიდი ეტაპი დაასრულა. ახლა მას სულ სხვა თავგადასავლები ჭირდება. არ ვიცით, "მანჩესტერის" ხელმძღვანელობა რას ფიქრობს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რამდენიმე დღეში კრისტიანო "წითელი ეშმაკების" ისტორიად იქცევა."*

ამასობაში, "რეალის" პრეზიდენტმა **რამონ კალდერონმა** "რადიო მარკას" ვრცელი ინტერვიუ მისცა. პირენეული გიგანტის უმაღლესმა ხელისუფალმა გულშემატკივრებს ძალიან სასიხარულო ინფორმაცია ამცნო. საქმე გუნდის ფინანსურ მდგომარეობას ეხება. ამ დროისთვის მადრიდულ გიგანტს კრედიტის სახით 240 მილიონი ევრო ვალად აწევს. რა თქმა უნდა, ადამიანი იკითხავს, ამაში სასიხარულო რა არისო, მაგრამ საქმე ის არის, რომ უახლოესი 3 თვის განმავლობაში კალდერონი 250 მილიონი ევროს შემოსავალს ელის. ეს არ არის უსაგნო მოლოდინი. პრეზიდენტის მტკიცებით, უკვე გაფორმებული კონტრაქტების წყალობით, რამდენიმე კომერციული კომპანია სამეფო კლუბის ანგარიშზე მთლიანობაში სწორედ 250 მილიონს გადარიცხავს. რაც იმას ნიშნავს, რომ სამი თვის შემდეგ კლუბის ვალი მთლიანად იქნება გასტუმრებული. აი, მომდევნო ერთი წლის განმავლობაში კი "რეალი", ასევე კომერციული კონტრაქტების წყალობით, არც მეტი არც ნაკლები, 480 მილიონ ევროს მიიღებს. სენიორ კალდერონი აცხადებს, რომ "რეალი" ფინანსურად ასე წელში გამართული მისი არსებობის განმავლობაში არასოდეს ყოფილა. აღსანიშნავია, რომ ესპანური გრანდი 2007 წლის მონაცემებით მსოფლიოს ყველაზე მდიდარი კლუბია. ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ ამ წოდებას სამეფო კლუბი 2008 წელსაც შეინარჩუნებს.

ილია **ნიკოლაიშვილი**




მანჩესტერში კრისტიანო რონალდოს გადაწყვეტილებას მოუთმენლად და განგაშით ელოდებიან

დანიშვნა

# ლაუდრუპი ათენში წავიდა

## პანათინაიკოსმა დანიელს ორჯერ მეტი ხელფასი შესთავაზა

ბერძნული კლუბები პრიმერა დივიზიონის მწვრთნელებზე ნადირობას არ წყვეტენ. რამდენიმე დღის წინათ "ოლიმპიაკოსმა" "ესპანიოლის" ყოფილი დამრიგებელი **ერნესტო ბალბერდე** გადაიბირა. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ "პანათინაიკოსმა" "ხეტაფედან" წასული **მიქაელ ლაუდრუპი** ჩაიგდო ხელში. დანიელი სპეციალისტის ასეთი გადაწყვეტილება ერთი შეხედვით ძალიან გასაკვირია, მას ხომ პრიმერა დივიზიონისა და პრემიერლიგის ტრადიციული კოლექტივები ეპატიჟებოდნენ, თუმცა ეს ის შემთხვევაა, როცა საფეხბურთო სპეციალისტმა გადაწყვეტილება ფინანსური მოტივებით მიიღო. ათენელებმა ლაუდრუპს ყველაზე მეტი ფული შესთავაზეს. "დიარიო მარკას" ინფორმაციით, "ხეტაფეს" ექს თავკაცი წლიური გასამრჯელოს სახით 2.5 მილიონ ევროს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ დანიელმა ბერძნულ გრანდთან 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. მაგალითისთვის გეტყვით, რომ მადრიდული კლუბი ლაუდრუპს ზუსტად 1.2 მილიონს უხდიდა. დაგვეთანხმებით, ხელფასის 100 პროცენტზე მეტით გაზრდის პერსპექტივა ნებისმიერ ადამიანს მოხიბლავდა. თუმცა ეს ლეგენდარული ადამიანი მერკანტილიზმით დაავადებული რომ არ გეგონოთ, გეტყვით, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ჩემპიონთა ლიგაში თამაშის პერსპექტივაზეც ფიქრობდა. აი, რა განაცხადა ლაუდრუპმა:

*"ვერ წარმოვიდგენდი, რომ "ხეტაფედან" წამოსვლის შემდეგ ამდენ წინადადებას მივიღებდი. უამრავი კლუბის ხელმძღვანელი დამიკავშირდა. რა თქმა უნდა, ბევრს ვფიქრობდი. არ მინდოდა, შეცდომა დამეშვა. ბოლოს არჩევანი "პანათინაიკოსზე" გავაკეთე. ბერძნულმა კლუბმა მისაღები პირობები შემომთავაზა. გარდა ამისა, გადამწყვეტი როლი ჩემპიონთა ლიგაში მონაწილეობის პერსპექტივამ ითამაშა. არასოდეს დამიმალავს, რომ ლიგაში მუშაობა ჩემი დიდი ოცნებაა. მშვენივრად ვიცი, რომ ეს მსოფლიოში საუკეთესო საკლუბო ტურნირია. მართალია, ახალ კლუბს ჯერ კარგად არ ვიცნობ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ღირსეულად ვიასპარეზებთ."*

"პანათინაიკოსის" ხელმძღვანელობამ ლაუდრუპს უფლება მისცა, თანაშემწეები დირექტორატთან შეუთანხმებლად, პირადი შეხედულებისამებრ შეერჩია. მიქაელს დიდი ხანი არ უფიქრია და **ჯონ იენსენი** და **ერიკ ლარსენი** წაიყვანა. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი ლაუდრუპთან ერთად "ბრონდბიუსა" და "ხეტაფეში" მუშაობდნენ. იენსენი მთავარი მწვრთნელის თანაშემწე იქნება. ლარსენს კი მოწინააღმდეგე გუნდების დაზვერვა და მათზე ინფორმაციების შეგროვება დაევალება.

ილია **ნიკოლაიშვილი**




მიქაელ ლაუდრუპი მისამართს იცვლის

# შოთოლოგები

ეკ

**- რუსეთიდან მარატ იზმაილოვი და ეგორ ტიტოვიც უნდა ჩამოსულიყვნენ...**

- მართალი გითხრათ, არ ვიცი. შოთა დამიკავშირდა, გამოსათხოვარ მატჩზე დამპატიჟა და უმალ ვუთხარი, მოვდივარ-თქო.

**- ხვალინდელ მატჩზე რას იტყოდით?**

- რა ანგარიშითაც არ უნდა დამთავრდეს, მჯერა, საინტერესო თამაში იქნება. გოლსაც გავიტან, თუ ქართველი მცველები ამის საშუალებას მომცემენ (იცინის), მაგრამ ისეთი ფიგურები გყავთ, რომ ბურთის გატანა ალბათ გამიჭირდება.

**- მეტოქე გუნდიდან ბევრ ფეხბურთელს იცნობთ, მათზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ვიცი, ხვალ ნაკრების ძველი ფეხბურთელებიც ითამაშებენ. მათ უკეთ ვიცნობ, ზოგიერთის გვერდით მითამაშია კიდეც. პირველი ვინც გამახსენდა კახა ცხადაძეა. საერთოდ კი ქართულ ფეხბურთს კარგად ვიცნობ. ახლაც მახსოვს თბილისის "დინამოს", ქუთაისის "ტორპედოსა" და ლანჩხუთის "გურიის" თამაშები.

ტყუპ დე ბურებს ტყუპი არველაძეები მცირე ხანს ესაუბრნენ, მერე კი ჰოლანდიელები რესპონდენტებად დავითმეს. რონალდ დე ბური ზუსტად ორი წლის წინათ, გერმანიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე თბილისში სტუმრობდა არველაძეებს. რონალდს მაშინ სასტუმრო "თბილისი მარიოტის" კაფეში ვესაუბრეთ და მისი ნათქვამი - წვიმის დროს თბილისი ბარსელონას ჰგავსო, შევახსენეთ...

- დიახ, თბილისში მეორედ ვარ და ახლაც დიდი სიამოვნებით ვიხსენებ 2 წლის წინათ საქართველოში გატარებულ დღეებს. მაშინ არველაძეებმა თბილისის გარდა, საქართველოს სხვა ლამაზი ადგილებიც მაჩვენეს. საქართველო ძალიან მომეწონა და მაშინ შთაბეჭდილებებით სავსემ დავტოვე აქაურობა. იმედი მაქვს, ამჯერადაც ასე იქნება.

რაც შეეხება შოთას, ის ჩემი საუკეთესო მეგობარია, მოედანზეც გამორჩეული იყო და ცხოვრებაშიც საუკეთესო ადამიანია.

მისმა ტყუპისცალმა ფრანკმა კი შემდეგი გვითხრა:

- ჩემი აზრით, შოთა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. თანამედროვე ფეხბურთში ცოტაა ასეთი ტიპის ფორვარდი - თავდამსხმელი, რომელიც ფეხსაც კარგად ხმარობს, თავითაც სახიფათოა, გოლის ალღოც აქვს და საერთოდ, ნებისმიერი გუნდის დაცვისთვის საშიში ფიგურაა. როცა შოთას ბურთი ჰქონდა, ნებისმიერი მეტოქის მეკარის სიმშვიდე დარღვეული იყო.

ტყუპი დე ბურების შემდეგ, ლუის ვან გაალს გავესაუბრეთ:

- ამ ფანტასტიკურ ადამიანსა და ფანტასტიკურ ფეხბურთელს დიდი სიამაყითა და ამავე დროს წუხილით გავაცილებთ ფეხბურთიდან, უფრო სწორად, მოთამაშის როლიდან. ჩემი აზრით, ეს ადამიანი ფეხბურთში უნდა დარჩეს. მას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ფეხბურთისთვის. ჩვენ ერთად არაერთი გამარჯვება მოგვიპოვებია. მადლობა მას ამისათვის. არ მეგულება ადამიანი, ვინც შოთაზე აუგს იტყვის. შოთას ფასი კარგად იციან საქართველოში და ჩვენც კარგად ვიცით დასავლეთ ევროპაში. ის დიდი ფეხბურთიდან წასასვლელად არ მემეტება, მაგრამ ამავე დროს, ამაყი ვარ, მისი მწვრთნელი რომ ვიყავი.

**- შოთას "ალკმაარში" ასისტენტობა შესთავაზეთ. როგორ ფიქრობთ, ისევ ერთად იქნებით?**

- დიახ, ასეა. შოთას დიდი საფეხბურთო ნიჭი აქვს და ვფიქრობ, მისგან კარგი მწვრთნელი დადგება. ჩემს შეთავაზებაზე შოთას პასუხი ჯერ არ უთქვამს, ფიქრობს, მაგრამ მჯერა, რომ დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს.



ლუის ვან გაალი



ტიჯანი ბაბანგიდა



შოთა არველაძე და მიხაელ მოლსი



შოთა არველაძე და მიხაელ მოლსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისში


ფრანკ დე ბური


რონალდ დე ბური


დამიანო ტომაზი


თოლუნაი


არჩილ არველაძე და ანდრეი კანჩელსკისი


ლევან კობიაშვილი


აარონ ვინტერი

სამისოდ მას პროფესიონალი მწვრთნელის განათლება და ლიცენზია დასჭირდება, მაგრამ ეს პრობლემა არ უნდა იყოს.

**- ერთი თვის წინათ საქართველოს ნაკრების თავკაცის პოსტზე ფავორიტი კანდიდატი იყავით.**

- დიახ, მაგრამ "ალკმაართან" კონტრაქტი გავაგრძელე და ხელშეკრულება ახლა 2010 წლამდე მაქვს. მართალი გითხრათ, საქართველოს ნაკრების გარდა, სხვა წინადადებებიც მქონდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი ისევ "ალკმაარზე" შევაჩერე.

**- საინტერესოა თქვენ, როგორც მწვრთნელი, შოთას როგორ დაახასიათებთ.**

- შოთა კონტაქტური, დიდებული ადამიანია. მას ყველა საფეხბურთო თვისება გააჩნია მაღალ დონეზე სათამაშოდ. ამას გარდა უცებ შეუძლია გუნდის აყოლიება. რაც არ უნდა მძიმე ვითარებაში იყოს. შეუძლია ერთი-ორი სიტყვით განმუხტოს ვითარება. ერთი სიტყვით, გუნდში ამინდს ქმნის. ასეთი ადამიანები და ფეხბურთელები მსოფლიოში ბევრი ნამდვილად არა არიან.

ვან გაალის შემდეგ აარონ ვინტერს მივმართეთ:

- ხვალ დიდი მატჩია. ჩვენ დიდებულ ფეხბურთელსა და ადამიანს, შოთა არველაძეს დიდი ფეხბურთიდან ვაცილებთ.

**- ხვალ ვინ მოიგებს?**

- შესაძლოა, ჩვენ მოვიგოთ ან საქართველომ მოგვიგოს, შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ვერცერთმა ვერ მოვიგოთ. მთავარია, გულშემატკივარი ისიამოვნებს და დიდი ზეიმი იქნება. შოთამ ეს დაიმსახურა.

მატჩის ორგანიზებაში ძმები არველაძეების გარდა, მათი მეუღლეებიც მონაწილეობენ. შოთას მეუღლე **თამუნა მელაძე** გუშინ აეროპორტშიც იყო და სასტუმროშიც. საინტერესოა, რას ფიქრობს ის დღევანდელ მატჩსა და საერთოდ დიდი ფეხბურთიდან მეუღლის წასვლაზე:

- მეც რიგით გულშემატკივრად ჩამთვალეთ. ხშირად მესმის, დიდი ფეხბურთიდან შოთის წასვლა ნაადრევიაო. მეც ასე ვფიქრობ და თავად შოთასაც არ უნდა მოთამაშის კარიერის დასრულება. კარგად ვიცი, მისი გული და სული მოედანზე რჩება, მაგრამ მუხლი არ აძლევს საშუალებას კიდევ ითამაშოს და მოგვანიჭოს სიხარული.

რაც შეეხება ორგანიზებას, ამ საქმეში მეც და ჩვენი ახლობლებიც ვართ ჩართული. დიდი და შრომატევადი საქმეა, მაგრამ ამავე დროს სასიამოვნო პროცედურაა. წინ დიდი ზეიმი გველის, ყველაფერი მაღალ დონეზე უნდა იყოს და ასეც იქნება.

**- ხვალინდელი გეგმა როგორია?**

- დილით სტუმრებს თბილისს დავათვალიერებინებთ, მერე იქნება სადილი, საღამოს 6 საათზე მატჩია, თამაშის შემდეგ კი ბანკეტი. ხვალ საღამოს ჩამოსული სტუმრების უმეტესობა შინ გაემგზავრება.

ბოლო რესპონდენტი მიხაელ მოლსი იყო:

- შოთა ფანტასტიკური ფეხბურთელია. გული მწყდება ფეხბურთიდან რომ მიდის, მაგრამ ტრავმებმა ძალიან შეაწუხა და სხვა გზა არ აქვს. მას კარგად ვიცნობ და მჯერა, მცირედი შანსი მაინც რომ ჰქონოდა, დიდ ფეხბურთში კიდევ დარჩებოდა.

ხვალ საინტერსო მატჩი იქნება. ისეთი, რომელიც შოთას დიდხანს ემახსოვრება. სამისოდ მისი მეგობრები ყველაფერს გავაკეთებთ. იმედი მაქვს, გულშემატკივარიც ბევრი მოვა და დიდებული დღე იქნება.

**დავით ცაბაძე**

---

**ალექსანდრე კოტორაშვილის**
ფოტორეპორტაჟი

ევრო 2008. მონაწილეების წარდგენა




# B ჯგუფი

## ავსტრია, ხორვატია, გერმანია, პოლონეთი

# ფავორიტი, ორი პრეტენდენტი და ჩამოწერილი მასპინძელი

B ჯგუფში მოხვედრილი ნაკრებები, თავისთავად საინტერესონი არიან და ნებისმიერს აქვს პლეი ოფში მოხვედრის შანსი. ავსტრიის ნაკრებსაც კი, რომელიც ყველას მიერ არის ჩამოწერილი. რაც არ უნდა იყოს, ის ფინალური ტურნირის ერთ-ერთი მასპინძელია, ხოლო საკუთარი ტრიბუნების მხარდაჭერა მცირედი, მაგრამ მაინც უპირატესობაა მოწინააღმდეგეებთან ბრძოლისას.

თუმცა, რა თქმა უნდა, აქ წინასწარვე პირველ ადგილს გერმანელებს აკუთვნებენ. უმრავლესობის აზრით, ხორვატიისა და პოლონეთის ხვედრი - მეორე ადგილისთვის ბრძოლაა. თითქოს ყველაფერი ლოგიკურად და დასაბუთებულად ჩანს, მაგრამ გაიხსენეთ - ოთხი წლის წინათ, ბუკმეიკერები ბერძნებს "გარანტირებულ" ბოლო ადგილს აძლევდნენ ჯგუფში, მათ კი აიღეს და ჩემპიონები გახდნენ. ასე რომ, ვიხელმძღვანელოთ პრინციპით - სტარტზე ყველანი თანაბარნი არიან და B ჯგუფის კვარტეტის ყველა წევრს სრული სერიოზულობით მოვეკიდოთ.

## ავსტრია

### გულშემატკივრები წინააღმდეგნი არიან

ისევე, როგორც შვეიცარია, ავსტრიაც თავისუფალი იყო შესარჩევი ტურნირიდან და ორი წლის განმავლობაში ამ გუნდს ამხანაგური მატჩებით უწევდა დაკმაყოფილება. ასეთი შეხვედრების რიცხვმა 20-ს გადააჭარბა, თუმცა მათი შედეგები ალპიური გუნდის გულშემატკივრებისთვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა.

ავსტრიამ მოახერხა და წააგო უნგრეთთან (1:2), ვენესუელასთან (0:1), ჩილესთან (0:2), შვეიცარიასთან (1:3), შოტლანდიასთან (0:1), ინგლისთან (0:1), საფრანგეთთან (0:1)... თებერვალში განადგურდა გერმანიისგან (0:3). მარტში გუნდმა ფენომენალური პირველი ტაიმი ჩაატარა ჰოლანდიასთან (3:0), მაგრამ ამას მოჰყვა სრულიად უნიათო მეორე ნახევარი და ოთხი გაშვებული გოლი - ავსტრიამ ეს შეხვედრაც დათმო - 3:4.

ამას დაუმატეთ საყაიმო ანგარიშები კოსტა რიკასთან, მალტასთან, განასთან, პარაგვაისთან, ჩეხეთთან, იაპონიასთან და ტუნისთან და ცხადი გახდება, რატომ აგორდა ავსტრიაში ევროპის ჩემპიონატზე ეროვნული გუნდის მონაწილეობის საწინააღმდეგო მოძრაობა (!). ამ აქციას მხარი თვით ცნობილმა ავსტრიელმა ბომბარდირმა, **ჰანს კრანკლმაც** დაუჭირა. ის სხვა თანამოაზრეებთან ერთად თვლიდა, რომ ასეთი თამაშითა და შედეგებით გუნდს კონტინენტის პირველობაზე არაფერი ესაქმება - სჯობს უარი თქვას ამ საპატიო მისიაზე და ევროპაზე თამაში რომელიმე ღირსეულ გუნდს დაუთმოს.

რაოდენ სასაცილოდ არ უნდა ჟღერდეს **იოზეფ ჰიკერსბერგერის** გუნდის ოპოზიციონერთა გამონათქვამები, მწვრთნელსა და მის შეგირდებს მართლაც მართებთ იმაზე დაფიქრება, თუ როგორ აპირებენ ასეთი უღიმღამო შედეგების შემდეგ ევრო 2008-ზე გამოსვლას. საქმე ისაა, რომ ავსტრიის ნაკრების ბოლო და ბოლოსწინა გამარჯვებებს შორის დროის შუალედმა 11 თვე და 2 დღე შეადგინა (2006 წლის 15 იანვარს ტრინიდადის განადგურება - 4:1; 2007 წლის 17 ოქტომბერს კოტ დ'ივუართან გამარჯვება - 3:2), სულ კი, 2006 წლის აგვისტოდან მოყოლებული, როცა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყო, "წითელ-თეთრებმა" სულ ოთხჯერ გაიმარჯვეს.

გარდა ამისა, თვალში გვხვდება ამ გუნდში საშუალო (უმაღლესზე არაფერს ვამბობთ) ევროპული კლასის ფეხბურთელების დეფიციტი. დიახ, აქ არიან იტალიის, გერმანიის ან ინგლისის ჩემპიონატების წარმომადგენლები, მაგრამ ისინი ეროვნული ტოპ-ტურნირების მეორეხარისხოვან კლუბებში თამაშობენ და თან, თავიანთ კოლექტივებში ლიდერებად არ მიიჩნევიან.

არადა, ავსტრიის ნაკრებს ჰქონდა პერიოდები, როცა ის ევროპაში ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა, ხოლო გასული საუკუნის 30-იან წლებში, ავსტრიელები კონტინენტზე მოდის კანონმდებლებადაც კი მიიჩნეოდნენ. იმ გუნდს ვუნდერტიმი (ჯადოსნური გუნდი) ერქვა და მან მეოთხე ადგილი დაიკავა 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, ხოლო 1936 წელს, ოლიმპიურ თამაშებზე ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ავსტრიულმა ფეხბურთმა დაიბრუნა ლიდერებს შორის ადგილი, ხოლო ქვეყნის ნაკრებმა 1954 წლის მსოფლიო პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა. მოგვიანებით კი, ეროვნული გუნდის წინ წამოწევა მასში ევროპული დონის ვარსკვლავების გამოჩენას უკავშირდებოდა: 70-იანი წლების ბოლოსა და 80-იანების დასაწყისში, ასეთები იყვნენ ჰანს კრანკლი და **ბრუნო პეცაი**, შემდეგი ათწლეულების მიჯნაზე კი, **ტონი პოლსტერი** და **ანდრეას ჰერცოგი**. დღეს, ავსტრიის ნაკრებს ასეთი კალიბრის პიროვნებები არ ჰყავს.

მაგრამ გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იოზეფ ჰიკერსბერგერმა იცის, რომ უკან დასახევი გზა მაინც არ აქვს, გულს არ იტეხს და ცდილობს, თავისი გუნდის არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში დადებითი მომენტები იპოვნოს. მაისის დასაწყისში, ეროვნულ ჩემპიონატში (ქვეყნის პირველობა 26 აპრილს დასრულდა) მონაწილე ფეხბურთელებით შედგენილმა ნაკრებმა, პირველმა დაიწყო მზადება ევროპის ჩემპიონატისთვის. ვენიდან 32 კილომეტრის დაშორებით, ლინდაბრუნში, 5 ათასი მაყურებლის თანდასწრებით ეროვნულმა გუნდმა მესამე დივიზიონის ბინადარი "შპიტალი" 6:0 გაანადგურა. გოლები გაიტანეს: **კრისტიან ფუხსმა, შტეფან მაიერჰოფერმა, უმით ქორქმაზმა, კრისტოფ ლაიტგებმა** და **ერვინ ჰოფერმა** (ორი). თუმცა ამ გამარჯვებისთვის დიდი ყურადღება არავის მიუქცევია.

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალექსანდრ მანინგერი | მეკ | 04.06.77 | 188 | 84 | 26 | - | სიენა (იტა) |
| 2 | იოახიმ შტანდფესტი | მცვ | 30.05.80 | 180 | 74 | 29 | 2 | აუსტრია (ვ) |
| 3 | მარტინ შტრანცლი | მცვ | 16.06.80 | 191 | 83 | 43 | 2 | სპარტაკი (რუს) |
| 4 | ემანუელ პოგატეტცი | მცვ | 16.01.83 | 187 | 82 | 25 | 1 | მიდლსბრო (ინგ) |
| 5 | კრისტიან ფუხსი | ნახ | 07.04.86 | 186 | 80 | 15 | - | მატერსბურგი |
| 6 | რენე აუფჰაუზერი | ნახ | 21.06.76 | 185 | 80 | 49 | 10 | ზალცბურგი |
| 7 | ივიცა ვასტიჩი | თავ | 29.09.69 | 183 | 78 | 46 | 12 | ლინცერი |
| 8 | კრისტოფ ლაიტგები | ნახ | 14.04.85 | 171 | 67 | 17 | 1 | ბენფიკა |
| 9 | როლანდ ლინცი | თავ | 09.08.81 | 185 | 73 | 29 | 5 | ბრაგა (პორ) |
| 10 | ანდრეას ივანშიტცი | ნახ | 15.10.83 | 183 | 79 | 37 | 6 | პანათინაიკოსი (საბ) |
| 11 | უმით ქორქმაზი | ნახ | 17.09.85 | 174 | 72 | - | - | რაპიდი |
| 12 | რონალდ გერკალიუ | მცვ | 12.02.86 | 181 | 76 | 10 | - | აუსტრია (ვ) |
| 13 | მარკუს კატცერი | მცვ | 11.12.79 | 183 | 77 | 10 | - | რაპიდი |
| 14 | დიური გარიჩი | მცვ | 08.03.84 | 183 | 75 | 11 | 1 | ნაპოლი (იტა) |
| 15 | სებასტიან პრიოდლი | მცვ | 21.06.87 | 192 | 87 | 8 | 2 | შტურმი |
| 16 | იურგენ პატოკა | მცვ | 30.07.77 | 192 | 89 | 2 | - | რაპიდი |
| 17 | მარკუს ჰიდენი | მცვ | 11.03.73 | 178 | 81 | 5 | - | რაპიდი |
| 18 | რომან კიენასტი | თავ | 29.03.84 | 188 | 75 | 5 | - | ჰამ კამი (ნორ) |
| 19 | იურგენ შაუმელი | ნახ | 08.09.84 | 180 | 74 | 9 | - | შტურმი |
| 20 | მარტინ ჰარნიკი | ნახ | 10.06.87 | 185 | 73 | 6 | 1 | ვერდერი (გერ) |
| 21 | იურგენ მახო | მეკ | 24.08.77 | 192 | 87 | 13 | - | აეკ (საბ) |
| 22 | ერვინ ჰოფერი | თავ | 14.04.87 | 178 | 72 | 2 | - | რაპიდი |
| 23 | რამზან ოზქანი | მეკ | 28.06.84 | 187 | 84 | - | - | ჰოფენჰაიმი (გერ) |

ავსტრიელთა ძირითადი ძალები ქვეყნის საზღვრებს გარეთ არის მობილიზებული და ლეგიონერები ნაკრებს საკუთარი ჩემპიონატების დასრულების შემდეგ შეუერთდნენ. 23-კაციანი განაცხადის შედგენისას, ჰიუკერსბერგერმა ისეთი ფეხბურთელებიც გაიხსენა, რომლებსაც ევროპაში ნელ-ნელა ივიწყებენ. მაგალითად, 38 წლის **ივიცა ვასტიჩი**, რომელმაც ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა "ლინცერში".

*"ძველებურად ვცდილობ, ნიჭიერ ახალგაზრდობას თავის გამოჩენის საშუალება მივცე. მაგრამ წინ უდიდესი საფეხბურთო ფორუმი გველის და ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. ვასტიჩს ჩვენი კაპიტნის, ანდრეას ივანშიტცის შემცვლელად მოვიაზრებ"*, - განაცხადა მთავარმა მწვრთნელმა. მართლაც, ტურნირის ერთ-ერთ მასპინძელს გამოცდილი შემსრულებლები ნამდვილად არ აწყენს.

## ხორვატია

### ედუარდოს გარეშე და მესისთან ერთად

ევრო 2008-ის ერთ-ერთმა ყველაზე კოლორიტულმა მწვრთნელმა **სლავენ ბილიჩმა** (ის საყურეს ატარებს, ხოლო თავისუფალ დროს, როკ-ჯგუფ Rawbau-ში გიტარაზე უკრავს), ჩემპიონატის წინ არაერთხელ გააოცა საფეხბურთო საზოგადოება. პირველად მაშინ, როცა ინგლისის ნაკრებს "უემბლიზე" მოუგო მატჩში, რომელიც მის გუნდს არაფერში სჭირდებოდა, სამაგიეროდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო თავად მასპინძლებისთვის. მეორედ - როცა საჯაროდ გახდა ცნობილი, რომ ბილიჩს ფინალისტი გუნდების ყველა მწვრთნელზე დაბალი ხელფასი ჰქონია; მესამედ - როცა უარი თქვა ყველა სარფიან შეთავაზებაზე და ეროვნულ ფედერაციასთან ახალი კონტრაქტი გააფორმა; მეოთხედ - როცა სხვებზე ადრე დაასახელა იმ 23 ფეხბურთელის სია, რომლებიც ფინალურ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას.

მეხუთე უცნაურობაცაა და ის ნაწილობრივ ეხება ფეხბურთს - ბილიჩმა თავის ჯგუფთან ერთად, ხორვატიის ნაკრების ფანებისთვის ჰიმნი დაწერა. მართალია, როკ-ჯგუფში მწვრთნელი - გიტარისტია, მაგრამ ამ სიმღერის ტექსტი პირადად მან დაწერა და ამასთან, მოკრძალებით აღნიშნა: *"არა მგონია, ჩვენი სიმღერა გულშემატკივრების ახალ ჰიმნად იქცეს. უბრალოდ, ეს სიმღერა ხორვატიის ნაკრების თაყვანისმცემლებისთვის დაიწერა. მუსიკა ძალიან მიყვარს, მაგრამ მთელი ჩემი ცხოვრება - ფეხბურთია"*.

აპრილის ბოლოს, Rawbau-მ და ბილიჩმა მელომანებს ლეგენდარულ "ბითლზთან" პარალელის გავლების საშუალება მისცეს - სპლიტის ცენტრში, ერთ-ერთი შენობის სახურავზე აჟღერდა კომპოზიცია Vatreno Ludilo, რაც ხორვატულიდან დაახლოებით ასე ითარგმნება - "ცეცხლიანი სიგიჟე". იმის გათვალისწინებით, რომ ხორვატიის ნაკრების გულშემატკივრებს საყვარელი გუნდის აქტიური ქომაგობისთვის "ცეცხლოვანებს" უწოდებენ, დიდია ალბათობა იმისა, რომ ავსტრიასა და შვეიცარიაში ეს სიმღერა დიდი პოპულარობით ისარგებლებს.

უშუალოდ საფეხბურთო საკითხებს დავუბრუნდეთ. ინგლისის ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩში, ნატურალიზებულმა ბრაზილიელმა **ედუარდო და სილვამ** საშინელი ტრავმა მიიღო და ამით ხორვატებმა მთავარი კოზირი დაკარგეს.


მოდრიჩისგან ევროზე ბევრს ელიან

"არსენალის" ფეხბურთელმა შესარჩევი ტურნირის 12 მატჩში 10 გოლი გაიტანა (სულ გუნდმა - 27). თანაც, ეს გოლები, როგორც წესი, გადამწყვეტი იყო - ინგლისთან, მაკედონიასთან და ორ-ორჯერ ესტონეთთან და ისრაელთან მატჩებში.

ასე რომ, ბილიჩს ოფიციალური განაცხადის შედგენა ედუარდოს გარეშე მოუწია. თავისი არჩევანი მწვრთნელმა მაისის დასაწყისში გამოაქვეყნა და მასში დიდი მოულოდნელობები არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ნაკრებში "მონაკოს" ნახევარმცველისთვის, **ნიკოლა პოკრივაცისთვის** მოიძებნა ადგილი. მანამდე ეს ფეხბურთელი ერთხელაც არ იყო გამოძახებული ნაკრების რიგებში.

ხორვატების განაცხადში ბევრი ცნობილი სახეა, მაგრამ მოახლოებული ჩემპიონატის წინ, ბევრი სპეციალისტი გვირჩევს, ყურადღება მივაქციოთ 22 წლის **ლუკა მოდრიჩს**. ამ ნახევარმცველმა 2007-08 წლების სეზონი ზაგრების "დინამოში" გაატარა, მაგრამ საფეხბურთო წლის დასრულებას არ დაელოდა და ლონდონის "ტოტენჰემთან" გააფორმა კონტრაქტი (გარიგების თანხამ 21 მილიონი ევრო შეადგინა).

*"ეს არის უმაღლესი დონის ფეხბურთელი. მე ის ჯერ კიდევ ხორვატიის ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობის დროს გავიცანი. ლუკა ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, მაგრამ უკვე დღეს, ის ერთ-ერთ საუკეთესოდ მიმაჩნია. ამაში თავად დარწმუნდებით ევროპის ჩემპიონატზე, როცა მთელი მსოფლიო დაინახავს მის ნიჭს"*, - ასე ლაპარაკობს ბილიჩი ახალგაზრდა ტალანტზე.

"ტოტენჰემის" გულშემატკივრებმა კი, უკვე მოასწრეს პარალელების გავლება მოდრიჩსა და "ბარსელონას" არგენტინელ ვუნდერკინდ **ლეო მესის** შორის. ვნახოთ, გაამართლებს თუ არა მოდრიჩი მასზე გაცემულ ავანსებს. ამისთვის დიდი ხანი მოცდა აღარ გვჭირდება.

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტიპე პლეტიკოშა | მეკ | 08.01.79 | 193 | 83 | 66 | - | სპარტაკი (რუს) |
| 2 | დარიო შიმიჩი | მცვ | 12.11.75 | 180 | 78 | 96 | 1 | მილანი (იტა) |
| 3 | იოსიპ შიმუნიჩი | მცვ | 18.02.78 | 195 | 89 | 60 | 3 | ჰერტა (გერ) |
| 4 | რობერტ კოვაჩი | მცვ | 06.04.74 | 182 | 78 | 71 | - | დორტმუნდი (გერ) |
| 5 | ვედრან კორლუკა | მცვ | 05.02.86 | 193 | 88 | 17 | - | მანჩესტერ სიტი (ინგ) |
| 6 | ჰრვოიე ვეიჩი | ნახ | 08.06.77 | 191 | 82 | 1 | - | ტომი (რუს) |
| 7 | ივან რაკიტიჩი | ნახ | 10.03.88 | 184 | 72 | 6 | 1 | შალკე (გერ) |
| 8 | ოგნიენ ვუკოევიჩი | ნახ | 20.12.83 | 184 | 78 | 2 | 1 | დინამო |
| 9 | ნიკოლა კალინიჩი | თავ | 05.01.88 | 187 | 81 | - | - | ჰაიდუკი |
| 10 | ნიკო კოვაჩი | ნახ | 15.10.71 | 176 | 72 | 74 | 12 | ზალცბურგი (ავს) |
| 11 | დარიო სრნა | ნახ | 01.05.82 | 182 | 78 | 53 | 15 | შახტარი (უკრ) |
| 12 | მარიო გალინოვიჩი | მეკ | 15.11.76 | 193 | 92 | 2 | - | პანათინაიკოსი (საბ) |
| 13 | ნიკოლა პოკრივაცი | ნახ | 26.11.85 | 186 | 83 | - | - | მონაკო (საფ) |
| 14 | ლუკა მოდრიჩი | ნახ | 09.09.85 | 173 | 65 | 23 | 3 | დინამო |
| 15 | დარიო კნეჟევიჩი | მცვ | 20.04.82 | 184 | 74 | 5 | 1 | ლივორნო (იტა) |
| 16 | იერკო ლეკო | ნახ | 09.04.80 | 187 | 78 | 50 | 2 | მონაკო (საფ) |
| 17 | ივან კლასნიჩი | თავ | 29.01.80 | 186 | 79 | 26 | 8 | ვერდერი (გერ) |
| 18 | ივიცა ოლიჩი | თავ | 14.09.79 | 182 | 82 | 51 | 9 | ჰამბურგი (გერ) |
| 19 | ნიკო კრანჩარი | ნახ | 13.08.84 | 184 | 83 | 39 | 6 | პორტსმუთი (ინგ) |
| 20 | იგორ ბუდანი | თავ | 22.04.80 | 185 | 80 | 3 | - | პარმა (იტა) |
| 21 | მლადენ პეტრიჩი | თავ | 01.01.81 | 185 | 77 | 21 | 9 | დორტმუნდი (გერ) |
| 22 | დანიელ პრანიჩი | მცვ | 02.12.81 | 172 | 67 | 8 | - | ჰერენვეენი (ჰოლ) |
| 23 | ვედრან რუნიე | მეკ | 10.02.76 | 185 | 84 | 4 | - | ლანსი (საფ) |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გერმანია



| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იენს ლემანი | მეკ | 10.11.69 | 190 | 87 | 53 | - | არსენალი (ინგ) |
| 2 | მარსელ იანსენი | მცვ | 04.11.85 | 191 | 75 | 20 | 1 | ბაიერნი |
| 3 | არნე ფრიდრიხი | მცვ | 29.05.79 | 185 | 78 | 55 | 1 | ჰერტა |
| 4 | კლემენს ფრიტცი | მცვ | 07.12.80 | 182 | 74 | 11 | 1 | ვერდერი |
| 5 | ჰაიკო ვესტერმანი | მცვ | 14.08.83 | 190 | 80 | 2 | - | შალკე |
| 6 | სიმონ როლფსი | ნახ | 21.01.82 | 189 | 79 | 8 | - | ლევერკუზენი |
| 7 | ბასტიან შვაინშტაიგერი | ნახ | 01.08.84 | 180 | 76 | 48 | 13 | ბაიერნი |
| 8 | ტორსტენ ფრინგსი | ნახ | 22.11.76 | 182 | 80 | 70 | 10 | ვერდერი |
| 9 | მარიო გომესი | თავ | 10.07.95 | 187 | 79 | 8 | 4 | შტუტგარტი |
| 10 | ოლივერ ნოივილი | თავ | 01.05.73 | 171 | 64 | 56 | 9 | ბორუსია (მ) |
| 11 | მიროსლავ კლოზე | თავ | 09.06.78 | 182 | 74 | 73 | 37 | ბაიერნი |
| 12 | რობერტ ენკე | მეკ | 24.08.77 | 185 | 78 | 1 | - | ჰანოვერი |
| 13 | მიხაელ ბალაკი | ნახ | 26.09.76 | 189 | 80 | 79 | 36 | ჩელსი (ინგ) |
| 14 | პიოტრ ტროხოვსკი | ნახ | 22.03.82 | 168 | 68 | 10 | - | ჰამბურგი |
| 15 | ტომას ჰიტცლშპერგერი | ნახ | 05.04.82 | 181 | 75 | 31 | 5 | შტუტგარტი |
| 16 | ფილიპ ლამი | მცვ | 11.11.83 | 170 | 64 | 38 | 2 | ბაიერნი |
| 17 | პერ მერტეზაკერი | მცვ | 20.09.84 | 196 | 85 | 40 | 1 | ვერდერი |
| 18 | ტიმ ბოროვსკი | ნახ | 02.05.80 | 194 | 84 | 31 | 2 | ვერდერი |
| 19 | დავიდ ოდონკორი | ნახ | 21.02.84 | 174 | 74 | 14 | - | ბეტისი (ესპ) |
| 20 | ლუკას პოდოლსკი | თავ | 04.06.85 | 180 | 80 | 45 | 24 | ბაიერნი |
| 21 | კრისტოფ მეტცელდერი | მცვ | 05.11.80 | 193 | 84 | 39 | - | რეალი (ესპ) |
| 22 | კევინ კურანი | თავ | 02.03.82 | 190 | 80 | 45 | 19 | შალკე |
| 23 | რენე ადლერი | მეკ | 15.01.85 | 189 | 80 | - | - | ლევერკუზენი |

### ლიოვი და მისი გუნდი

ბუნდესტიმი უკვე დიდი ხანია აღარ ითვლება "ოქროს" მოპოვების მრისხანე მანქანად, მაგრამ ევროპისა და მსოფლიოს სამ-სამგზის ჩემპიონს მაინც არ დაუკარგავს საფეხბურთო სამყაროს მხრიდან პატივისცემა. გერმანელების ბოლო ტრიუმფი 1996 წლით თარიღდება. ამის შემდეგ იყო მათი ორი გამოღვიძება (მეორე ადგილი 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და მესამე ადგილი საშინაო მუნდიალზე) და სამი აშკარა ჩავარდნა (1998 წელი - მსოფლიო ჩემპიონატი, 2000 და 2004 წლები - ევროპის ჩემპიონატი).

გერმანიის დღევანდელი ნაკრები საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება. გუნდმა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატთან შედარებით, მინიმალური ცვლილებები განიცადა. პრინციპში, მხოლოდ მესაჭის შეცვლა მოხდა, მაგრამ **იურგენ კლინსმანის** წასვლა დიდი ტრაგედია არ ყოფილა, ვინაიდან ყველამ კარგად იცოდა, რომ გუნდში ტაქტიკური საკითხებით არა ლეგენდარული ფეხბურთელი, არამედ მისი ასისტენტი **იოახიმ ლიოვი** იყო დაკავებული.

გერმანელები ძალიან მალე მიხვდნენ, რომ ლიოვს დამოუკიდებლადაც შეეძლო ამ საპასუხისმგებლო სამუშაოს გაძღოლა. ბუნდესტიმმა საკვალიფიკაციო ტურნირი ზედიზედ სამი გამარჯვებით დაიწყო, თანაც რიგით მეორე გამარჯვება სარეკორდო აღმოჩნდა ევროპის ჩემპიონატების ისტორიაში. 2006 წლის სექტემბერში, გერმანულმა მანქანამ სან მარინოს გადაუარა და 13 (!) უპასუხო გოლი გაუტანა მოწინააღმდეგეს. უნიათო აპენინელები ყველაზე მეტად **ლუკას პოდოლსკიმ** დაამწუხრა, რომელმაც პოკერი შეასრულა და ამით ლეგენდარული **გერდ მიულერის** მიღწევა გაიმეორა. ამ უკანასკნელმა 1967 წელს, ალბანეთს გაუტანა ოთხი გოლი.

სამი გამარჯვების შემდეგ იყო სენსაციური ფრე (1:1) კვიპროსთან ნიქოზიაში. მაგრამ ლიოვის გუნდმა ამას ოთხმატჩიანი მოგებათა სერია მიაყოლა და 2007 წლის ოქტომბერში, ირლანდიასთან მიღწეული ფრეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გერმანიას პირველს გადაელახა ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო ბარიერი.

ამის შემდეგ ლიოვის შეგირდები მოდუნდნენ, რისთვისაც ჩეხებისგან დაისაჯნენ. თუმცა, შინ 0:3 წაგების მიუხედავად, ამას საერთო სურათი დიდად არ გაუფუჭებია.

უკვე მაშინ, სამწვრთნელო შტაბს ნაკლებად აინტერესებდა, თუ ვინ დაიკავებდა ჯგუფში პირველ ადგილს (საბოლოოდ, ის ჩეხეთის საკუთრება გახდა) და უფრო საკადრო საკითხებით იყო დაკავებული. მაგალითად, გასარკვევი გახლდათ, თუ ვინ იქნებოდა ნაკრების პირველი ნომერი. ვეტერანმა **იენს ლემანმა**, რომელზეც კეთდებოდა აქცენტი 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე და ევრო 2008-ის საკვალიფიკაციო ციკლში, "არსენალში" ძირითადი მეკარის სტატუსი დაკარგა, მაგრამ ვერც მისი პირველი დუბლიორი **ტიმო ჰილდებრანდი** ბრწყინავდა "ვალენსიაში". მართალია, ესპანურ გუნდთან ერთად მან ქვეყნის თასი მოიგო, სამაგიეროდ, კინაღამ სეგუნდა დივიზიონში გავარდა (ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, "ვალენსია" იმ სამ გუნდს შორის მოხვდა, რომლებმაც ესპანეთის პირველობაზე ყველაზე მეტი გოლი გაუშვა). საბოლოოდ, ლიოვმა ჰილდებრანდი განაცხადში არ შეიყვანა. შეიძლება ითქვას, რომ ერთის მხრივ, მწვრთნელი ძალიან მკაცრად მოიქცა, მაგრამ მეორეს მხრივ, ეს, ალბათ, ბრძნული გადაწყვეტილება იყო. ლიოვმა გადაწყვიტა არ გაემეორებინათ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შეცდომები, როცა ლემანი და **ოლივერ კანი** გამოუცხადებელი ომის მდგომარეობაში იყვნენ. ასე კი, ყველაფერი მარტივადაა - არის ლემანი და არის რეზერვი **ენკესა და ადლერის** სახით.

ამ პრობლემას კიდევ ერთი მიემატა - ვეტერანი **ბერნდ შნაიდერის** ტრავმა, რომელიც გერმანიის ნაკრების ნახევარდაცვაში 1999 წლიდან თამაშობდა და ჯამში 81 მატჩი ჩაატარა. ლევერკუზენელმა ხერხემლის დისკის ოპერაცია გაიკეთა. ექიმების თავდაპირველი პროგნოზებით, ის თითქოს ინარჩუნებდა ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსს, მაგრამ საბოლოო დიაგნოზის თანახმად, 34 წლის ფეხბურთელი ევრო 2008-ის მიღმა დარჩა.

ფორვარდებთან დაკავშირებით სხვა პრობლემები არსებობს: ვისზე უნდა გააკეთოს მწვრთნელმა აქცენტი. გერმანიას ოთხი მაღალი კლასის თავდამსხმელი ჰყავს: ბავარიელები - **მიროსლავ კლოზე** და **ლუკას პოდოლსკი**, **კევინ კურანი** "შალკედან" და **მარიო გომესი** "შტუტგარტიდან". ბუნდესლიგის წლევანდელ გათამაშებაში, ამ კვარტეტმა ჯამში 48 გოლი გამოჭედა.

გასაკვირი სულაც არ არის, რომ ასეთი მდიდარი არჩევანის პირობებში, გერმანია ამხანაგურ მატჩებში ძალიან კარგად გამოიყურებოდა. მარტო იმის აღნიშვნაც საკმარისი იქნება, რომ ბუნდესტიმმა ევროპის ჩემპიონატის ორივე მასპინძელი გაანადგურა - ავსტრია 3:0 და შვეიცარია 4:0. თანაც, **ფილიპ ლამმა** განაცხადა - ამ მატჩების შედეგებით ნუ იმსჯელებთ, ევროპის ჩემპიონატზე გერმანია კიდევ უკეთეს შთაბეჭდილებას დატოვებსო.

## პოლონეთი

### კადრის ჰოლანდიური ხელწერა

თავისი მდიდარი საფეხბურთო ისტორიის განმავლობაში (მესამე ადგილი 1974 და 1982 წლების ჩემპიონატებში, გამარჯვება 1972 წლის ოლიმპიადაზე, მეორე ადგილი 1976 და 1992 წლების ოლიმპიადებზე), პოლონეთი არასოდეს მოხვედრილა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე. ამ გაუგებრობის აღმოსაფხვრელად ჰოლანდიელი მწვრთნელის, **ლეო ბეენჰაკერის** ჩარევა გახდა საჭირო, რომელმაც 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი ფიასკოს შემდეგ, მყარად დააყენა ფეხზე "კადრი" (პოლონეთის საფეხბურთო ნაკრების არაოფიციალური სახელწოდება).

თუმცა თავიდან ჰოლანდიელ სპეციალისტსაც გაუჭირდა. ევრო 2008-ის კვალიფიკაციის სტარტზე, ორ საშინაო შეხვედრაში პოლონეთის ნაკრებმა ჯერ ფინეთთან წააგო (1:3), შემდეგ ფრედ ითამაშა სერბეთის ნაკრებთან (1:1). არადა, ამ ჯგუფში კიდევ პორტუგალია და ბელგია ირიცხებოდნენ, გუნდს წინ ჰქონდა არასასიამოვნო გასტროლები ყაზახეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში და ასეთი ცუდი დასაწყისის შემდეგ, საგზურისთვის ბრძოლა პოლონელებს კარგს არაფერს უქადდა.

მაგრამ ბეენჰაკერი ტყუილად არ ითვლება ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მწვრთნელად, რომელსაც ზურგს კოლოსალური გამოცდილება უმაგრებს. ამ ორ წაფორხილებას ზედიზედ ექვსი (!) გამარჯვება მოჰყვა, მათ შორის, პორტუგალიასთან - 2:1. შეტევაში შეუჩერებელი გახდა **ეუსებიუშ სმოლიარეკი** (ცნობილი პოლონელი ფეხბურთელის, **ვლოძიმეჟ სმოლიარეკის** ვაჟი), რომელმაც გამარჯვების გოლები გაიტანა ყაზახეთის, პორტუგალიისა და ბელგიის კარში. ერთ დროს მრისხანე ბელგიის დამარცხების შემდეგ, პოლონელებმა ფინალურ ტურნირში მონაწილეობა გაინაღდეს, ხოლო მწვრთნელები უახლოესი რეზერვის შემოწმებას შეუდგნენ.

გაზაფხულზე პოლონეთმა რამდენიმე ამხანაგური მატჩი გამართა - ერთნაირი ანგარიშით მოუგო ჩეხეთსა და ესტონეთს - 2:0, სამაგიეროდ, 0:3 შერცხვა ამერიკასთან (აშშ-მ სამივე გოლი სტანდარტული მდგომარეობის გათამაშებისას გაიტანა). მაგრამ ბეენჰაკერი ამ მარცხით დიდად არ შეწუხებულა. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდისო - აცხადებდა ჰოლანდიელი, რომელმაც სულ მალე 31-კაციანი წინასწარი შემადგენლობა დაასახელა, მაისის დასაწყისში კი, ეს სია ექვსი კაცით შეამცირა: ნაკრებში არ მოინახა ადგილი მეკარე **ვოიცეხ კოვალევსკისთვის**, მცველ **არკადიუშ რადომსკისთვის**; ნახევარმცველ **მიხალ გოლინსკისთვის** და თავდამსხმელებისთვის - **ლუკაშ პიშჩეკისთვის, არტურ ვიხნიარეკისა** და **დავიდ იანჩიკისთვის**.

სამაგიეროდ, ევრო 2008-ზე გამგზავრების უფლება მიიღო 25 წლის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა **როჟერ გერეირომ** (ვარშავის "ლეგიადა"). მას პოლონური პასპორტი პირადად ქვეყნის პრეზიდენტმა **ლეხ კაჩინსკიმ** გადასცა (ბრაზილიელისთვის გამონაკლისი დაუშვეს, ვინაიდან პოლონეთის მოქალაქეობის მისაღებად, ამ ქვეყანაში მინიმუმ ხუთი წელი ცხოვრებაა საჭირო).

პოლონელებს ერთი სერიოზული დანაკლისიც აქვთ. კერძოდ, ტრავმის მოშუშება ვერ მოასწრო "ცრვენა ზვეზდას" მარცხენა მცველმა **გჟეგოჟ ბრონოვიცკიმ**.



სმოლიარეკმა შესარჩევში 9 გოლი გაიტანა

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არტურ ბორუცი | მეკ | 20.02.80 | 193 | 85 | 32 | - | სელტიკი (შოტ) |
| 2 | მარიუშ იოპი | მცვ | 03.08.78 | 188 | 81 | 22 | - | მოსკოვი (რუს) |
| 3 | იაკუბ ვავრჟინიაკი | ნახ | 07.07.83 | 187 | 84 | 8 | - | ლეგია |
| 4 | პაველ გოლანსკი | მცვ | 12.10.82 | 182 | 74 | 8 | 1 | სტიაუა (რუმ) |
| 5 | დარიუშ დუდკა | ნახ | 09.12.83 | 182 | 71 | 22 | 2 | ვისლა |
| 6 | იაჩეკ ბაკი | მცვ | 24.03.73 | 187 | 78 | 91 | 3 | აუსტრია (ავს) |
| 7 | ები სმოლიარეკი | თავ | 09.01.81 | 178 | 68 | 28 | 13 | რასინგი (ესპ) |
| 8 | იაჩეკ კრჟინოვეკი | ნახ | 15.05.76 | 180 | 73 | 76 | 14 | ვოლფსბურგი (გერ) |
| 9 | მაცეი ჟურავსკი | თავ | 12.09.76 | 181 | 76 | 68 | 16 | ლარისა (საბ) |
| 10 | ლუკაშ გარგულა | ნახ | 25.02.81 | 178 | 73 | 9 | 1 | ბელხატოვი |
| 11 | მარეკ საგანოვსკი | ნახ | 31.10.78 | 178 | 76 | 20 | 3 | საუთჰემპტონი (ინგ) |
| 12 | ტომაშ კუშჩაკი | მეკ | 20.03.82 | 190 | 84 | 5 | - | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 13 | მარსინ ვასილევსკი | მცვ | 09.06.80 | 186 | 88 | 25 | 1 | ანდერლეხტი (ბელ) |
| 14 | მიხალ ჟევლაკოვი | მცვ | 22.04.76 | 183 | 79 | 75 | 2 | ოლიმპიაკოსი (საბ) |
| 15 | მიხალ პაჟდანი | ნახ | 21.09.87 | 180 | 78 | 3 | - | გურნიკი |
| 16 | იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | ნახ | 14.12.85 | 173 | 67 | 13 | 1 | დორტმუნდი (გერ) |
| 17 | ვოიცეხ ლობოძინსკი | ნახ | 20.10.82 | 186 | 83 | 13 | 2 | ვისლა |
| 18 | მარიუშ ლევანდოვსკი | მცვ | 18.05.79 | 185 | 84 | 43 | 3 | შახტარი (უკრ) |
| 19 | რაფალ მურავსკი | ნახ | 09.10.81 | 175 | 75 | 7 | 1 | ლეხი |
| 20 | როჟერ გერეირო | ნახ | 25.05.82 | 189 | 76 | 1 | - | ლეგია |
| 21 | ტომაშ ზაგორსკი | ნახ | 22.11.84 | 188 | 74 | 6 | 1 | გურნიკი |
| 22 | ლუკაშ ფაბიანსკი | მეკ | 18.04.85 | 191 | 84 | 7 | 1 | არსენალი (ინგ) |
| 23 | ადამ კოკოშკა | მცვ | 06.10.86 | 186 | 78 | 5 | 1 | ვისლა |

### კალენდარი

**8 ივნისი**

ავსტრია-ხორვატია (20:00)
გერმანია-პოლონეთი (22:45)

**12 ივნისი**

ხორვატია-გერმანია (20:00)
ავსტრია-პოლონეთი (22:45)

**16 ივნისი**

ავსტრია-გერმანია (22:45)
პოლონეთი-ხორვატია (22:45)

### შესარჩევი ტურნირი

**პოლონეთი**

*14 მატჩი; +8=4-2; 24-12; 28 ქულა (I ადგილი)*

| | |
|---|---|
| პოლონეთი-ფინეთი | 1:3 |
| პოლონეთი-სერბეთი | 1:1 |
| ყაზახეთი-პოლონეთი | 0:1 |
| პოლონეთი-პორტუგალია | 2:1 |
| ბელგია-პოლონეთი | 0:1 |
| პოლონეთი-აზერბაიჯანი | 5:0 |
| პოლონეთი-სომხეთი | 1:0 |
| აზერბაიჯანი-პოლონეთი | 1:3 |
| სომხეთი-პოლონეთი | 1:0 |
| პორტუგალია-პოლონეთი | 2:2 |
| ფინეთი-პოლონეთი | 0:0 |
| პოლონეთი-ყაზახეთი | 3:1 |
| პოლონეთი-ბელგია | 2:0 |
| სერბეთი-პოლონეთი | 2:2 |

*გოლები: სმოლიარეკი (9), კრჟინოვეკი (4), მატუსიაკი (3), გარგულა, მურავსკი, ჟურასკი, ბაკი, დუდკა, ლობოძინსკი, კაზმიერჩაკი, ლევანდოვსკი*

**გერმანია**

*12 მატჩი; +8=3-1; 35-7; 27 ქულა (II ადგილი)*

| | |
|---|---|
| გერმანია-ირლანდია | 1:0 |
| სან მარინო-გერმანია | 0:13 |
| სლოვაკეთი-გერმანია | 1:4 |
| კვიპროსი-გერმანია | 1:1 |
| ჩეხეთი-გერმანია | 1:2 |
| გერმანია-სან მარინო | 6:0 |
| გერმანია-სლოვაკეთი | 2:1 |
| უელსი-გერმანია | 0:2 |
| ირლანდია-გერმანია | 0:0 |
| გერმანია-ჩეხეთი | 0:3 |
| გერმანია-კვიპროსი | 4:0 |
| გერმანია-უელსი | 0:0 |

*გოლები: პოდოლსკი (8), კლოზე (5), შვაინშტაიგერი (4), ჰიტცლშპერგერი (4), ბალაკი (3), კურანი (2), ფრიტცი (2), გომესი (2), მ. ფრიდრიხი, შნაიდერი, იანსენი, ფრინგსი, ავტოგოლი*

**ხორვატია**

*12 მატჩი; +9=2-1; 28-8; 29 ქულა (I ადგილი)*

| | |
|---|---|
| რუსეთი-ხორვატია | 0:0 |
| ხორვატია-ანდორა | 7:0 |
| ხორვატია-ინგლისი | 2:0 |
| ისრაელი-ხორვატია | 3:4 |
| ხორვატია-მაკედონია | 2:1 |
| ესტონეთი-ხორვატია | 0:1 |
| ხორვატია-რუსეთი | 0:0 |
| ხორვატია-ესტონეთი | 2:0 |
| ანდორა-ხორვატია | 6:0 |
| ხორვატია-ისრაელი | 1:0 |
| მაკედონია-ხორვატია | 2:0 |
| ინგლისი-ხორვატია | 2:3 |

*გოლები: ედუარდო და სილვა (10), პეტრიჩი (7), სრნა (3), კრანჩარი (2), კლასნიჩი, ბალაბანი, მოდრიჩი, რაკიტიჩი, ოლიჩი, ავტოგოლი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# შეწყვეტილი ფინალი



ანა ჯიქია

16 წლის **ანა ჯიქიამ** წარმატებით იასპარეზა თურქეთის ქალაქ გაზიანთეფში, სადაც პირველად გაიმართა ITF-ის ტურნირი (10 ათასი დოლარი). ანა დიდებში გამოუცდელი ჩოგბურთელია, თითქმის სამი წლის განმავლობაში ქართველმა სულ ოციოდე მატჩი გამართა. მისი საყვარელი საფარი თიხნარია, სადაც უკეთ ასპარეზობს, თუმცა ჯერჯერობით, ყველაზე დიდ წარმატებას გაზიანთეფის ჰარდის საფარის კორტებზე მიაღწია. ერთეულთა თანრიგში ანამ სექტემბრის შემდეგ მეორედ შეძლო ტურნირის ძირითად ბადეში ერთი ეტაპის დაძლევა მაინც, წყვილებში კი კარიერის პირველ ტიტულს მიუახლოვდა.

ანა ჯიქია თურქეთში ბელარუს **ვოლჰა დუკოს** (973) შეუწყვილდა. მათი დუეტი წარმატებული აღმოჩნდა, სლავმა და ქართველმა ფინალში გაალწიეს, სადაც პირველ ნომრად განთესილ თურქებს შეხვდნენ, **კაგლა ბუიუქაქჩაის** და **პემრა ოზგენს**. სამწუხაროდ, ჩვენებურმა და დუკომ ფინალში თამაში ვერ შეძლეს, 0:2-ზე პირველ სეტში მათ ბრძოლა შეწყვიტეს. ანა ჯიქია ახალგაზრდულ რეიტინგში 822-ე პოზიციაზეა, თუმცა ივლისის შემდეგ ამ ასპარეზზე აღარ უთამაშია.

თურქეთში მორიგი 10-ათასიანი ტურნირი იმართება, ამჯერად იზმირში. იქ 19 წლის **სოფიო ქვაცაბაია** (686) ითამაშებს, რომელიც მე-6 ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში ჩვენებური 15 წლის ბრიტანელს, **ტარა მურს** (912) შეხვდება. სოფიო რუს **ავგუსტა ციბიშევასთან** (865) ერთად წყვილთა თანრიგშიც იასპარეზებს, ეს დუეტი მეორე ნომრად არის განთესილი. პირველ წრეში სოფიო და ავგუსტა თურქულ დუეტს (**იურტკურანი, დოგანი**) ეთამაშებიან.

ამერიკულ ჰილტონ ჰედში დაიწყო ქალ ჩოგბურთელთა ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. საკვალიფიკაციო ბადეში **თათია მიქაძე** უნდა ყოფილიყო, თუმცა ბოლო მომენტში ის ტურნირიდან მოიხსნა. ძირითად ბადეში 21 წლის **სალომე დევიძე** ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ორი დარჩა, ორი გავარდა

უკრაინის ქალაქ ჩერკასიში დაიწყო ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის საპრიზო ფონდი 10 ათასი დოლარია. ტურნირში ოთხი ქართველი ჩოგბურთელი ჩაება, **ნოდარ ითონიშვილი, გიორგი ხრიკაძე, ლაზარე კუხალაშვილი** და **სერგი სიხარულიძე**. ოთხივე საკვალიფიკაციო ბადეში მოხვდა, ითონიშვილი ორგანიზატორებმა მე-3 ნომრად განთესეს, ხოლო ხრიკაძე – მე-13 ნომრად. ეს ორი პირველი საკვალიფიკაციო წრისგან თავისუფალი იყო. ლაზარე კუხალაშვილმა უკრაინელი **ასკოლდ კუზნეცოვი** დაამარცხა – 6:1, 6:1. სერგი სიხარულიძე კი პირველივე წრეში დამარცხდა, მას უკრაინელმა **ანტონ პროცენკომ** მოუგო – 0:6, 3:6.

მეორე საკვალიფიკაციო წრეში დამარცხდა საქართველოს ნაკრების წევრი ნოდარ ითონიშვილიც. მან **დენის მილჩენკოსთან** (უკრაინა) დათმო სამ სეტში – 4:6, 6:4, 5:7. ლაზარე კუხალაშვილი მე-12 ნომრად განთესილ რუს **მაქსიმ კანაკოვს** დაუპირისპირდება, ხოლო გიორგი ხრიკაძე – მოლდოველ **ილია ბაბინციუჩს**. ჩვენები წყვილთა თანრიგში არ გამოდიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სუმო

# ტოჩინოშინმა იკოძუნა შეარყია




ტოჩინოშინი

1 ივნისს ტოკიოში სუმოს ერთდღიანი საიკიოს ტრადიციული ტურნირი გაიმართა, რომელშიც ყველა ცნობილმა სუმოისტმა მიიღო მონაწილეობა. ერთდღიანი ტურნირი, ბაშოსგან განსხვავებით ოლიმპიური სისტემით იმართება. გამარჯვებული 2,5 მილიონი იენით ჯილდოვდება, ტიტული მონღოლმა დიდმა ჩემპიონმა **ჰაკუჰომ** მოიგო. ის საიკიოს ერთდღიანი ტურნირის გამარჯვებული ზედიზედ მესამე წელიწადია ხდება, რაც აქამდე არავის შესძლებია.

**ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი)** ზაფხულის ბაშო უარყოფითი შედეგით (7-8) კი დაასრულა, თუმცა უმაღლეს დივიზიონში ადგილი შეინარჩუნა და გულშემატკივრებს თავისი პოტენციალი აჩვენა. ერთდღიან ტურნირზე ქართველმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისგან მომავალში კარგ შედეგებს უნდა ველოდოთ. პირველ წრეში მისი მეტოქე ყოფილი ოძეკი **დეჯიმა** იყო, სწორედ ის, ვისთანაც მაისის ბაშოს გადამწყვეტ, ბოლო შეხვედრაში დამარცხდა. ქართველმა შური იძია მარცხისთვის და დეჯიმა იორიკირის წყალობით გაიყვანა დოჰიოდან. მეორე რაუნდში ტოჩინოშინი **ტოჩინონადას** შეხვდა და მასაც იორიკირით მოუგო. მესამე რაუნდში, ანუ მერვედფინალში ქართველს გზაზე დიდი ჩემპიონი **ასაშორიუ** გადაეყარა. ამჯერად ქართველი იორიკირით დამარცხდა, თუმცა დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად აღნიშნა, რომ „ქართველმა იოკოძუნას ძალა უჩვენა". რაც შეეხება **კოკაის (ლევან ცაგურია)**, აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირა პირველივე წრეში მონღოლ **კაკურიუსთან** იორიკირით დამარცხდა და საიკიოს ტურნირს დაემშვიდობა. ფინალში ჰაკუჰომ თანამემამულე **ამა** დაამარცხა, რომელმაც ნახევარფინალში ასაშორიუ გააგდო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პეკინი 2008. მეტოქეები. ანტიკური ჭიდაობა

# გადაბაძე მეტოქედ გვექცა



შალვა გადაბაძე

**ახლოვდება პეკინის ოლიმპიადა და მსოფლიოს სხვადასხვა ნაკრებები უკვე ასახელებენ იქ წასაყვან შემადგენლობებს. "ლელო" პერიოდულად შემოგთავაზებთ ჩვენი ფალავნების მომავალ მეტოქეებს ჩინეთში. ამ კუთხით ინფორმაციებს აქამდეც გაწვდიდით, ახლა კი ამ ყველაფრის რუბრიკაში მოქცევა გადავწყვიტეთ.**

რუბრიკას აზერბაიჯანის ანტიკოსთა ნაკრებით გავხსნით, რომლის თავკაცმა ელჩინ ჯაფაროვმა უკვე დაასახელა ოლიმპიადაზე წასაყვანი გუნდი: ევროპის ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **როვშან ბაირამოვი** (55), ევროპის ჩემპიონი **ვიტალი რახიმოვი** (60), მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი **ფარიდ მანსუროვი** (66), **ილგარ აბდულოვი** (74), **შალვა გადაბაძე** (84) და **ანტონ ბოტევი** (120).

როგორც ვხედავთ, აზერბაიჯანელები პეკინში ქართველ მამლუქს - გადაბაძეს დაგვიპირისპირებენ. იგი არც ისე დიდი ხნის წინათ წავიდა აზერბაიჯანში, რაკი აქ **ბადრი ხასაიას** კონკურენციას ვერ გაუძლო, იმათ კი ამ წონაში ხეირიანი არავინ ჰყავდათ - შარშან მსოფლიოზე ელვინ მურსალიევი აჭიდავეს, მაგრამ მხოლოდ 45-ზე გავიდა (არადა, ის ტურნირი ბაქოში ტარდებოდა), წლეულს კი ევროპაზე არც არავინ წაუყვანიათ. ამიტომ მათი და გადაბაძის სურვილები ერთმანეთს ძალზე იოლად დაემთხვა - იმათ ლიცენზია უნდოდათ, ამას - ოლიმპიადაზე ჭიდაობა და ხელიც ხელს უპრობლემოდ დაჰკრეს. გადაბაძემ ნოვი სადის სალიცენზიო ტურნირში გაიმარჯვა და აზერბაიჯანს მორიგი საგზური მოუტანა. ის რომ არა, ლიცენზიას ვერც მოიპოვებდნენ.

გადაბაძე აზერბაიჯანელთა ნაკრებში ერთადერთი ლეგიონერი არაა – აქვეა რუსეთიდანაა გადაყვანილი **ანტონ ბოტევი**, რომელიც ასევე ბოლო ხანებში ჩართეს ნაკრებში. საერთოდ, ნატურალიზაცია იქაურ ჭიდაობაში ფრიად ფეხმოკიდებული მეთოდია - რამდენიმე ლეგიონერია "თავისუფალთა" და ქალთა ნაკრებებშიც. იქაურ გუნდებში უცხოელთა რიცხვი იმდენად სწრაფად იზრდება, რომ ამაზე ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა **რაფაელ მარტინეტიმაც** მიუთითა. მაშინ მარტინეტიმ თავისი სამშობლოს - შვეიცარიის მაგალითი მოიყვანა, იქ მოქალაქეობის მისაღებად 10-წლიანი ლოდინია საჭირო და თქვენ ასე მალე როგორ აძლევთ პასპორტებსო. ჭიდაობის დიდმოხელემ ამაზე, ცოტა არ იყოს და უკმეხი პასუხი მიიღო აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრ **ჩინგიზ ჰუსეინზადესგან**, რომელიც, პარალელურად, სოკ-ის ვიცე-პრეზიდენტია. *"არ ვიცი, მარტინეტიმ საიდან მოიტანა ეს ამბავი და რატომ განაცხადა ასეთი რამ. სავარაუდოდ, ის მთვრალი იყო"*, ასე არადიპლომატიურად უპასუხა შვეიცარიელს აზერბაიჯანელმა დიდმოხელემ.

ამათი სიტყვიერი პაექრობა იქით იყოს, ჩვენ კი ჩვენივე სატკივარი ვიტიროთ - მიგვაჩნია, რომ ასე ხელაღებით არ უნდა ვუშვებდეთ სპორტსმენებს უცხოეთში. ამით კონკურენტებს ხომ ვიმრავლებთ და სხვებს ვაძლიერებთ, საკუთრივ ჩვენს ნაკრებშიც ვკლავთ კონკურენციას. დაგვეთანხმებით, ეს ნამდვილად არაა კარგი. აგერ, რუსებმა **დავით მუსულბესი** უპრობლემოდ გაუშვეს სლოვაკეთში, მაგრამ ორი წლის მერე მიედავნენ, რაკი იმან ლიცენზიაც მოიპოვა და დაამტკიცა, რომ იქ მათთვისაც ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი იქნებოდა.

სხვათა შორის, თავის დროზე უზბეკეთში წასვლამდე **ალექსანდრე დოხტურიშვილიც** მაშინდელი სპორტის აკადემიის პირველობაზე სწორედ გადაბაძესთან დამარცხდა. ბედის ირონიით, ახლა ორივე მამლუქად იქცა.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# ოთხი წლით მოიკვეთა



ნიჯატ შიხალიზადე

**აზერბაიჯანელი**, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი ძიუდოში, **ნიჯატ შიხალიზადე** (60) დოპინგის მოხმარებისთვის საერთაშორისო ფედერაციამ 4-წლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

შიხალიზადე ამ წონაში არც ისე დიდი ხნის წინათ გამოჩნდა, როცა ევროპის სამგზის ჩემპიონი **ელჩინ ისმაილოვი** შეავიწროვა და თანდათან განდევნა 66-კენ. იგი ამ წონაში სწრაფად იქცა ერთ-ერთ ლიდერად და 2005 წელს კაიროში გამართულ მსოფლიო პირველობაზე ბრინჯაოც მოიპოვა. ამის შემდეგ საერთაშორისო ტურნირებშიც წარმატებით ჭიდაობდა, 2007-ში სულაც პარიზის სუპერთასი მოიგო, რაც ძიუდოში ძალის საზომად მიიჩნევა, მაგრამ ბევრი აღარ დასცალდა - აგვისტოში რომის ტურნირზეც გამოვიდა, ვერცხლიც მოიპოვა, მაგრამ დოპინგოფიცრებმაც სწორედ იქ ამხილეს. ცხადია, მას მაშინვე აეკრძალა ოფიციალურ შეჯიბრებებში გამოსვლა, თუმცა საბოლოო განაჩენი ასე დაგვიანებით გამოუტანეს. იგი ძალაში დოპინგის აღმოჩენის მომენტიდან ანუ შარშანდელი აგვისტოდან შედის. ამდენად, შიხალიზადე ტატამს 2011 წლის აგვისტოში დაუბრუნდება და იქნებ ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლაც მოასწროს. იგი 2009-2010 წლებში გამართულ ორივე მსოფლიო პირველობას გამოტოვებს (მოგეხსენებათ, პეკინის ოლიმპიადის შემდეგ პლანეტის პირველობა ყოველწლიურად გაიმართება).

აქ აუცილებლად გაჩნდება კითხვა - დაბრუნდება თუ არა ის 4-წლიანი უქმობის მერე სპორტში, რადგან ამხელა აკრძალვა, პრაქტიკულად, ჭიდაობიდან მოკვეთას ნიშნავს. თუმცა გავითვალისწინოთ, რომ, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ეს მისთვის მეორე შემთხვევაა და, ეტყობა, ასე მკაცრადაც ამიტომ მოექცნენ. ის რომ თუნდაც რამდენიმე წლით უფროსი იყოს, სპორტში დაბრუნების საკითხი დღის წესრიგიდან ლამის ერთნიშნად მოიხსნებოდა, მაგრამ ჯერ მხოლოდ 20 წლისაა და ჭიდაობას კიდევ კარგა ხანს შეძლებს, თუმცა საუკეთესო წლები კი უცდება. სწორედ ის წლები, როცა უნდა ისწავლოს, დაიხვეწოს და მოჭიდავედ ჩამოყალიბდეს.

ამ წონაში აზერბაიჯანის ნაკრებმა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზია ვერ მოიპოვა და შიხალიზადე ჩინეთში **ნესტორ ხერგიანის** კონკურენტი ვერც იქნებოდა, მაგრამ ამ ამბავს თქვენი ყურადღება იმიტომ დავუთმეთ, რომ ანალოგიური პრობლემა "თავისუფალ" ჭიდაობაში ჩვენც გვაწუხებს - მოგეხსენებათ, მძიმეწონოსანი ევროპის ჩემპიონი **დავით მოძმანაშვილი** დოპინგზე ჩავარდა და სასჯელის მოლოდინში ვართ. თუმცა მრავალი მიზეზი არსებობს იმის საფიქრალად, რომ მოძმანაშვილს ასე მკაცრად არ დასჯიან. შიხალიზადეს შემთხვევა ჩვენთვის საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ ის ძალზე უბრალო წამალზე - ფუროსემიდზე ჩავარდა. სპორტსმენებს ამიტომაც მართებთ სიფრთხილე, რადგან ეს წამალი კაპიკები ღირს და მისი შეძენა ნებისმიერ აფთიაქში, ნებისმიერ მსურველს უპრობლემოდ შეუძლია. იგი არც სტიმულატორებს შეიცავს და არც ჰორმონალური პრეპარატია, მაგრამ შარდმდენია და ორგანიზმიდან სწრაფად გამოაქვს სწორედ დოპინგშემცველი პრეპარატების კვალი. ამიტომ მას ხშირად იყენებენ დოპინგის კვალის დასაფარავად და აკრძალულ პრეპარატთა სიაშიც ამ მიზეზით მოხვდა.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ აზერბაიჯანის ნაკრებმა 5 ლიცენზია მოიპოვა - უსაგზუროდ 60-ში და მძიმეში დარჩნენ. იმ ხუთიდან უნივერსიადის ჩემპიონმა **რამილ გასიმოვის** (66), ევროპის ჩემპიონისა და მსოფლიოს ვერცხლის პრიზიორ **ელნურ მამადლის** (73), ევროპის ვიცე-ჩემპიონ ელხან მამედოვისა და მსოფლიოს პრიზიორ **მოვლუდ მირალიევის** (100) პეკინში გამოსვლა ეჭვს არც იწვევდა და იჭიდავებენ კიდეც, ტრავმა თუ არ შეუშლით ხელს. იქაურებს ორი პრეტენდენტი მხოლოდ 81-ში ჰყავდათ და ამ კონკურენციის გადაჭრა ნაკრების თავკაც **აგიარ ახუნდზადესთვის** სულაც არ იყო იოლი საქმე - სალიცენზიო რეიტინგში **მეხმან აზიზოვმა ელხან რაჯაბლის** სულ რაღაც... 8 ქულით გაასწრო. საერთაშორისო ტურნირებზე ბევრგან უფრო უკეთ რაჯაბლი გამოვიდა, ზოგან აზიზოვმა მოუგო და ერთხელ - პირადი შეხვედრაც, მაგრამ საბოლოოდ გადამწყვეტი სწორედ ის 8 ქულა და რაჯაბლის ასაკი აღმოჩნდა. რაჯაბლი რამდენიმე წლით უფროსია კონკურენტზე და ახუნდზადეს თავიდანვე ეტყობოდა, უფრო ახალგაზრდა აზიზოვისკენ რომ იხრებოდა, ამ დღეებში კი ის ოფიციალურად დაასახელა ოლიმპიური გუნდის წევრად. *"მე ჯერ კიდევ სალიცენზიო ტურნირების დაწყებამდე ვუთხარი ორივეს, რომ პეკინში ის წავიდოდა, ვინც უფრო ბევრ ქულას დააგროვებდა, ასეთი კი აზიზოვი აღმოჩნდა და ოლიმპიადაზეც ის იჭიდავებს"*, - განაცხადა მწვრთნელმა.

აზერბაიჯანის ნაკრები გუშინ პარიზში გაემგზავრა, სადაც მასპინძლებთან ერთად ერთობლივ შეკრებას გაივლის.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი. IRB-ის ერთა თასი

# რა ნაკრებია ეს?

## ბუქარესტში 20 კაცი გვაკლდება, 9 დებიუტანტია

საქართველოს ეროვნული ნაკრები 11 ივნისიდან ბუქარესტში IRB-ის ერთა თასის გათამაშებაში ჩაერთვება, სადაც სამ შეხვედრას გამართავს სამხრეთ აფრიკის A, იტალიის A და ურუგვაის ნაკრებ გუნდებთან. სამწუხაროდ, ბორჯღალოსანთა გუნდი რუმინეთში უძლიერესი შემადგენლობით ვერ გაემგზავრება. მიზეზებზე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ გიორგი ნიჟარაძეს ვესაუბრეთ?



ბუქარესტში ყველაზე გამოცდილი მორაგბე ბიძინა სამხარაძე იქნება

- IRB-ის ერთა თასის წლევანდელ გათამაშებაში თითქმის ოცამდე წამყვანი მოთამაშე დაგვაკლდება სხვადასხვა მიზეზის გამო. ყველაფერი შარშან, საფრანგეთში გამართულმა მსოფლიო თასის გათამაშებამ აგვირია. ამ შეჯიბრის გამო საფრანგეთის ჩემპიონატის გათამაშება წლეულს ჩვეულებრივზე ერთი თვით გვიან მთავრდება. ჩვენი მორაგბეების ნაწილი ამის გამო კლუბებშია დაკავებული. ვინც თავისუფალია ან ტრავმირებულია, ანაც ახალ კლუბთან კონტრაქტის გაფორმებას ცდილობს და ამდენად ეროვნულ გუნდს ვერაფრით ეხმარება.

**- რა გამოსავალია შექმნილი მდგომარეობიდან?**

- ბუქარესტში იმთავითვე გვინოდა საკმაოდ ბევრი ახალი მორაგბის გამოცდა, საქმეში ნახვა. მაგრამ საქმე ისე აეწყო, ფაქტობრივად, მთლიანად გადახალისებული შემადგენლობით მოგვიწევს თამაში.

ცუდია, მაგრამ ამასაც აქვს თავისი დადებითი მხარე, თუ ცხადია, პერსპექტივის თვალსაზრისით შევხედავთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანი ამ ტურნირზე შედეგი არაა. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინც მოედანზე გავა, ვინმეს რამეს დაუთმობს, არ იბრძოლებს. უნიკალური საშუალება გვეძლევა, სრულიად ახალი მორაგბეები პირდაპირ "ომში" შეაგდონ და უდიდესი გამოცდილება მიიღონ.

**- რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, IRB-ის ამ ფაქტთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე რეაქცია ექნება.**

- სამწუხაროდ, ბუქარესტში გასამგზავრებლად A ნაკრებს ვერაფრით დავარქმევთ. რადგან IRB-მ ეს ტურნირი, ჩვენი დონის ეროვნული ნაკრებებისთვის შექმნა, რათა სანვრთნელი შეხვედრების საშუალება მოგვცემოდა. ზემოთ აღნიშნულ პრობლემას ისიც დაემატა, რომ 7-8 ივნისს თბილისში შვიდკაცის ევროპის სერიის ერთ-ერთი ეტაპი უნდა გაიმართოს. წარმოიდგინეთ, ჩვენი გუნდის უკანახაზელებმა ჯერ ამ ტურნირზე უნდა ითამაშონ, მერე 9 ივნისს ბუქარესტში გაემგზავრებიან და ორ დღეში, 11 ივნისს სამხრეთაფრიკელებს უნდა დაუპირისპირდნენ.

ყოველივე ეს წერილით IRB-ის ვაცნობეთ. კერძოდ, განვითარების მენეჯერს მარკ იგანს მივწერეთ, ავუხსენით, რომ სხვა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან არ არსებობს.

მინდა მივმართო რაგბის ქართველ ქომაგებს, რომ მაღალ შედეგებს ბუქარესტში არ უნდა ველოდოთ და გთხოვთ, ამას გაგებით მოეკიდოთ. რუმინეთში, ფაქტობრივად, ჩვენი A ნაკრები იასპარეზებს და სწორედ ამიტომაა, რომ ტიმ ლეინთან ერთად გუნდს A ნაკრების მწვრთნელები ლევან მაისაშვილი და ნიკო ჭავჭავაძე წარუძღვებიან. პირველი თამაშის მერე კი ლეინი ავსტრალიაში გაემგზავრება, რის შესახებაც შეთანხმება ადრევე გვქონდა მიღწეული.

**ბესიკ ჯანგავაძე**

**დაგვაკლდებიან**

პირველი ხაზი: აქვსენტი გიორგაძე, დავით ხინჩაგაშვილი, დავით ზირაქაშვილი, გოდერძი შველიძე, დავით ქუბრიაშვილი, დავით დადუნაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი; მეორე ხაზი: მამუკა გორგოძე, ლევან დათუნაშვილი; მესამე ხაზი: გიორგი ჩხაიძე, რატი ურუშაძე, შალვა სუთიაშვილი, გია ლაბაძე, დიმიტრი ბასილაია.

უკანა ხაზი: ირაკლი აბუსერიძე, მერაბ კვირიკაშვილი, დავით კაჭარავა, ირაკლი გიორგაძე, ირაკლი მაჩხანელი, მალხაზ ურჯუკაშვილი

**საქართველო ბუქარესტში**

(მუქად – დებიუტანტები)

პირველი ხაზი: **კარენ ასეიშვილი** (ყოჩები), **ჯაბა ბრეგვაძე** (ყოჩები), **ტარიელ დონაძე** (უნივერსიტეტი), დავით გასვიანი (ბობინი), შოთა მელიქიძე (კაორი), ირაკლი ნატრიაშვილი (ფარული)

მეორე ხაზი: კახაბერ უჩავა (ფარული), გიორგი ნემსაძე (დომონი), **ბაჩუკი გუჯარაიძე** (ლოკომოტივი).

მესამე ხაზი: ირაკლი გუნდიშვილი (პერიგო), **ვიქტორ კოლელიშვილი** (ლელო), სიმონ მაისურაძე (კლერმონი), ბესო უდესიანი (შალონი), **თორნიკე ძაგნიძე** (აია).

9: ბიძინა სამხარაძე (ფარული), გიორგი კაჭარავა (ყოჩები)

10: ლაშა მალაღურაძე (კრედო), **ლაშა ხმალაძე** (ლელო).

12-13: **ლაშა ბაირამაშვილი** (უნივერსიტეტი), ალექსანდრე თოდუა (ლელო), რეზო გიგაური (ბეზიე)

11-14: ირაკლი ჩხიკვაძე (აია), **ბექა ნიკლაური** (ლოკომოტივი), გიორგი შკინინი (ხულიგანა)

15: ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), ოთარ ბარკალაია (აია)

**11 ივნისი**

საქართველო-სამხრეთ აფრიკა A

**15 ივნისი**

საქართველო-ურუგვაი

**20 ივნისი**

საქართველო-იტალია A

კალათბურთი

# ზაზა და უილიამსი დალასში?

დალასის გაზეთ "დალას მორნინგ ნიუსში" გამოქვეყნდა მცირე სტატია, რომელიც "მავერიქსსა" და "ჰოქსს" შორის შესაძლო გაცვლას ეხება. საუბარია დალასელი **ჯოშ ჰოვარდის ფაჩულია-უილიამსის** დუეტში გაცვლაზე. ჟურნალისტი **ტიმ მაკმაჰონი** იმდენად დეტალურად არჩევს ამ "ტრეიდის" სამომავლო შედეგებს, რომ უნდა ვივარაუდოთ - ჰოვარდის სანაცვლოდ ზაზასა და უილიამსის "დალასში" გადასვლაზე საუბარი მას მხოლოდ ყურმოკვრით არ ექნება გაგონილი. ვარაუდს საფუძველს ისიც უმაგრებს, რომ ფაჩულიასადმი სიმპათიებს "დალას მავერიქსის" ხელმძღვანელები ქართველის "ატლანტაში" გადასვლამდეც გამოხატავდნენ.



ზაზა ფაჩულია

მოკლედ, გავეცნოთ ტიმ მაკმაჰონის სტატიას და მოვლენების შემდგომი განვითარება გვიჩვენებს, რამდენად საფუძვლიანად წერდა ავტორი.

- ჯოშ ჰოვარდის "დალასიდან" გადასვლაზე საუბარი ბოლო დროს მეტად აქტუალური გახდა. მოისმენთ ათასგვარ სპეკულაციას. მის გაყიდვასა ან გაცვლის შესახებ. ყველაზე სარწმუნოდ ჰოვარდის "ატლანტა ჰოქსი" გადასვლის ამბავი მეჩვენება. "მავერიქსის" უფროსობას ძალიან სურს ჯოშ სმიტის გადაყვანა, მაგრამ "ჰოქსის" ხელმძღვანელობა ჯოშის გაშვებას არ აპირებს. თუმცა, სახელდება ორი კალათბურთელი, რომლებთან შელევა ჯორჯიელებისთვის პრობლემა არ იქნება - ზაზა ფაჩულია და მერვინ უილიამსი. ამ დუეტის დამატება "დალასსაც" უნდა აწყობდეს. აი, რატომ: უილიამსი 2006 წლის დრაფტის მეორე არჩევანია. იგი მართალია ვარსკვლავი ვერ გახდა და ჯერ კიდევ საკითხავია, გახდება თუ არა, თუმცა 21 წლის ასაკში არც ურიგოდ თამაშობს. მის ანგარიშზე საშუალოდ 14.8 ქულა და 5.7 მოხსნაა. ზაზა ფაჩულიამ გასულ სეზონთან შედარებით ერთი-ორად უკეთესად წინა ორ წელს ითამაშა. იგი გაცილებით უკეთესია, ვიდრე, ვთქვათ, რუსი პაველ პოდკოლზინი. თანაც, ფაჩულიას "ატლანტასთან" ოთხწლიანი კონტრაქტიდან ერთი წელიღა დარჩა

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

# პრეზიდენტობისთვის ხუთნი იბრძოლებენ

მაისის ბოლოს ამოიწურა ვადა, როცა ნებისმიერ მსურველს შეეძლო საკუთარი კანდიდატურა დაეყენებინა საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებზე. ყრილობა 29 ივნისს გაიმართება. აქამდე სამი კანდიდატურა იყო ცნობილი: **მაია ჩიბურდანიძე, ლევან ფანცულაია** და **გია გიორგაძე**. ესენი ყველანი დიდოსტატები არიან და შესანიშნავი საჭადრაკო კარიერა ჰქონდათ; ცხადია, ტიტულებით ჩიბურდანიძესა და გიორგაძეს ფანცულაია ჩამოუვარდება, მაგრამ როგორც მოჭადრაკეს, დიდი პოტენციალი აქვს და მომავალში მისგან ველით კიდეც მაღალ შედეგებს. სამივეს საკმაოდ დიდი ავტორიტეტი აქვს საჭადრაკო სამყაროში და ამიტომ იფიქრეს, რომ შეძლებდნენ ქართული ჭადრაკის მესაჭეობას და არცთუ სახარბიელო ვითარების გამოსწორებას.

ფავორიტ სამეულს ორი კონკურენტიც შეემატა: ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი **თამარ ხმიადაშვილი** და ფედერაციის რეიტინგ-ოფიცერი **ვარლამ ვეფხვიშვილი**. ცხადია, ამათაც გარკვეული ამბიციები გააჩნიათ, მაგრამ როგორ შედეგებს მიიღებენ, არჩევნები ნათლად გამოაჩენს. ფაქტია, რომ ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შედის და საჭადრაკო ატმოსფერო უფრო და უფრო მძიმდება.

სულ მალე ალბათ, ელექტორატსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს საკუთარ გეგმებსა და პროგრამებს წარუდგენენ და ჭადრაკის გულშემატკივარსაც მისცემენ მათი ნააზრევის გაცნობისა და შეფასების შანსს. "ლელო" ყველა კანდიდატს მისცემს საშუალებას, ჩვენი გაზეთის ფურცლებზე დააფიქსიროს საკუთარი აზრები და პოზიციები.

**ზვიად შათირიშვილი**

კრივი. ახალგაზრდული ნაკრები

# ქართული შვიდეული ანაპაში

საქართველოს მოკრივეთა ახალგაზრდული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისს შეუდგა, რომელიც ოქტომბერში მექსიკაში გაიმართება.

**ბეჟან ჭიჭინავას** შეგირდებმა გლდანური შეკრება დაამთავრეს და გუშინ რუსეთის ქალაქ ანაპაში გაემგზავრნენ, სადაც 4-8 ივნისს, A კლასის დიდ საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებენ.

ჩვენი ახალგაზრდები გლდანის დკდ-ს დარბაზში 20-კაციანი შემადგენლობით ემზადებოდნენ. თუმცა, ჭიჭინავა იძულებული გახდა, რომ რუსულ ტურნირზე მხოლოდ 7 მოკრივე წაეყვანა. ამის მიზეზი იყო ის, რომ შეჯიბრების ორგანიზატორებმა 11 წონითი კატეგორიიდან, მხოლოდ შვიდში გამოგვიგზავნეს მოწვევა...

საქართველოს ნაკრები ანაპაში ასეთი შემადგენლობით წავიდა: **გიორგი კაპანაძე** (51 კგ), **ადილ ასლანოვი** (54 კგ), **თორნიკე კოტრიკაძე** (57 კგ), **ზაალ კვაჭატაძე** (60 კგ), **გიორგი ჯაყელი** (64 კგ), **ჯაბა ხოსიტაშვილი** (69 კგ) და **ლადო ცაციაშვილი** (91 კგ).

ბეჟან ჭიჭინავას თქმით, ანაპას ტურნირი მოსამზადებელი ეტაპის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია, რადგან ესოდენ ძლიერ შეჯიბრებაზე, მოკრივეები ბევრს ისწავლიან. ნაკრების თავკაცს მხოლოდ იმაზე წყდება გული, რომ რუსეთში სრული შემადგენლობა ვერ მიჰყავს. მას განსაკუთრებით მძიმეწონოსან **თორნიკე პურიჭამიაშვილის** გამოცდა აინტერესებს საერთაშორისო რინგზე, რომელიც სამიოდე თვის წინათ ჩამოიყვანეს რუსეთიდან, საქართველოს მოქალაქეობა დაუბრუნეს და ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე აჩხუბეს, სადაც სპეციალისტების დიდი მოწონება დაიმსახურა...

მსოფლიო ჩემპიონატამდე, ქართველი ახალგაზრდები სულ მცირე, კიდევ ორ საერთაშორისო ტურნირზე აპირებენ გამოსვლას. აქედან ერთ-ერთი, სავარაუდოდ, იქნება ძმები კლიჩკოების სახელობის უკრაინული ტურნირი, რომელზეც ჩვენმა გუნდმა შარშანაც იასპარეზა. კიევში ჭიჭინავა სრულ გუნდს წაიყვანს.

**კობა ხატისაშვილი**

ჭიდაობა

# აშდოდსა და ერევანში

ამ დღეებში ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებებმა დიდი წარმატებებით იჭიდავეს საერთაშორისო ტურნირებში. განსაკუთრებით, "თავისუფლებმა", რომლებიც ებრაულ აშდოდში, მიუნხენის 1972 წლის ოლიმპიადაზე დაღუპული 11 ებრაელი სპორტსმენის ხსოვნისადმი მიძღვნილ მემორიალში გამოვიდნენ. ჩვენი ნაკრები იქ 9 მოზარდით გამოდიოდა და ყველამ მედალი მოიპოვა. აქედან 7 ოქროა, 2 - ვერცხლი. სასიამოვნო ფაქტია, რომ აბსოლუტურად ყველა ოქროს მედალი ჩვენმა ფალავნებმა მოიპოვეს - **გიორგი ედიშერაშვილმა** (55), **გიორგი მაყიშვილმა** (60), **ზაურ აბრამიშვილმა** (66), **გიორგი მარსაგიშვილმა** (74), **ბექა ჭელიძემ** (84), **გიორგი ჩიქოვანმა** (96) და **ლევან ბერიანიძემ** (120). მეორე ადგილებზე **მარადი ზოიძე** (74) და **თორნიკე სვანიძე** (84) გავიდნენ.

"ანტიკოსებმა" ერევანში, ლევონ ჯულფალაკიანის სახელობის ტურნირში იჭიდავეს, მაგრამ შედარებით მოკრძალებულად - 2 ვერცხლი და 4 ბრინჯაო მოიპოვეს. **ლაშა ლოლაშვილი** (66) და **ვასილ იმერლიშვილი** (96) ფინალურ ორთაბრძოლებში დამარცხდნენ, ბრინჯაო კი **რამაზ ვაშაყმაძემ** (66), **გიორგი ავაზაშვილმა** (74), **ვლადიმერ ქარჩავამ** (96) და **რამინ შაქარიშვილმა** (120) მოიპოვეს.

ეს გუნდები აქ ზაფხულს გასამართი ევროპისა და მსოფლიო პირველობებისთვის ემზადებიან, რომლებიც მეტად უცნაური განრიგით - სულ რაღაც 10-დღიანი ინტერვალით გაიმართება. ევროპის პირველობა 15-20 ივლისს სლოვაკურ კოშიცეში გაიმართება, მსოფლიო - 29 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით სტამბოლში.

**ირაკლი თავაძე**

წყალბურთი. ეროვნული ჩემპიონატი

# საქართველოს ჩემპიონატი უკრაინის ჩემპიონატის შემდეგ

როგორც ამასწინათ გაცნობეთ, მრავალწლიანი პაუზის შემდეგ, მაისის ბოლოს იგეგმებოდა საქართველოს წყალბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის აღდგენა. თუმცა, შეჯიბრება სამიოდე კვირით გადაიდო. ამის შესახებ ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **სოსო მაისურაძემ** გვაცნობა:

- ეროვნული ჩემპიონი დიდი ხანია არ ჩაგვიტარებია. ამიტომაც ახლა მისი დაბრუნება ისეთ ვითარებაში გვინდა, რომ საზეიმო განწყობა შევქმნათ და ყველა უძლიერეს წყალბურთელს მოვუყაროთ თავი. სულ ექვსი გუნდი გროვდება, რაც ამხელა პაუზის შემდეგ, ურიგო მაჩვენებელი არ არის.

თავდაპირველად, ჩემპიონატის დაბრუნება მაისის ბოლოს გვსურდა, მაგრამ სამიოდე კვირით გადავდეთ. ამის მიზეზი არის ის, რომ ლეგიონერები ვერ ჩამოდიოდნენ. 12 ივნისს, დნეპროძერჟინსკში უკრაინის ღია პირველობის ბოლო ტურზე ვთამაშობთ, სადაც თითქმის ყველა უძლიერესი ლეგიონერის წაყვანას ვაპირებთ. იქიდან კი თბილისში დავბრუნდებით და სწორედ ამის მერე ჩავატარებთ ეროვნულ ჩემპიონატს – დაახლოებით 18-20 ივნისისთვის.

**კობა ხატისაშვილი**

ქართული სპორტის ქრონიკები

თენგიზ თომაშვილის პროექტი

## დროებამ შემოგვინახა

*სახელგანთქმული ქართველი ფალავანი კულა გლდანელი (ივანე ბეროს ძე ყირიმელი) დიდ ინტერესს იწვევდა არა მარტო სპორტის მოყვარულთა შორის. ბევრ მოჭიდავეს სურდა თავისი ძალ-ღონე და ილეთები გლდანელთან შეჭიდებაში გამოეცადა. იგი საჭიდაოდ გამოუწვევია ორ ფალავანს: ჩიტო კალატოზიშვილსა და მიხეილ ათამაშვილს.; მათ თავიანთი სურვილი გლდანელისთვის გაზეთ "დროების" საშუალებით უცნობებიათ. კალატოზიშვილისა და ათამაშვილისთვის პასუხი გლდანელს ამავე გაზეთის რედაქციისადმი მიწერილი წერილებითვე გაუცია.*

*ქვემოთ მოგვყავს როგორც კულა გლდანელის, ისე ჩ. კალატოზიშვილისა და მ. ათამაშვილის წერილები, რომლებიც "ლელოს" რედაქციას მოაწოდა ვ. სიდამონიძემ. წერილებში დაინტერესებულ პირთა და სპეციალისტთა საინტერესო მასალებია მოცემული იმდროინდელი ჭიდაობისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი საზოგადოებრივი მოვლენის შესახებ.*

**ბ. რედაქტორო!**

თქვენი გაზეთის 129 №-ში იყო ბ-ნი კალატოზიშვილის წერილი, რომლითაც ის მიწვევს თავისთან საჭიდაოდ. უწინარესყოვლისა არ შემიძლია სინანულით არ გამოვსთქვა, რომ ნ. კალატოზიშვილს ჩემს ჭიდაობაზედ რალაც მრუდე და უსაფუძვლო აზრი შეუდგენია: მე არასჭროს არ მქონია და არც მექნება ჭიდაობაში მომხრეთა დახმარების იმედი. მე მაქვს იმედი მხოლდო ჩემი თავისა. აგრეთვე სახეში არც ანგარების მოყვარება მქონია, რადგანაც თითქმის ყოველთვის მიჭიდავნია საქველმოქმედო განზრახვით გაჭირვებულთა დასახმარებლად. ამიტომაც ბ-ნ კალატოზიშვილს სხვადასხვა ხმების და მიმოთქმის გამო არ უნდა შეედგინა ჩემს ჭიდაობაზე აზრი, ისევე, როგორათაც მე არ შემიძლია ვერწმუნო საზოგადო აზრს მასზედ, რომ ჩემი ბ-ნ კალატოზიშვილთან ჭიდაობა თავის დღეში რიგიანად არ დაბოლოვდება, რადგანაც ჩაერევიან იმისთანა წინად დამზადებულნი პირნი, რომელნიც ბ. კალატოზიშვილს გაჭირვების ტალკვესად გამოადგებიან.

ყველა ამის შემდეგ, მე სიხარულით ვეგებები ჭიდაობის ყოველ იმ სახეობებს, რომელთაც მოინებებს ბ. კალატოზიშვილი და წინ წამიძლვარებს; ღრმად დავალებულად ვრაცხ- ჩემს თავს მისგან ჩემის გამოთხოვით და რადგან ამას ველირსე, ჩემს ასპარეზს როგორც მოჭიდავისას სრულიად დაჯილდოვებულად ვთვლი.

**ივანე ყირიმელი**
**(გლდანელი)**

**ბ. რედაქტორო!**

ერთი წელიწადი იქნება, თითქმის მას აქვთ, რაც თქვენს გაზეთში ბ. კალატოზიშვილის (ჩიტოს) წერილი იყო დაბეჭდილი, რომლითაც იგი მიწვევდა საჭიდაოდ და ისეთის სიტყვითაც მიწვევდა, რომელიც ჩემთვის ცოტა არ იყოს, სათაკილო იყო... მე მაშინვე შევტყობინე ბ-ნს კალატოზიშვილს თქვენის გაზეთის შემწეობითვე, რომ ჩემთვის დიდად სასახელო იყო მაგგვარი მოჭიდავისაგან გამოთხოვნა საჭიდაოდ, რომ ერთხელ და სამუდამოდ ვაცხადებ თანხმობას ყოველგვარ პირობაზე, რომელსაც კი დამისახელებს ბ-ნი კალატოზიშვილი და რომ ვსთხოვ დამინიშნოს დრო და ადგილი ჭიდაობისათვის, აქამდე მისგან პასუხი არ ისმის იმ საქმის შესახებ, რომელზედაც თვითვე პირველმა დაიწყო ლაპარაკი და მეც იმედი დავკარგე.

26 ამ აპრილისას მე გორში უნდა ვიყო. უკეთუ ბ. კალატოზიშვილი მოისურვებს და თავის სიტყვას არ გადაუდგება, მე ვიმეორებ მოწიწებით მივილებ მისგან დასახელებულ პირობათა და მით უფრო გულს-მოდგინედ, რომ დარწმუნებული ვარ ის პირობანი დაფუძნებული იქნებიან ჩვენებური ჭიდაობის ძველებურ წესებზე. ჭიდაობას საგნად რაც ექნება, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. რაც უფრო დიდს შემწეობას მიილებენ ამ ჭიდაობიდამ ისინი, ვისაც ეს შემწეობა უფრო უჭირს, მით უფრო სასიხარულო და სასიამოვნო უნდა იყოს მოჭიდავისთვის.

**ივანე გლდანელი**
**(ყირიმელი).**

**ბატონო რედაქტორო!**

მე წავიკითხე თქვენს პატივცემულო გაზეთ "დროებაში" №88 ჩემდა შესახებ ჭიდაობისა განმეორებითი სურვილი აქვთ გლდანელს და იმის მომხრე ხალხს.

ამისათვის მაქვს პატივი ვაცნობებ შაჰნაზარელი მიხეილ ათამაშვილი, დავეჭიდები გლდანელს და აღვუსრულებ თავის სურვილს. ამ რობით, რომ ჩვენის ჭიდაობის დანიშვნის დროს ხალხმა მისეირემ არ უნდა გაილონ ფულები და უცქირონ მუქთად ჩვენს უსარგებლო ჭიდაობას. ამისთვის, რადგანაც მე მქონდა სურვილი გამეთავისუფლებია მოჭიდავეედ მოყვარულნი ცუდ-უბრალო ხარჯისაგან.

მხოლოდ თავმომწონე მოჭიდავე გლდანელს, რადგანაც სურს უბრალოდ არ გაუფუჭდეს სახელი. მაშასადამე ეხლა თვითონ გამოვიდეს სოფლად შაჰნაზარეთში და იქ მუქთად მიილებს თავისი სურვილის ალსრულებას. და თუ ჩვეულებისამებრ ისურვებს თავის მომხრე გალერეაში ჭიდაობას, მაშინ აუცილებელია დასდოს ზალოგად ასი თუმანი ნახევარი ღარიბთა სასარგებლოდ და ნახევარი გლდანელის გამლახავთათვის.

**მიხეილ ათამაშვილი.**

**ბ. რედაქტორო!**

დიდი ხანია, რაც გლდანელმა თავის ჭიდაობით მიიქცია ყურადღება, როგორც მოჭიდავეებისა, აგრეთვე მაცქერლებისა და მსანელებისაც. ამ ბოლო დროს კიდევაც მოაწყინა თავი გაგებულ ხალხს. ამგვარმა ხმებმა ალძრეს ჩემში როგორც ძველ მოჭიდავეში, სურვილი მისი ღონისა და ხერხების გამოცდისა. ამიტომ მე, 44 წლის კაცი, გთხოვთ გამოუცხადოთ გლდანელს, რომ მე, ჩიტო კალატოზიშვილს, მსურს მასთან ჭიდაობა შემდეგი პირობით: ჭიდაობის ცქერა ხალხისთვის უფასო იყოს, როგორც ყოფილა ძველ დროს. უკეთე ისურვებს ფასის ალებას, ალებული ფული მოხმარდეს რომელსამე სასწავლებელს. ადგილი ჭიდაობისა იყოს ან გორი, ან სურამი, რადგანაც თბილისში მისი მომხრენი აჩაგვრინებენ მოწინაალმდეგეს.

უკეთე ამ პირობაზე თანახმა არის, დამინიშნოს ამ მოკლეს დროში დრო ამ გაზეთისვე შემწევნობით.

**ჩიტო კალატოზიშვილი.**

## ივნისი ქართული სპორტის ისტორიაში

"გუშინ, ივნისის 7-ს "ევროპის" ბალში იყო გამართული გლდანელისა და ჭობისხეველის ჭიდაობა თბილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის სასარგებლოდ... სამწუხაროდ, თუმცა შემოსავალი ძლიერ ცოტა დარჩა წვიმის გამო, მაგრამ ჭიდილი კი საინტერესო იყო. გლდანელს ასეთი ღონიერი მოჭიდავე არ შეხვედრია: თითქმის ნახევარ საათს გაგრძელდა ჭიდილი. პირველად ჭობისხეველმა პირქვე დაახეთქა მიწაზე გლდანელი, მაგრამ ჭიდილის ახირებული კანონი მოითხოვს, რომ გულ-ალმა უნდა დაეცეს დაძლეული. მეორედაც პირქვე დაამხო ახალმა მოჭიდავემ. მესამედ საბრალო გლდანელი დაიქანცა, უარი სთქვა - ალარ ვჭიდავობო, მაგრამ მომზირალნი არ დათანხმდნენ. ჭობისხეველიც გულით ალარ მოეკიდა ჭიდილს, რაკი მოწინაალმდეგემ იარალის დაყრა გამოაცხადა. აი, ამ დროს, გლდანელმა ბარიერზე მიიგდო მოწინაალმეგე და, რომ მართალი სთქვას კაცმა, ბარიერზე მიაწვინა; თუმცალა მისი მოსარჩლენი გაიძახოდნენ "დასცაო" და ამასთანავე ეწეოდნენ ჭობისხეველს ბარიერზე უკან გადასაგდებლად, მაგრამ სრულიად ვერ დასძრეს ეს გოლიათი.

კარგი იქნება, რომ მეორედ დასჭიდებბდნენ ამ ძლიერს მოჭიდავეს და გლდანელს. მომზირალნიც ბლომად იქნება და მოჭიდავეთ ხერხიც და ძალაც ნამდვილად გამოჩნდება."

*("დროება", 1884 წ. №122).*

## 55 წლის წინათ, ივნისში...


ოთარ ქორქია

**1953წლის 4 ივნისი.** მოსკოვი. ევროპის პირველობის ფინალური ტური კალათბურთში. საბჭოთა ნაკრებმა,რომლის შემადგენლობაში გამოდიოდა თბილისის „ დინამოს" და საბჭოთა ნაკრების კაპიტანი **ოთარ ქორქია,** მთელი ტურნირი განვლო დაუმარცხებლად და ფაქტობრივად, წინა დღეს, 3 ივნისს მოპოვებული გამარჯვებით გაინალდა პირველობა. მიუხედავად ამისა, მატჩმა, ბოლო ტურში, იუგოსლავიის ნაკრებთან დიდი ინტერესი გამოიწვია. ოთარ ქორქიას კაპიტნობით გუნდმა მეტოქეს 57:43 სძლია. მეორე ადგილზე გავიდა უნგრეთის, მესამეზე-საფრანგეთის ნაკრები.

## წიგნის თარო




ვეტერანი ლელოელი **უშანგ ჭიჭინაძე** სპორტულ თემატიკაზე, კონკრეტულად, ჩვენს სახელოვან სპორტსმენებზე შექმნილი არაერთი წიგნის ავტორია.

2007 წლის ბოლოს მკითხველმა მიილო უშანგ ჭიჭინაძის კიდევ ერთი საინტერესო ნაშრომი - "მოგვითხრობენ ძველი სპორტსმენები". წიგნის ეს სათაური მკაფიოდ მიგვანიშნებს შინაარსზე. თუმცა თავად ავტორს მოვუსმინოთ: "მათ თავის დროზე დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი სპორტის წარმატებებში, რამაც მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი ქართველი კაცის მკლავის ძალასა და გამჭრიახობა-მოხერხებულობას. დრომ თავისი გაიტანა და ისინი ჩამოშორდნენ ასპარეზს. ზოგი მათგანი ისევ ახალგაზრდობის წრთობის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება, ზოგიც სხვა დარგში შრომობს, სპორტის სიყვარულს კი მაინც გულის სიღრმეში ატარებს. ვფიქრობ, ფრაგმენტები მათი მდიდარი და საინტერესო ცხოვრებიდან, რომელიც მათ სარბიელზე გაატარეს, საინტერესო იქნება მკითხველისთვის."

წიგნში შესულია ავტორის 58 ნარკვევი. დაბეჭდილია გამომცემლობაში "ნეკერი".

## ზაირა ნათაძის ხსოვნას



საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკი, დამსახურებული მწვრთნელი, ცურვაში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, სპორტსმენთა და სპეციალისტთა თაობების აღმზრდელი - ასეთია ქართული სპორტის წინაშე პირნათლად ვალმოხდილი ქალბატონის **ზაირა ნათაძის** დამსახურება. ათეული წლები იმუშავა სპორტის აკადემიაში მასწავლებლად, დეკანის მოადგილედ.

უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოში ცურვის განვითარების საქმეში.

75 წლისა წავიდა ამქვეყნიდან. ყველას, ვინც მას იცნობდა, დარჩა ნათელი ხსოვნა პიროვნებაზე, რომელიც მისაბაძი იყო ადამიანურ ურთიერთობებში და, საერთოდ, გამოირჩეოდა უნიკალური პიროვნული თვისებებით.

## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** 50-მეტრიანი ღია საცურაო აუზი 8 ბილიკით სსრ კავშირში აიგო თბილისში 1936 წელს, მტკვრის მრაჯვენა სანაპიროზე, დაახლოებით იმ მიდამოებში, სადაც ამჟამად "ლაგუნა-ვერეს" საწყლოსნო კომპლექსია. იმ აუზის ადგილზე რესტორანი "არაგვი" აშენდა. ახლა კი იქ ალარც ის რესტორანია.

**პირველმა** საქართველოს ძიუდოისტებიდან მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა **თეიმურაზ ხუბულურმა** 1979 წელს. იგი 1980 წელს მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის მედალსაც დაეუფლა, 1981 წელს კი ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი.



**პირველად** სსრკ თასი საქართველოს კალათბურთის ლიდერმა თბილისის "დინამოს" ვაჟთა გუნდმა მოიპოვა 1949 წელს. იგივე წარმატება ზედიზედ კიდევ მომდევნო 1950 და 1951 წლებში, ბოლოს კი 1969 წელს გაიმეორა.


მარცხნიდან: ლევან ინწკირველი, ჯუმბერ ნიჟარაძე, ნოდარ ჯორჯიკია, მიხეილ კეკელიძე, ოთარ ქორქია. XX საუკუნის 50-იანი წლების თბილისის "დინამო"



საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და კალათბურთის ეროვნული ფედერაცია იუწყებიან, რომ 87 წლისა გარდაიცვალა სახელოვანი ვეტერანი კალათბურთელი, ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი, სსრკ ხუთგზის ჩემპიონი

**ნოდარ ჯორჯიკია**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### თავისუფალი ჭიდაობა

## ბევრი მედალი ბანაძორიდან

1991-1992-წლიანთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი ჩინებული შედეგით დაასრულა საქართველოს ნაკრებმა სომხეთის ქალაქ ბანაძორში. თავისუფალი სტილით მოჭიდავე ცნობილ ქართველ ფალავანთა მემკვიდრეებმა ტურნირში, საერთო ჯამში, 8 მედალი დაიმსახურეს. პირველ ადგილზე გავიდნენ ხაშურელი **ლევან ქელეხსაშვილი** (54 კგ), თბილისელი **სანდრო ამინაშვილი** (69), ბათუმელი **მამუკა კორძაია** (85) და კასპელი **ვალერი გზირიშვილი** (100). მეორე პრიზიორი გახდა ყვარლელი **ზურაბ იაკობიშვილი** (50). ბრინჯაოს მედალი ხვდათ წილად **აკაკი მოწონელიძეს** (46, ხაშური-, **თორნიკე ლურსმანაშვილს** (63, ქუთაისი), **ლევან გოგრიჭიანს** (76, თბილისი).

ნაკრებს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელები **ამირან მაისურაძე** და **თენგიზ ლამბაშიძე.**

### გასწორება

**"ლელოს" გასული შაბათის ნომერში, მე-12 გვერდზე, ინფორმაციაში "1-6 ივნისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში" გაიპარა კორექტურა. მესამე აბზაცის პირველ სტრიქონში უნდა იკითხებოდეს "5 ივნისი, 1977 წელი", შემდეგ, როგორც ტექსტშია.**

### ლელოს ფოტომატიანე. თაობები


მურთაზ ხურცილავა და სლავა მეტრეველი


შოთა და არჩილ არველაძეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# შარაპოვაც დამარცხდა



შარაპოვამ, შეიძლება, პირველი ჩოგნის სტატუსი დაკარგოს

საფრანგეთის ღია პირველობა ქალთა რეიტინგის პირველი ჩოგნის გარეშე დარჩა – ტურნირს რუსი **მარია შარაპოვა** გამოეთიშა, ვისაც მეოთხედფინალისკენ გზა თავისივე თანამემამულე **დინარა საფინამ** გადაულობა.

საფინას შარაპოვა როლან გაროსის მეოთხე წრეში, ორი წლის წინაც დაუმარცხებია. ის ამ ტურნირის მეოთხედფინალში მესამედ ითამაშებს და იქ მისი მეტოქე კიდევ ერთი რუსი – **ელენა დემენტიევა** იქნება, რომელმაც ასევე რუსი მეტოქე **ვერა ზვონარევა** სამ სეტში დაამარცხა.

რაც შეეხება შარაპოვას, ის მსოფლიოს პირველი ჩოგნის წოდებას, რომელიც მას შემდეგ მიიღო, რაც სპორტიდან ბელგიელი **ჟუსტინ ანენი** წავიდა, იმ შემთხვევაში დაკარგავს, თუ ტურნირს ორი სერბიდან ერთ-ერთი – **ანა ივანოვიჩი** ან **ელენა იანკოვიჩი**, ან კიდევ რუსი **სვეტლანა კუზნეცოვა** მოიგებს. ამ სამიდან პირველ ორს, მეოთხედფინალში თამაშის უფლება უკვე მოპოვებული აქვს, მესამემ კი გუშინ ბელარუს **ვიქტორია აზარენკასთან** შეხვედრა შებინდების გამო ვერ დაასრულა.

*"ვიცოდი, რომ მარიას დამარცხების შანსი მქონდა, მაგრამ ეს იმდენად ძლიერ მინდოდა, რომ ამით საკუთარ თავს ცუდი სამსახური გავუწიე. მერე კი, მან მატჩ პოინტი მიიღო. ყველაფერი მის ხელთ იყო, მაგრამ მან ეს შანსი ვერ გამოიყენა და ეს ჩემი დამსახურებაა. სწორედ მატჩ პოინტზე მოვიგე გადამწყვეტი ქულა. აქედან მოყოლებული, თამაში ჩემკენ შემობრუნდა და მეც თავს მოდუნების საშუალება აღარ მივეცი"*, - განაცხადა საფინამ, ვინც ერთ მომენტში, თავისი ძმის, **მარატ საფინის** სტილში, ჩოგანი კორტზე დაანარცხა, თუმცა ის დამტვრევას გადაურჩა.

ტელეარხ "ევროსპორტის" ექსპერტებმა, წარსულში ცნობილმა ჩოგბურთელებმა, ფრანგმა **იანიკ ნოამ** (ის საფრანგეთის ღიას ბოლო ფრანგი ჩემპიონია) და შვედმა **მატს ვილანდერმა** ერთხმად აღიარეს, რომ შარაპოვასა და საფინას მატჩი, რომელიც თითქმის სამ საათს გაგრძელდა, ჯერჯერობით საუკეთესო იყო ქალთა ბადეში.

შეხვედრა შარაპოვას უპირატესობით დაიწყო. პირველი ბრეიკი სწორედ მან მოიპოვა, თუმცა მის მეტოქეს ამის გაცილებით მეტი (ექვსი) შანსი ჰქონდა. საფინამ მერვე გეიმში საპასუხო ბრეიკი მას შემდეგ მოიპოვა, რაც მეშვიდე ბრეიკ პოინტი ქულად აქცია. სეტის ბედი ტაიბრეიკზე გაირკვა, სადაც თავიდან საფინა 6:4 დაწინაურდა, მაგრამ უპირატესობის შენარჩუნება ვერ შეძლო. შარაპოვამ ზედიზედ ოთხი გათამაშება მოიგო და სეტიც თავის სასარგებლოდ (68 წუთში) დაასრულა.

მეორე სეტის პირველ გეიმებში, ორივე ჩოგბურთელი თავისი ქულის აღებას ადვილად ახერხებდა. მაგრამ მეექვსე გეიმში შარაპოვამ ისევ გაილაღა და ბრეიკს მიაღწია, რის შემდეგაც თავისი გეიმიც მოიგო და 5:2 დაწინაურდა.

საფინა, რომელსაც ამ სეზონში ბერლინის (პირველი კატეგორიის) ტურნირი აქვს მოგებული, მეცხრე გეიმში მატჩ პოინტის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ ის შესანიშნავი დარტყმით მოიგერია – ხელუკულმა დარტყმით, ბურთი ხაზზე გაატარა, რითაც მაყურებლისგან ოვაციაც დაიმსახურა. ამის შემდეგ, "მარატამ" (ეს მეტსახელი მას შემდეგ შეარქვეს, რაც უფროსი ძმის, **მარატ საფინის** მსგავსად, ჩოგნების მტვრევას მიეჩვია) კიდევ რამდენიმე ქულა მოიგო და საპასუხო ბრეიკიც აიღო, რისი წყალობითაც, საქმე ისევ ტაიბრეიკამდე მივიდა.

ამჯერად, დასაწყისი შარაპოვასი იყო, რომელმაც რამდენიმე ქულა შესანიშნავი თამაშით მოიპოვა. ერთ მომენტში, მას გამარჯვებამდე სულ ორი ქულა აკლდა, მაგრამ საფინამ ისევ იმარჯვა, ზედზედ ხუთი ქულა მოიპოვა და სეტებში ანგარიშიც გაათანაბრა.

გადამწყვეტი სეტი საფინას მოწოდებით დაიწყო. თავიდან, თითქოს, ყველაფერი წესრიგში იყო – მან ზედიზედ სამი ქულა მოიპოვა და 40:0 დაწინაურდა, მაგრამ უცებ თამაში აერია და ავსტრალიის ღიას ჩემპიონს ბრეიკის აღების საშუალება მისცა. თუმცა მომდევნო გეიმშივე მოიგო შარაპოვას მოწოდება. უფრო მეტიც, მანვე კიდევ ერთ ბრეიკს მეექვსე გეიმშიც მიაღწია და აქედან მოყოლებული, შარაპოვასთვის გეიმი აღარ დაუთმია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

### მამაკაცები

#### მეოთხე წრე

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-ჟულიან ბენეტოუ (საფრ) 6:4, 7:5, 7:5; **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 21) 4:6, 6:2, 1:6, 6:3, 6:3; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 24)**-რობი გინეპრი (აშშ) 7:6(4), 6:3, 6:1; **გაელ მონფილსი (საფრ)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 28) 7:6(1), 4:6, 6:3, 6:2

### ქალები

#### მეოთხე წრე

**დინარა საფინა (რუს, 13)**-მარია შარაპოვა (რუს, 1) 6:7(6), 7:6(5), 6:2; **ელენა დემენტიევა (რუს, 7)**-ვერა ზვონარევა (რუს, 11) 6:4, 1:6, 6:2

*სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 4)-ვიქტორია აზარენკა (ბელა, 16) 6:2, 2:2 (თამაში შეწყვდა)*

*პეტრა კვიტოვა (ჩეხ)-კაია კანეპი (ესტ) 3:6, 6:3, 0:0 (თამაში შეწყდა)*

## მძლეოსნობა. ოქროს ლიგა

# უორინერი დაამარცხეს

ბერლინში სტარტი აიღო მძლეოსანთა ოქროს ლიგის სერიის გათამაშებამ, რომლის პირველ შეხვედრასაც ბერლინის ოლიმპიურმა სტადიონმა უმასპინძლა. ტურნირმა დიდი ინტერესი გამოიწვია – მას 67 124 მაყურებელი დაესწრო.

ოქროს ლიგის ბერლინური ტურნირის კულმინაცია გამოდგა მამაკაცთა შორის 400 მეტრზე სპრინტი, რომელიც, ყველასათვის მოულოდნელად, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, ამერიკელი **ჯერემი უორინერის** მარცხით დასრულდა.

არადა, უორინერმა შესანიშნავი სტარტი აიღო და შვიდივე მეტოქეს სტარტზევე გაასწრო. პირველი ასი მეტრი ამ დისტანციაზე ყველა დროის მესამე უსწრაფესი სპრინტერის უპირატესობით მიიღია. შემდეგ კი ფეხი მისმა თანაგუნდულმა და მთავარმა მეტოქემ, მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა **ლაშონ მერიტმაც** ააჩქარა, რომელიც ბოლო ასი მეტრის წინ მეტოქეს გვერდშიც კი ამოუდგა.

დათმობას არცერთი სპრინტერი არ აპირებდა და თითქოს, გამარჯვებული ფოტო-ფინიშზე უნდა გამოვლენილიყო, მაგრამ ფინიშამდე 25 მეტრით ადრე, უორინერმა ოდნავ წაიბორძიკა და ტემპი დაკარგა, რითაც უმალ ისარგებლა მერიტმა და ფინიშის ხაზიც პირველმა გადაკვეთა. გამარჯვებულის შედეგია 44.03 წამი, უორინერისა კი - 44.07 წამი.

*"რა თქმა უნდა, უორინერის დამარცხება ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ სეზონი მაინც ჯერ მხოლოდ ახალი დაწყებულია და წინ ბევრი ტურნირი გველის. ამიტომ, ამ ერთ მოგებას დიდ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებ. მაგრამ ისიც ვიცი, რომ გაცილებით სწრაფად სირბილიც შემიძლია და ვეცდები, ეს მომდევნო ტურნირებზე დავამტკიცო. ჩემი მთავარი მიზანი კი ისაა, რომ ჯერემი კიდევ ერთხელ, ოლიმპიადაზე დავამარცხო"*, - ნაფინიშევს განაცხადა მერიტმა.

მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა ქალთა შორის 800 მეტრზე სირბილშიც, სადაც ყველაზე სწრაფი კენიელი თინეიჯერი **პამელა ჯელიმო** იყო, ვინც ამ დისტანციაზე სულ მეოთხედ იასპარეზა. და რაც ყველაზე მთავარია, მან ბოლო 11 სეზონში საუკეთესო შედეგით (წუთი და 54.99 წამი) გაიმარჯვა. ამაზე უფრო სწრაფად მხოლოდ ხუთ ქალს ურბენია.

*"სეზონისთვის ძალიან კარგად მოვემზადე და ვიცოდი, რომ ბერლინში კარგი შედეგი მექნებოდა. რეალურად კი ისეთი დრო ვაჩვენე, თავადაც რომ გამიკვირდა. ეს ფანტასტიკურია, თუმცა გარწმუნებთ, უფრო უკეთესი შედეგების ჩვენებაც შემიძლია"*, - ნაფინიშევს განაცხადა 18 წლის ჯელიმომ, ვინც სულ სამი თვეა, რაც ორწრიან დისტანციაზე ვარჯიში დაიწყო, ბერლინში კი უახლოესი მდევარი ოთხ წამზე მეტით ჩამოიტოვა.

ოქროს ლიგაზე გამოსვლა გამარჯვებით დაიწყო სიმაღლეზე მხტომელმა ხორვატმა **ბლანკა ვლასიჩმა**, ვინც მილიონდოლარიანი ჯეკპოტის მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე რეალური პრეტენდენტია. მან 2.03 მეტრზე გადახტომა შეძლო, რაც ამ სეზონის საუკეთესო შედეგის (მისივე) გამეორებაა. 25 წლის ვლასიჩმა ზედიზედ 25-ე ტურნირი მოიგო, რაც თანამედროვე მძლეოსნობაში ყველაზე გრძელი დაუმარცხებელი სერიაა.

მას შემდეგ, რაც გამარჯვება გაინაღდა, ვლასიჩმა 2.06 მეტრზე გადახტომაც სცადა. პირველ ცდაზე თამასას ლამის გადაევლო კიდეც, მაგრამ ცოტა დააკლდა. მომდევნო ორი ცდა კი უფრო უარესი გამოდგა. საბოლოო ჯამში, ხორვატი ბერლინში თავისი გამოსვლით კმაყოფილი დარჩა.

მხოლოდ მეშვიდე შედეგს დასჯერდა, სიგრძეზე ხტომაში მსოფლიოს ჩემპიონი, პანამელი **ირვინგ სალადინო**. გამარჯვება კი საუდელმა **ჰუსეინ ტაჰერ ალ-საბიმ** მოიპოვა, ვინც ბოლო ცდაზე 8.21 მეტრზე გადახტა და სულ რაღაც სამი სანტიმეტრით აჯობა ჭერქვეშა არენაზე მსოფლიოს ჩემპიონს, სამხრეთაფრიკელ **გოდფრი მოკოენას**. გამარჯვებულს ოთხი სანტიმეტრით ჩამორჩა კიდევ ერთი საუდელი **მოჰამედ ალ-კუვაილიდი**.

ოქროს ლიგის მომდევნო შეხვედრას, ბიშლეტის თამაშებს ოსლო პარასკევს უმასპინძლებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

# TV სპორტი

## 3 ივნისი. სამშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ლატვია-ესპანეთი.
14:10 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
15:10 2:1 - საფეხბურთო თოქ-შოუ.
15:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:10 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ინგლისი-რუსეთი.
16:40 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ესტონეთი-ხორვატია.
18:25 90 წუთი - საფეხბურთო თოქ-შოუ.
19:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:15 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ისრაელი-რუსეთი.
20:45 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:45 ევრო 2008. ტელეჟურნალი.
22:30 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. იტალია-საფრანგეთი.
00:15 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. პორტუგალია-სერბეთი.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:10 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
07:40 მძლეოსნობა. რიბოკის გრან-პრი.
09:00 სპორტკლუბი.
10:25 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. კანადა-რუსეთი. კანადა.
12:40 ფეხბურთი. Barca TV.
12:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
14:30 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-სან პაულუ.
16:20 ჩოგბურთი. ATP-ის გუნდური მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. რუსეთი-შვედეთი. გერმანია.
20:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:55 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
21:25 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
21:55 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
22:40 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
23:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:20 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. დეტროიტი-პიტსბურგი. V მატჩი.
01:10 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:20 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. პალერმო-რომა.
03:05 სპორტდოსიე. სნოუბორდი.
03:30 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვალენსია-რეალი.
05:15 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სანტოსი-სან პაულუ.

### EUROSPORT

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IX დღე. მიმოხილვა.
10:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-დანია.
11:45 ოლიმპიზმი. ოლიმპიური დღიური.
12:00 ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი. ლიუცერნი. შვეიცარია.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
13:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი.
14:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IX დღე. მიმოხილვა.
15:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. IX დღე.
16:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. 1/4 ფინალი (LIVE).
21:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. X დღე. მიმოხილვა.
21:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი.
22:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
22:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. X დღე. მიმოხილვა.
22:45 მულტისპორტი.
23:15 პროფესიული კრივი (LIVE).
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. X დღე. მიმოხილვა.
02:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
02:30 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საბერძნეთი.

### EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
10:00 ახალი ამბები.
12:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-დანია.
12:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი.
13:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
14:00 ახალი ამბები.
14:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
15:00 ახალი ამბები.
16:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-დანია.
16:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი.
17:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. კოლორადო-ნიუ იორკი.
19:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. პოლონეთი-დანია.
20:00 ახალი ამბები.
20:15 ექსტრემალური სპორტი.
21:45 ახალი ამბები.
22:00 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
22:15 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. იტალიის გრან პრი.
00:00 არენა-ფეხბურთი. რეგულარული ლიგა. კოლორადო-ნიუ იორკი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 სერფინგი. მსოფლიო ტური. ფიჯი.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### მუნდიალი 2010

| აზია | |
|---|---|
| იაპონია-ომანი | 3:0 |
| სინგაპური-უზბეკეთი | 3:7 |
| ტაილანდი-ბაჰრეინი | 2:3 |
| თურქმენეთი-ჩრ. კორეა | 0:0 |
| ირანი-საემიროები | 0:0 |
| კატარი-ჩინეთი | 0:0 |
| სირია-ქუვეითი | 1:0 |
| ს. არაბეთი-ლიბანი | 4:1 |

### შვედეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| ატვიდაბერგი-ლანდსკრონა | 1:2 |

### ამხანაგური მატჩი

| | |
|---|---|
| ფინეთი-ბელარუსი | 1:1 |

### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ბოდო გლიმტი-ლილესტრიომი | 1:0 |

### საბერძნეთი

| II დივიზიონი | |
|---|---|
| პანსერაიკოსი-აგროტიკოსი | 2:1 |

### ისლანდია

| | |
|---|---|
| გრინდავიკი-ჰაფნარი | 0:3 |
| რეიკიავიკი-ფრამი | 2:0 |
| ჰკ-ვალური | 4:2 |

### უნგრეთი

| | |
|---|---|
| ზალაეგერშეგი-ვიდეოტონი | 1:3 |

## მოტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი

### VI ეტაპი (იტალიის გრან-პრი)

#### 125 cc

1. **სიმონე კორსი** (იტალია, "აპრილია") - 39.59,020; 2. **გაბორ ტალმაში** (უნგრეთი, "აპრილია") - +0,019; 3. **პოლ ესპარგარო** (ესპანეთი, "დერბი") - +0,036; 4. **მაიკ დი მელიო** (საფრანგეთი, "აპრილია) - +0,135; 5. **ბრედლი სმიტი** (ბრიტანეთი, "აპრილია") - +0,178; 6. **სერხიო გადეა** (ესპანეთი, "აპრილია") - +0,490.

**საერთო ჩათვლა:** 1-2. მაიკ დი მელიო, სიმონე კორსი - 87 ქულა; 3. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, "აპრილია") - 75; 4. ხოან ოლივე (ესპანეთი, "დერბი") - 65; 5. შტეფან ბრადლი (გერმანია, "აპრილია") - 64; 6. პოლ ესპარგარო - 55.

#### 250 cc

1. **მარკო სიმონჩელი** (იტალია, KTM) - 40.19,910; 2. **ალექს დებონი** (ესპანეთი, "აპრილია") - +0,499; 3. **თომას ლუტი** (შვეიცარია, "აპრილია") - +0,712; 4. **მიკა კალიო** (ფინეთი, KTM) - +7.403; 5. **მატია პაზინი** (იტალია, "აპრილია") - +12,542; 6. **რობერტო ლოკატელი** (იტალია, "ხილერა") - +12,790.

**საერთო ჩათვლა:** 1. მიკა კალიო - 106 ქულა; 2. მატია პაზინი - 88; 3. ალექს დებონი - 79; 4. მარკო სიმონჩელი - 78; 5. ჰიროში აოიამა (იაპონია, KTM) - 61; 6. იუკი ტაკაჰაში (იაპონია, "ჰონდა") - 59.

#### მოტოგრანპრი

1. **ვალენტინო როსი** (იტალია, "იამაჰა") - 42.31,153; 2. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, "დუკატი") - +2,201; 3. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, "ჰონდა") - +4,867; 4. **ალექს დე ანჯელისი** (სან მარინო, "ჰონდა") - +6,313; 5. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, "იამაჰა") - +12,530; 6. **ჯეიმს თაუსლენდი** (ბრიტანეთი, "იამაჰა") - +13,806.

**საერთო ჩათვლა:** 1. ვალენტინო როსი - 122 ქულა; 2. დანიელ პედროსა - 110; 3. ხორხე ლორენსო (ესპანეთი, "იამაჰა") - 94; 4. კეისი სტოუნერი - 76; 5. კოლინ ედვარდსი - 58; 6. ლორის კაპიროსი (ესპანეთი, "სუძუკი") - 51.

## რალი. მსოფლიო ჩემპიონატი

### VII ეტაპი. საბერძნეთის რალი

1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, "სიტროენი") - 3:54.54,70; 2. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, "სუბარუ") - +1.09,5; 3. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, "ფორდი") - +1.56,1; 4. **ურმო აავა** (ესტონეთი, "სიტროენი") - +4.19,7; 5. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, "სიტროენი") - +4.49,4; 6. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, "ფორდი") - +6.11,3; 7. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, "ფორდი") - +6.47,5; 8. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, "ფორდი") - +9.14,0.

**საერთო ჩათვლა:** 1. სებასტიან ლოები - 50 ქულა; 2. მიკო ჰირვონენი - 49; 3. კრის ატკინსონი (ბრიტანეთი, "სუბარუ) - 31; 4. იარი-მატი ლატვალა - 26; 5. დანიელ სორდო - 25; 6-7. ჯიჯი გალი (იტალია, "ფორდი"), პეტერ სოლბერგი - 17; 8. ჰენინგ სოლბერგი - 12; 9. მეტიუ უილსონი - 10; 10. ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა, "ფორდი") - 8.

**კონსტრუქტორთა ჩათვლა:** 1. ფორდი - 81 ქულა; 2. სიტროენი - 79; 3. სუბარუ - 50; 4. სტობარტ-ფორდი - 37.





ფეხბურთი

# მის ევრო 2008 აირჩიეს



**22 წლის** ჩეხმა **დომინიკა ჰუჟვაროვამ** "მის ევრო 2008"-ის კონკურსი მოიგო.

ამ ტიტულისთვის ევროპის მომავალი ჩემპიონატის 16 მონაწილე ქვეყნის თითო წარმომადგენელი იბრძოდა. "მის ევრო 2008"-ს ცხრაკაციანი ჟიური ირჩევდა, რომლის ერთ-ერთი წევრი გერმანიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონი **გვიდო ბუხვალდიც** იყო.

კონკურსი 31 მაისს, გერმანიის ქალაქ რუსტში ჩატარდა. მეორე ადგილი დაიკავა თურქეთის წარმომადგენელმა **ფილიზ ჰეილმანმა,** მესამე გახდა - ბერძენი **მარიოლა შაბანაი.** გოგონები პოდიუმზე სამჯერ გავიდნენ - თავიანთი ქვეყნის საფეხბურთო ფორმაში, სალამოს კაბასა და ბიკინიში გამოწყობილნი.

კონკურსის დასრულების შემდეგ, ჰუჟვაროვამ ჩეხეთის ნაკრების ფეხბურთელებს ევროპის ჩემპიონატში იმავე ადგილზე გასვლა უსურვა, რომელიც მან რუსტში გამართულ კონკურსში დაიკავა. მანვე გამოაცხადა, რომ ჩეხი ფეხბურთელები შორტებში საკმაოდ სიმპატიურად გამოიყურებიან. გვიდო ბუხვალდმა კი იმედი გამოთქვა, რომ ევრო 2008-ზე გუნდები კარგ ფეხბურთს აჩვენებენ და იქვე დაამატა - ჩემპიონატს უკვე ჰყავს მომხიბვლელი ქალბატონებიო.

გია თვალაბეიშვილი

ჩოგბურთი

# მარია აქაც პირველია



ბრიტანელმა ლესბოსელებმა გამოკითხვა ჩაატარეს. მათ აინტერესებდათ რომელი ჩოგბურთელი ქალი იზიდავთ ყველაზე მეტად არატრადიციული ორიენტაციის მიმდევრებს.

ამ ერთგვარი კვლევის შედეგი არავის გაკვირვებია. ლესბოსელთა ყველაზე სასურველი ჩოგბურთელები ისინი არიან, რომლებიც ასეთივე წარმატებით სარგებლობენ მამაკაცთა შორის.

პირველი ადგილი **მარია შარაპოვამ** დაიკავა. მის მიმართ სიმპატია გამოკითხულთა 33 პროცენტმა გამოხატა. მეორე ადგილზე კიდევ ერთი რუსი, ან უკვე ყოფილი ჩოგბურთელი **ანა კურნიკოვა** გავიდა - 28 პროცენტი. მესამე ადგილი 14 პროცენტით ამერიკელ **სერენა უილიამსს** ერგო. აქ წესით ლესბოსელთა და მამაკაცთა აზრი არ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

ხუთეულში შევიდნენ შვეიცარიელი **მარტინა ჰინგისი** (11 პროცენტი) და სერბი **ანა ივანოვიჩი** (8).

გია თვალაბეიშვილი

# იმედია, წააგებთ!



როლან გაროსის მსვლელობისას კვლავ აგორდა ჩაწყობილ მატჩებთან დაკავშირებული სკანდალი.

გაზეთი Evening Standart იაპონელი ჩოგბურთელის, **აკიკო მორიგამის** სიტყვებს აქვეყნებს. მოთამაშე ყვება, რომ საფრანგეთის ღია პირველობის წყვილთა თანრიგის (აქ მორიგამი თავის თანამემამულესთან, **აიკო ნაკამურასთან** ერთად თამაშობდა) პირველი წრის მატჩის წინ, მასთან იაპონიის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი მივიდა და ჩოგბურთელს ასეთი რამ უთხრა: *"იმედი მაქვს, თამაშს წააგებთ"*.

და მართლაც, იაპონურმა დუეტმა პირწმინდად დათმო შეხვედრა ტაივანურ წყვილთან (**იუნ-ცზიან ჩანი/ჩა-ცზიუნ ჩუანი**) - 0:6, 1:6. მატჩის შემდეგ, მორიგამიმ აღიარა, რომ მწვრთნელის თხოვნის შემდეგ, ვერ შეძლო სერიოზული ბრძოლისთვის განწყობა. *"შოკში ვიყავი და საერთოდ ვერ მოვახერხე თამაში"*, - ამბობს მორიგამი, რომელსაც არ მწვრთნელის გვარი დაუსახელებია.

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის (WTA) ოფიციალურმა წარმომადგენლებმა მორიგამის აღიარებაში იმ ახალი წესების დარღვევა დაინახეს, რომელიც პატიოსანი თამაშის შენარჩუნების მიზნით, ცოტა ხნის წინ შეიმუშავეს. *"ჩვენი ორგანიზაცია იაპონელის სიტყვებს სერიოზულად განიხილავს. გარწმუნებთ, რომ დანდობა არ ექნებათ იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთი ხერხით ცდილობენ მატჩებზე ზეგავლენის მოხდენას"*, - წერია WTA-ს ოფიციალურ წერილში.

გია თვალაბეიშვილი

ავტოსპორტი

# პრეზიდენტმა ტესტ-პოლოტობა შეითავსა







გასულ უიქ ენდზე, "ფერარის" პრეზიდენტმა **ლუკა დე მონტეძემოლომ** ფიორანოს ტრასაზე იტალიური კომპანიის ახალი ავტომობილი - Ferrari California 2+ გამოსცადა.

ახალი მანქანის შექმნისას, ფართოდ იყო გამოყენებული "ფერარის" ფორმულა 1-ის ბოლიდის ტექნოლოგიები - გადაცემათა კოლოფი გადართვის მინიმალური დროით, ტრექშნ-კონტროლის სისტემა... დიდი ყურადღება დაეთმო აეროდინამიკას - 200 კილომეტრი საათის სიჩქარისას ორადგილიანი კუპე-კაბრიოლეტის მიწასთან მოჭიდება, ჩვეულებრივზე 70 კილოგრამზე მეტია.

*"კმაყოფილი ვარ იმ სამუშაოთი, რომელიც Ferrari California-ის შექმნისას ჩვენმა თანამშრომლებმა გაწიეს. ეს უნიკალური, ექსტრაორდინალური მანქანაა, რომელშიც შეხამებულია კომფორტი და სისწრაფე. ეს არის კუპე მყარი სახურავით, რომელიც სულ 14 წამში ავტომატურად იხსნება. მიუხედავად ძრავის მაღალი სიმძლავრისა, ფორმულაში გამოყენებული ტექნოლოგიების წყალობით, Ferrari California-ის მართვა საკმაოდ იოლია"*, - განაცხადა ლუკა დე მონტეძემოლომ.

ახალი "ფერარი" 453 ცხენის ძალის სიმძლავრის V8 ძრავით არის აღჭურვილი. მანქანის სიგრძეა 4560 მილიმეტრი, სიგანე - 1900 მილიმეტრი. კომპანია იმასაც იუწყება, კაბრიოლეტი ეკონომიურია და უფრო ტევადი, ვიდრე მისი მთავარი კონკურენტი - Aston Martin DB9.

კაბრიოლეტ Ferrari California-ს ოქტომბერში, პარიზის ავტოსალონში წარადგენენ. სავარაუდოდ, მისი ფასი 300 ათასი დოლარი იქნება.

გია თვალაბეიშვილი